დანართი №1

ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილი

| ევროკავშირის სამართლებრივი აქტი | საქართველოს ნორმატიული აქტის/აქტების პროექტი/პროექტები და შესაბამისი მოქმედი ნორმატიული აქტი/აქტები, არსებობის შემთხვევაში: |
|---|---|
| ევროპარლამენტისა და საბჭოს 2019 წლის 20 ივნისის (EU) 2019/1020 რეგულაცია პროდუქტების ბაზარზე ზედამხედველობისა და შესაბამისობის შესახებ, რომელსაც ცვლილება შეაქვს 2004/42/EC დირექტივასა და (EC) 765/2008 და (EU) 305/2011 რეგულაციებში | N1 – საქართველოს კანონის პროექტი - „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“;<br><br>N2 - საქართველოს კანონი - პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი;<br><br>N3 - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2019 წლის 27 დეკემბრის N1-1/624 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს დებულება“;<br><br>N4 - საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 ნოემბრის N539 დადგენილებით დამტკიცებული „ბაზარზე ზედამხედველობისა და პროდუქტის რეალიზაციის შეჩერების, ამოღების, გამოთხოვისა და განადგურების წესი“;<br><br>N5 - საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2021 წლის 9 ივლისის №166 – №1-1/317 ერთობლივი ბრძანება „ტექნიკური რეგლამენტებით განსაზღვრული პროდუქტის იმპორტის წინასწარი შეტყობინების ფორმებისა და მათი შევსების/დადასტურების წესების დამტკიცების შესახებ“;<br><br>N6 - საქართველოს მთავრობის 2018 წლის 1 ოქტომბრის N476 დადგენილებით დამტკიცებული „ ტექნიკური რეგლამენტი სამშენებლო პროდუქტების შესახებ“; |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | **N7 - საქართველოს კანონი - საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;**<br>**N8 - საქართველოს კანონი - საქართველოს საბაჟო კოდექსი.**<br>შესაბამისობა:<br>სშ – სრულად შესაბამისი<br>ნშ – ნაწილობრივ შესაბამისი<br>შ – შეუსაბამო<br>ას – არასავალდებულო | | | | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| მუხლი ან ნაწილი | ნორმის ტექსტი | N | მუხლი ან პუნქტი (ნაწილი) | ნორმის ტექსტი | შესაბამისობა | შენიშვნები |
| 1.1 | ამ რეგულაციის მიზანია შიდა ბაზრის ფუნქციონირების გაუმჯობესება, იმ პროდუქტებზე საბაზრო ზედამხედველობის გაძლიერების გზით, რომლებზეც ვრცელდება მე-2 მუხლში მითითებული ევროკავშირის ჰარმონიზებული კანონმდებლობა, რათა უზრუნველყოფილი იყოს ევროკავშირის ბაზარზე შესაბამისი პროდუქტების ხელმისაწვდომობა, | **N2** | **1. “ა“-„ე“** | ამ კოდექსის მიზანია:<br>ა) ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, საკუთრებისა და გარემოს დაცვა;<br>ბ) უსაფრთხო პროდუქტის ბაზარზე განთავსება და თავისუფალი მიმოქცევა;<br>გ) პროდუქტის გადაადგილების და ბაზარზე განთავსების პროცესში | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის მაღალ დონეს, როგორიცაა ჯანმრთელობა და უსაფრთხოება ზოგადად, ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე, მომხმარებელთა დაცვა, გარემოსა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვა და ნებისმიერი სხვა საზოგადოებრივი ინტერესი, რაც დაცულია კანონმდებლობით. | | | კონკურენციის უზრუნველყოფა და ხელშეწყობა;<br><br>დ) მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების ექსპლუატაციის წესებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა სახელმწიფო ზედამხედველობისა და კონტროლის გზით;<br><br>ე) რისკის ანალიზსა და შეფასებაზე დამყარებული ინსპექტირების სისტემის დანერგვა. | | |
| 1.2 | ამ რეგულაციაში განსაზღვრულია წესები და პროცედურები ეკონომიკური ოპერატორებისათვის, იმ პროდუქტებთან დაკავშირებით, რომლებზეც ვრცელდება ევროკავშირის ჰარმონიზებული კანონმდებლობის მოქმედება და იგი ქმნის ჩარჩოს ეკონომიკურ ოპერატორებთან თანამშრომლობისათვის. | N1 | 1.3 ($13^1$.1) | 1. ეს თავი არეგულირებს საქართველოს ბაზარზე განთავსებული იმ პროდუქტების ზედამხედველობის საკითხებს, რომელთა მიმართ დადგენილია მოთხოვნები შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტებით და რომლებისთვისაც ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოდ განსაზღვრულია საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო. | სშ | |
| 1.3 | ამ რეგულაციაში ასევე მოცემულია ჩარჩო იმ პროდუქტებზე კონტროლისათვის, რომლებიც შედის ევროკავშირის ბაზარზე. | N1 | 1.3 ($13^1$.3) | 3. ამ თავის მოქმედება ვრცელდება როგორც საქართველოში წარმოებული, ასევე, იმპორტირებული პროდუქტების მიმართ. | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 2.1 | ამ რეგულაციის მოქმედება გავრცელდება იმ პროდუქტებზე, რომლებიც ექვემდებარებიან პირველ დანართში ჩამოთვლილ ევროკავშირის ჰარმონიზებულ კანონმდებლობას („ევროკავშირის ჰარმონიზებული კანონმდებლობა“), იმ შემთხვევაში, თუ ევროკავშირის ჰარმონიზებული კანონმდებლობით არ არსებობს იგივე მიზნის მქონე სპეციალური დებულებები, რომლებიც უფრო კონკრეტულად არეგულირებენ ბაზარზე ზედამხედველობისა და აღსრულების კონკრეტულ ასპექტებს. | **N1** | **1.3** ($13^1$.1) | 1. ეს თავი არეგულირებს საქართველოს ბაზარზე განთავსებული იმ პროდუქტების ზედამხედველობის საკითხებს, რომელთა მიმართ დადგენილია მოთხოვნები შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტებით და რომლებისთვისაც ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოდ განსაზღვრულია საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო. | სშ | |
| 2.2 | 25-ე-28-ე მუხლების მოქმედება გავრცელდება იმ პროდუქტებზე, რომლებსაც არეგულირებს ევროკავშირის კანონმდებლობა, რამდენადაც არ არსებობს კონკრეტული დებულებები, რომლებიც დაკავშირებულია იმ პროდუქტებზე კონტროლის ორგანიზებასთან, რომლებიც თავსდება ევროკავშირის ბაზარზე. | **N1** | **1.3** ($13^1$.1) | 1. ეს თავი არეგულირებს საქართველოს ბაზარზე განთავსებული იმ პროდუქტების ზედამხედველობის საკითხებს, რომელთა მიმართ დადგენილია მოთხოვნები შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტებით და რომლებისთვისაც ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოდ განსაზღვრულია საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო. | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 1.3 (13⁴.7) | 7. საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ბაზარზე ზედამხედველობის პროცედურები შესაძლებელია განხორციელდეს როგორც საქართველოს საბაჟო კონტროლის ზონაში, ასევე, პროდუქტის რეალიზაციის, წარმოების, დასაწყობებისა და შენახვის ადგილებში. | | |
| 2.3 | ამ მარეგულირებელი წესის გამოყენება არ შეუშლის ხელს ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოებს უფრო კონკრეტული ღონისძიებების განხორციელების პროცესში, რომლებიც გათვალისწინებულია 2001/95/EC დირექტივის შესაბამისად. | | | | შ | აღნიშნული პუნქტის ასახვა ეროვნულ კანონმდებლობაში მოხდება მას შემდეგ, რაც განხორციელდება (EU) 2023/988 რეგულაციის, რომლითაც ძალადაკარგულად გამოცხადდა 2001/95/EC დირექტივა, ტრანსპოზიცია. |
| 2.4 | ეს მარეგულირებელი წესი არ ეწინააღმდეგება N2000/31/EC დირექტივის მე-12-მე-15 მუხლებს. | | | | ას | აღნიშნული მუხლი არის აღწერილობითი ხასიათის და მისი კანონმდებლობაში ტრანსპოზიციის |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | ვალდეულება არ არსებობს. |
| 3(1) | ამ რეგულაციის მიზნებისათვის გამოიყენება შემდეგი განმარტებები:<br>‘ბაზარზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა’ ნიშნავს ნებისმიერი პროდუქტის მიწოდებას დისტრიბუციისათვის, მოხმარებისა და გამოყენებისათვის ევროკავშირის ბაზარზე კომერციული საქმიანობის პროცესში, სასყიდლიანად თუ უსასყიდლოდ; | N1 | 1.2. „გ“ | 8[1]. ბაზარზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა - საქართველოს ტერიტორიაზე პროდუქტის ნებისმიერი სახის მიწოდება დისტრიბუციის, გამოყენების ან მოხმარების მიზნით კომერციული საქმიანობის ფარგლებში, სასყიდლის მიღების მიზნით ან უსასყიდლოდ. | სშ | |
| 3(2) | ‘ბაზარზე განთავსება’ ნიშნავს პროდუქტის პირველად ხელმისაწვდომობას ევროკავშირის ბაზარზე; | N1 | 1.2. „ბ“ | 8. ბაზარზე განთავსება – საქართველოს ტერიტორიაზე, გარდა თავისუფალი ინდუსტრიული ზონებისა, პროდუქტის პირველადი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, მათ შორის, იმპორტის გზით კომერციული ან/და არაკომერციული მიზნებისთვის. | სშ | |
| 3(3) | ‘ბაზარზე ზედამხედველობა’ ნიშნავს შესაბამისი ევროკავშირის ჰარმონიზებული კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან პროდუქტის შესაბამისობის დადგენისა და კანონმდებლობით დაცული საჯარო | N1 | 1.3<br>(13[2]) | ა) ბაზარზე ზედამხედველობა – ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს მიერ განხორციელებული ქმედებების და მიღებული ზომების ერთობლიობა, რაც მიზნად ისახავს პროდუქტის საქართველოს კანონმდებლობით | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ინტერესის უზრუნველყოფის მიზნით ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს მიერ განხორციელებულ საქმიანობასა და მიღებულ ზომებს; | | | განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფასა და ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, საკუთრებისა და გარემოს დაცვას; | | |
| 3(4) | ‘ბაზარზე ზედამხედველობის ორგანო’ ნიშნავს წევრი სახელმწიფოს მიერ ამ რეგულაციის მე-10 მუხლის შესაბამისად განსაზღვრულ ორგანოს, რომელიც პასუხისმგებელია წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ბაზარზე ზედამხედველობის ღონისძიებების ორგანიზებასა და განხორციელებაზე; | N1 | 1.3<br>($13^2$)<br><br>1.3<br>($13^3$.1) | ზ) ბაზარზე ზედამხედველობის ორგანო - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო;<br><br>1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო, წარმოადგენს ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს საქართველოს ბაზარზე განთავსებულ იმ პროდუქტებზე, რომლებისთვისაც ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოდ, შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტით, განსაზღვრულია ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო. | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 3(5) | „განმცხადებელი ორგანო“ ნიშნავს ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს, რომელიც მიმართავს თხოვნით ურთიერთდახმარების შესახებ; | | | | ას | აღნიშნული ტერმინი რელევანტურია ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოების ურთიერთდახმარების ნაწილში, შესაბამისად, ტრანსპოზიციის მიზნებისთვის არარელევანტურია საქართველოსთვის. |
| 3(6) | ‘მოთხოვნის მიმღები ორგანო’ ნიშნავს ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს, რომელიც იღებს მოთხოვნას ურთიერთდახმარების შესახებ; | | | | ას | იხ. რეგულაციის 3.5. მუხლის კომენტარი, მე-7 სვეტში. |
| 3(7) | ‘შეუსაბამობა’ ნიშნავს ევროკავშირის ჰარმონიზებული კანონმდებლობის ან ამ მარეგულირებელი წესის ფარგლებში ნებისმიერი სახის მოთხოვნის შეუსრულებლობას; | N1 | 1.3 (13²) | გ) შეუსაბამობა - კოდექსით ან/და შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნ(ებ)ის დარღვევა. | სშ | |
| 3(8) | ‘მწარმოებელი’ ნიშნავს ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელიც აწარმოებს პროდუქტს ან | N1 | 1.2. „ა“ | 4. მწარმოებელი - ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც აწარმოებს პროდუქტს ან ახდენს | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ახდენს პროდუქტის ბაზარზე განთავსებას საკუთარი სახელით ან საკუთარი სავაჭრო ნიშნის ქვეშ; | | | პროდუქტის ბაზარზე განთავსებას საკუთარი სახელით ან საკუთარი სავაჭრო ნიშნის ქვეშ; | | |
| 3(9) | 'იმპორტიორი' ნიშნავს ევროკავშირის ფარგლებში დაფუძნებულ ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელიც ახორციელებს პროდუქტის მესამე ქვეყნიდან ევროკავშირის ბაზარზე განთავსებას; | N2 | 4.7 | იმპორტიორი/პროდუქტის ბაზარზე განთავსებისათვის პასუხისმგებელი პირი – პირი, რომელიც პასუხისმგებელია სხვა ქვეყანაში წარმოებული პროდუქტის ბაზარზე განთავსებისათვის. | სშ | |
| 3(10) | 'დისტრიბუტორი' ნიშნავს მიწოდების ჯაჭვში არსებულ ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელიც არ წარმოადგენს მწარმოებელს და იმპორტიორს და რომელიც ხელმისაწვდომს ხდის პროდუქტს ბაზარზე; | N1 | 1.2. „ა“ | 5. დისტრიბუტორი – მიწოდების ჯაჭვში ჩართული ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც, თავისი საქმიანობის ფარგლებში, პროდუქტით უზრუნველყოფს ბაზარს და არ წარმოადგენს მწარმოებელს ან იმპორტიორს. | სშ | |
| 3(11) | 'სერვისის მიწოდების განმახორციელებელი' ნიშნავს ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელიც, კომერციული საქმიანობის ფარგლებში, შემდეგი მომსახურებებიდან ახორციელებს სულ მცირე ორის შეთავაზებას: დასაწყობებას, შეფუთვას, დამისამართებას და გაგზავნას | | | | შ | აღნიშნული პუნქტი რელევანტურია დისტანციური ვაჭრობის რეგულირების ნაწილში. შესაბამისად, მისი ასახვა ეროვნულ კანონმდებლობაში მოხდება |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | შესაბამის პროდუქტზე საკუთრების უფლების გარეშე, გარდა საფოსტო მომსახურებისა, რაც განმარტებულია ევროპარლამენტისა და საბჭოს 97/67/EC დირექტივის მე-2 მუხლის პირველ პუნქტში, ამანათების მიტანის მომსახურებისა, რაც განსაზღვრულია ევროპარლამენტისა და საბჭოს 2018/644 რეგულაციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში და ნებისმიერი სხვა საფოსტო თუ სატვირთო მომსახურებებისა; | | | | | დისტანციური ვაჭრობის მარეგულირებელ ნორმებთან დაახლოების ეტაპზე. |
| 3(12) | 'ავტორიზებული წარმომადგენელი' ნიშნავს ევროკავშირის ფარგლებში დაფუძნებულ ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელმაც მიიღო წერილობითი მანდატი მწარმოებლისგან, რათა იმოქმედოს ამ მწარმოებლის სახელით, კონკრეტულ ამოცანებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება ევროკავშირის ჰარმონიზებული კანონმდებლობის ან ამ რეგულაციის ფარგლებში განსაზღვრულ მწარმოებლის ვალდებულებებს; | **N1** | **1.2. „ა“** | 6. ავტორიზებული წარმომადგენელი – მწარმოებლის მიერ ავტორიზებული იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც მწარმოებლის მიერ გაცემული წერილობითი მინდობილობის საფუძველზე, მოქმედებს მწარმოებლის სახელით კოდექსით ან/და შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული გარკვეული ვალდებულებების შესრულების მიზნით. ავტორიზებულ წარმომადგენელს მწარმოებლის ნაცვლად შეიძლება მიმართოს უფლებამოსილმა პირმა ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან დაკავშირებით. | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 3(13) | ‘ეკონომიკური ოპერატორი’ ნიშნავს მწარმოებელს, ავტორიზებულ წარმომადგენელს, იმპორტიორს, დისტრიბუტორს, სერვისის მიწოდების განმახორციელებელს ან ნებისმიერ სხვა ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს, რომელსაც ეკისრება ვალდებულებები პროდუქტების წარმოებასთან, ბაზარზე მათ ხელმისაწვდომობასთან ან ექსპლუატაციაში გაშვებასთან დაკავშირებით, ევროკავშირის შესაბამისი ჰარმონიზებული კანონმდებლობის საფუძველზე; | N1 | 1.3. (13²) | დ) ეკონომიკური ოპერატორი – ამ კოდექსის მე-4 მუხლით განსაზღვრული მწარმოებელი, ავტორიზებული წარმომადგენელი, იმპორტიორი, დისტრიბუტორი და პროდუქტის უშუალოდ მომხმარებლისთვის მიმწოდებელი პირი/პირები, რომელიც/რომლებიც პასუხისმგებელია/პასუხისმგებელნი არიან პროდუქტის უსაფრთხოებისთვის; | ნშ | ვინაიდან, ამ ეტაპზე, ეროვნული კანონმდებლობით არ რეგულირდება დისტანციური ვაჭრობის ზედამხედველობის საკითხი, ეკონომიკური ოპერატორის დეფინიცია არ მოიცავს სერვისის მიწოდების განმახორციელებელს. აღნიშნულის ასახვა მოხდება დისტანციური ვაჭრობის მარეგულირებელი ნორმების ტრანსპოზიციასთან ერთად. |
| 3(14) | ‘საზოგადოების ინფორმაციული სერვისის მიმწოდებელი’ ნიშნავს მომსახურების მიმწოდებელს, როგორც ეს განსაზღვრულია ევროპარლამენტისა და საბჭოს (EU) 2015/1535 დირექტივის პირველი მუხლის პირველი პუნქტის (b) ქვეპუნქტში; | | | | შ | იხ. რეგულაციის 13.11. მუხლის კომენტარი, მე-7 სვეტში. |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 3(15) | ‘ონლაინ ინტერფეისი’ ნიშნავს ნებისმიერ პროგრამულ უზრუნველყოფას, ვებ-გვერდის, ვებ-გვერდის ნაწილის ან აპლიკაციის, რომელსაც მართავს ეკონომიკური ოპერატორი ან სხვა მისი სახელით და რომელიც განსაზღვრულია საბოლოო მომხმარებელზე წვდომის უზრუნველყოფისთვის; | | | | შ | იხ. რეგულაციის 13.11. მუხლის კომენტარი, მე-7 სვეტში. |
| 3(16) | ‘მაკორექტირებელი ქმედება’ ნიშნავს ეკონომიკური ოპერატორის მიერ ნებისმიერი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით განხორციელებულ ნებისმიერ ქმედებას, როდესაც ამას მოითხოვს ბაზარზე ზედამხედველობის ორგანო ან ხორციელდება ეკონომიკური ოპერატორის ინიციატივით; | **N1** | **1.3. ($13^2$)** | ე) მაკორექტირებელი ქმედება - ეკონომიკური ოპერატორის მიერ, საკუთარი ინიციატივით ან ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს მოთხოვნით, შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით განხორციელებული ნებისმიერი ქმედება; | სშ | |
| 3(17) | ‘ნებაყოფლობითი ღონისძიება’ ნიშნავს ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს მოთხოვნის გარეშე მაკორექტირებელი ქმედების განხორციელებას; | **N1** | **1.3. ($13^2$)** | ვ) ნებაყოფლობითი ღონისძიება - ეკონომიკური ოპერატორის მიერ, საკუთარი ინიციატივით, ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს მოთხოვნის გარეშე, მაკორექტირებელი ზომების მიღება; | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 3(18) | ‘რისკი’ ნიშნავს ზიანის გამომწვევი საფრთხის დადგომის ალბათობისა და ამ ზიანის სიმძიმის ერთობლიობას; | N1 | 1. 3. (13²) | ზ) რისკი - ზიანის გამომწვევი საფრთხის დადგომის ალბათობისა და ამ ზიანის სიმძიმის ერთობლიობა; | სშ | |
| 3(19) | ‘პროდუქტი, რომელიც ქმნის საფრთხეს’ ნიშნავს ისეთ პროდუქტს, რომელსაც გააჩნია უარყოფითი ზემოქმედების მოხდენის პოტენციალი ადამიანების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე ზოგადად, ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე სამუშაო ადგილას, მომხმარებელთა დაცვაზე, გარემოზე, საზოგადოებრივ უსაფრთხოებასა და სხვა საჯარო ინტერესებზე, რომლებსაც იცავს ევროკავშირის ჰარმონიზებული კანონმდებლობა იმ ხარისხით, რომელიც სცილდება მის დადგენილ დანიშნულებასთან ან შესაბამისი პროდუქტის გამოყენების ნორმალურ ან გონივრულად პროგნოზირებად პირობებში გონივრულ და მისაღებ ნორმებს, მათ შორის გამოყენების ხანგრძლივობას და, შესაბამის შემთხვევაში, მათ შორის, მისი ექსპლუატაციაში გაშვების, მონტაჟისა და მოვლა-პატრონობის მოთხოვნებს | N1 | 1.3. (13²) | თ) საფრთხის შემცველი პროდუქტი - პროდუქტი, რომელიც დანიშნულებისამებრ, გონივრული გამოყენებისას და ვარგისობის ვადის დაცვისას საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას ან/და გარემოს; | სშ | მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულ კანონმდებლობაში სრულად არ არის ასახული რეგულაციის 3.19 მუხლის ტექსტი, ეროვნული ჩანაწერი შინაარსობრივად სრულად ფარავს რეგულაციის მიზანს და, ასევე, თანხვედრაშია თავად კოდექსის მიზანთან. |
| 3(20) | ‘პროდუქტი რომელიც ქმნის სერიოზულ საფრთხეს’ ნიშნავს პროდუქტს, რომელიც ქმნის ისეთ | N1 | 1.3. (13²) | ი) სერიოზული საფრთხის შემცველი პროდუქტი - პროდუქტი, რომელიც დანიშნულებისამებრ, გონივრული | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | საფრთხეს, რომ, რისკის შეფასებაზე დაყრდნობით და პროდუქტის ჩვეულებრივი და პროგნოზირებადი გამოყენების გათვალისწინებით, ზიანის გამომწვევი საფრთხის დადგომის ალბათობა და ამ ზიანის სიმძიმის ხარისხის ერთობლიობა მოითხოვს მყისიერ რეაგირებას ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოთა მხრიდან, მათ შორის იმ შემთხვევებში, როდესაც რისკი არ იწვევს დაუყოვნებლივ შედეგებს. | N1 | 1.3. ($13^6$.5) | გამოყენებისას და ვარგისობის ვადის დაცვისას სერიოზულ საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას ან/და გარემოს და საჭიროებს სახელმწიფო ორგანოებისაგან გადაუდებელ ჩარევას, მათ შორის, იმ შემთხვევებში, როდესაც რისკი არ იწვევს დაუყოვნებლივ შედეგებს;<br><br>5. საფრთხის კატეგორია განისაზღვრება რისკის ანალიზზე დაყრდნობით, ზიანის დადგომის ალბათობისა და მისი სიმძიმის შეფასების შედეგად, პროდუქტთან დაკავშირებული საფრთხის კატეგორიების განსაზღვრის წესის შესაბამისად. უსაფრთხოების უფრო მაღალი დონის უზრუნველყოფის შესაძლებლობა ან ნაკლები რისკის შემცველი სხვა პროდუქტის ხელმისაწვდომობა არ არის პროდუქტის საფრთხის შემცველ პროდუქტად მიჩნევის საფუძველი. | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 3(21) | ‘საბოლოო მომხმარებელი’ ნიშნავს ნებისმიერ ფიზიკურ ან ევროკავშირის ფარგლებში დაფუძნებულ იურიდიულ პირს, რომლისთვისაც პროდუქტი გახდა ხელმისაწვდომი როგორც მომხმარებლისთვის ვაჭრობის, ბიზნესის, ხელობის ან პროფესიის ფარგლებს მიღმა, ან როგორც პროფესიონალი საბოლოო მომხმარებლისათვის თავისი სამრეწველო ან პროფესიული საქმიანობის ფარგლებში; | N1 | 1.3. (13²) | პ) მომხმარებელი - ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიულ პირი, რომლისთვისაც პროდუქტი ხელმისაწვდომი გახდა როგორც მომხმარებლისთვის პირადი გამოყენების ან/და სამრეწველო/პროფესიული საქმიანობის განხორციელების მიზნებისთვის. | სშ | |
| 3(22) | ‘გამოთხოვა’ ნიშნავს ნებისმიერ ღონისძიებას, რომლის მიზანიც არის ისეთი პროდუქტის დაბრუნება, რომელიც უკვე გახდა ხელმისაწვდომი საბოლოო მომხმარებლისათვის; | N1 | 1.2. „დ“ | 16. პროდუქტის გამოთხოვა – ქმედება, რომელიც მიმართულია ისეთი პროდუქტის დაბრუნებისკენ, რომელიც უკვე მიწოდებულია ან სხვაგვარად არის ხელმისაწვდომი მომხმარებლისათვის. | სშ | |
| 3(23) | ‘ამოღება’ ნიშნავს ნებისმიერ ღონისძიებას, რომელიც მიზნად ისახავს მიწოდების ჯაჭვში არსებული პროდუქტის ბაზარზე ხელმისაწვდომის პრევენციას; | N1 | 1.2. „დ“ | 17. პროდუქტის ამოღება – ქმედება, რომელიც მიმართულია მიწოდების ჯაჭვში არსებული პროდუქტის ბაზარზე ხელმისაწვდომობის პრევენციის ან/და შეწყვეტისაკენ. | სშ | |
| 3(24) | ‘საბაჟო ორგანოები’ ნიშნავს საბაჟო ორგანოებს, როგორც ისინი განსაზღვრულია (EU) No952/2013 რეგულაციის მე-5 მუხლის პირველ პუნქტში; | N8 | 5.1. | 1. საქართველოს საბაჟო ორგანოებია:<br>ა) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური (შემდგომ – შემოსავლების სამსახური); | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ბ) შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტი. | | |
| 3(25) | 'თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება' ნიშნავს (EU) No952/2013 რეგულაციის 201-ე მუხლში განსაზღვრულ პროცედურას; | N8 | 105-106 | **თავი XVI. საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება**<br><br>**მუხლი 105. მოქმედების სფერო და მიზანი**<br><br>1. უცხოური საქონელი, რომელიც განკუთვნილია საქართველოში რეალიზაციისთვის, მოხმარებისთვის ან გამოყენებისთვის, უნდა მოექცეს თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.<br><br>2. საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება იწვევს:<br><br>ა) იმპორტის გადასახდელის გადახდის ვალდებულების წარმოშობას;<br><br>ბ) მის მიმართ ვაჭრობაში დამცავი ღონისძიებებისა და აკრძალვებისა და შეზღუდვების გამოყენებას, თუ ისინი მანამდე გამოყენებული არ ყოფილა;<br><br>გ) მის შემოტანასთან დაკავშირებული სხვა მოთხოვნების შესრულებას. | სშ | პროდუქტის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება რეგულირდება საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით. |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | 3. თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისას საქონელს ენიჭება საქართველოს საქონლის სტატუსი.<br><br>**მუხლი 106. ვაჭრობაში დამცავი ღონისძიებების გამოყენება**<br><br>1. თუ შიდა გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონლის გადამუშავების შედეგად მიღებული გადამუშავებული პროდუქტი თავისუფალ მიმოქცევაში გაიშვება და იმპორტის გადასახადის ოდენობა გაანგარიშდება ამ კოდექსის 54-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, გადამუშავებული პროდუქტის მიმართ გამოიყენება შიდა გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების შემთხვევაში გამოსაყენებელი ვაჭრობაში დამცავი ღონისძიებები.<br><br>2. ამ მუხლის პირველი ნაწილი არ ვრცელდება გადამუშავების შედეგად მიღებულ ნარჩენზე.<br><br>3. შიდა გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონლის გადამუშავების შედეგად მიღებული გადამუშავებული პროდუქტის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისას და იმპორტის გადასახადის | | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ოდენობის ამ კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად გაანგარიშებისას გადამუშავებული პროდუქტისთვის დადგენილი ვაჭრობაში დამცავი ღონისძიებები გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შიდა გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონლის მიმართ ანალოგიური ვაჭრობაში დამცავი ღონისძიებები გამოიყენება.<br><br>4. გარე გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონლის გადამუშავების შედეგად მიღებული გადამუშავებული პროდუქტის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების შემთხვევაში ვაჭრობაში დამცავი ღონისძიებები არ გამოიყენება, თუ:<br><br>ა) ეს პროდუქტი ინარჩუნებს ქართულ წარმოშობას ამ კოდექსის 36-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად;<br><br>ბ) გარე გადამუშავება მოიცავს შეკეთებას, მათ შორის, ამ კოდექსის 153-ე მუხლის შესაბამისად სტანდარტული გაცვლის სისტემის გამოყენებას;<br><br>გ) გარე გადამუშავება გამოიყენება ამ კოდექსის 147-ე მუხლის შესაბამისად დამატებითი გადამუშავებისთვის. | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 3(26) | ‘პროდუქტები, რომლებიც შედიან ევროკავშირის ბაზარზე’ ნიშნავს მესამე ქვეყნების პროდუქტებს, რომლებიც განკუთვნილია ევროკავშირის ბაზარზე განთავსების ან პირადი გამოყენებისათვის, ევროკავშირის საბაჟო ტერიტორიაზე მოხმარებისათვის და მოთავსებულია საბაჟო პროცედურებში „თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება“. | | | | შ | აღნიშნული ნორმის ტრანსპოზიცია განხორციელდება რეგულაციის 25-ე მუხლთან სრულად დაახლოების შემთხვევაში. |
| 4.1 | მიუხედავად ევროკავშირის ჰარმონიზებულ კანონმდებლობაში განსაზღვრული ვალდებულებებისა, ისეთი პროდუქტის განთავსება ბაზარზე, რომელზეც ვრცელდება მე-5 პუნქტში განსაზღვრული მოთხოვნები, შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ევროკავშირის ფარგლებში დაფუძნებული ეკონომიკური ოპერატორი, რომელიც პასუხისმგებელია ამ პროდუქტთან დაკავშირებით მე-3 პუნქტში განსაზღვრული ამოცანების შესრულებაზე. | | | | შ | აღნიშნული ნორმის ტრანსპოზიცია მოხდება დისტანციური ვაჭრობის მარეგულირებელ ნორმებთან დაახლოების ეტაპზე. |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 4.2 | ამ მუხლის მიზნებისათვის, პირველ პუნქტში განსაზღვრული ეკონომიკური ოპერატორი ნიშნავს ნებისმიერს ჩამონათვალიდან:<br><br>(a) ევროკავშირის ფარგლებში დაფუძნებულ მწარმოებელს;<br><br>(b) იმპორტიორს, როდესაც მწარმოებელი არ არის დაფუძნებული ევროკავშირის ფარგლებში;<br><br>(c) ავტორიზებული წარმომადგენელი, რომელსაც გააჩნია წერილობითი მანდატი მწარმოებლისაგან, რომლითაც ავტორიზებულ წარმომადგენელს ენიჭება მე-3 პუნქტში განსაზღვრული ამოცანების მწარმოებლის სახელით შესრულების უფლებამოსილება;<br><br>(d) სერვისის მიწოდების განმახორციელებელი, რომელიც დაფუძნებულია ევროკავშირის ფარგლებში იმ პროდუქტებთან მიმართებაში, რომლებსაც თავად აწარმოებს და როდესაც ეკონომიკური ოპერატორი არ არის დაფუძნებული ევროკავშირის ფარგლებში როგორც ეს (a), (b) და (c) ქვეპუნქტებში არის განსაზღვრული. | **N1** | **1.3. (13²)** | დ) ეკონომიკური ოპერატორი – ამ კოდექსის მე-4 მუხლით განსაზღვრული მწარმოებელი, ავტორიზებული წარმომადგენელი, იმპორტიორი, დისტრიბუტორი და პროდუქტის უშუალოდ მომხმარებლისთვის მიმწოდებელი პირი/პირები, რომელიც/რომლებიც პასუხისმგებელია/პასუხისმგებელნი არიან პროდუქტის უსაფრთხოებისთვის; | ნშ | როგორც რეგულაციის 4.1. მუხლის კომენტარში აღინიშნა, საქართველოში დაფუძნების ვალდებულებისა და სერვისის მიწოდების განმახორციელებლის დეფინიციის ტრანსპოზიცია განხორციელდება დისტანციური ვაჭრობის მარეგულირებელ ნორმებთან დაახლოების შემთხვევაში. |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 4.3 | ეკონომიკური ოპერატორის მიერ შესაბამისი ევროკავშირის ჰარმონიზებული კანონმდებლობის დარღვევის გარეშე, პირველ პუნქტში განსაზღვრულმა ეკონომიკურმა ოპერატორმა უნდა შეასრულოს შემდეგი ამოცანები:<br><br>(a) თუ ევროკავშირის ჰარმონიზებული კანონმდებლობა, რომლის მოქმედებაც ვრცელდება ამ კონკრეტულ პროდუქტზე, ითვალისწინებს ევროკავშირის შესაბამისობის დეკლარაციის ან თვისებების დეკლარაციისა და ტექნიკური დოკუმენტაციის არსებობას, დაადასტუროს, რომ ევროკავშირის შესაბამისობის დეკლარაცია ან თვისებების დეკლარაცია და ტექნიკური დოკუმენტაცია შემუშავებულია, შეინახოს შესაბამისობის დეკლარაცია ან თვისებების დეკლარაცია ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოების მიერ მოთხოვნის შემთხვევაში წარსადგენად ამ კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრული პერიოდით და უზრუნველყოს, რომ ტექნიკური | N1 | 1.3.<br><br>($13^5$.1-3) | 1. ეკონომიკური ოპერატორი ვალდებულია დააკმაყოფილოს პროდუქტის უსაფრთხოებისა და ბაზარზე განთავსებისთვის საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, ამ მუხლით განსაზღვრული მოთხოვნები.<br><br>2. ეკონომიკური ოპერატორი ვალდებულია ბაზარზე ზედამხედველობის განხორციელების პროცესში ითანამშრომლოს ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოსთან და უზრუნველყოს ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს წარმომადგენლის დაშვება პროდუქტის წარმოების, დასაწყობების, შენახვისა და რეალიზაციის ადგილებში.<br><br>3. ეკონომიკური ოპერატორი ვალდებულია, პროდუქტის ბაზარზე განთავსების ან/და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისას დარწმუნდეს, რომ პროდუქტი აკმაყოფილებს შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ მოთხოვნებს და შედგენილია შესაბამისი ტექნიკური დოკუმენტაცია. ეკონომიკურმა ოპერატორმა, ასევე, უნდა უზრუნველყოს აღნიშნული დოკუმენტაციის შენახვა იმავე ტექნიკური რეგლამენტით | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | დოკუმენტაცია ხელმისაწვდომი იყოს აღნიშნული ორგანოებისთვის მოთხოვნისთანავე;<br><br>(b) ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოების მხრიდან დასაბუთებული მიმართვის საფუძველზე მიაწოდოს მთელი ინფორმაცია და დოკუმენტაცია, რომელიც ზედამხედველობის ორგანოებისთვის მარტივად გასაგებ ენაზე ადასტურებს ამ პროდუქტის შესაბამისობას;<br><br>(c) უზრუნველყოს ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოების ინფორმირება, როდესაც არსებობს ეჭვი, რომ კონკრეტული პროდუქტი შესაძლოა ქმნიდეს საფრთხეს;<br><br>(d) ითანამშრომლოს ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოებთან, რაც გულისხმობს დასაბუთებული მოთხოვნის შესრულებას, რომ დაუყოვნებლივ ევროკავშირის ჰარმონიზებული კანონმდებლობით გათვალისწინებული აუცილებელი და მაკორექტირებელი ქმედებები იქნება განხორციელებული პროდუქტთან | N1 | 1.3.<br>($13^5$.5-7) | განსაზღვრული ვადით, ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოსთვის წარსადგენად.<br><br>5. ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს მოთხოვნის შემთხვევაში, ეკონომიკური ოპერატორი ვალდებულია, მიაწოდოს ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს პროდუქტთან დაკავშირებული, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტები და ინფორმაცია, მათ შორის, პროდუქტის ბაზარზე მიწოდების ჯაჭვში ჩართული ეკონომიკური ოპერატორების შესახებ.<br><br>6. იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკურ ოპერატორს აქვს ინფორმაცია ან საფუძვლიანი ეჭვი, რომ პროდუქტი, რომელიც მან გახადა ხელმისაწვდომი ბაზარზე, არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, იგი ვალდებულია, დაუყოვნებლივ განახორციელოს ყველა აუცილებელი მაკორექტირებელი ქმედება პროდუქტით გამოწვეული რისკის თავიდან აცილების მიზნით. | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | დაკავშირებით არსებული შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად ან, თუ ეს შეუძლებელია, ამ პროდუქტით გამოწვეული რისკები შეამციროს, როდესაც აღნიშნული მოთხოვნილია ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოების მიერ ან ხორციელდება საკუთარი ინიციატივით, იმ შემთხვევებში როდესაც პირველ პუნქტში განსაზღვრული ეკონომიკური ოპერატორი თვლის ან გააჩნია საფუძველი ჩათვალოს, რომ ეს პროდუქტი შესაძლოა ქმნიდეს საფრთხეს. | | | 7. იმ შემთხვევაში, როდესაც პროდუქტი შეიცავს რისკს, ეკონომიკური ოპერატორი ვალდებულია, აღნიშნული ფაქტის შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინოს ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს და მიაწოდოს შესაბამისი ინფორმაცია, მათ შორის, შეუსაბამობებისა და ყველა განხორციელებული მაკორექტირებელი ქმედების შესახებ. | | |
| 4.4 | ევროკავშირის ჰარმონიზებული კანონმდებლობით გათვალისწინებული ეკონომიკური ოპერატორის ვალდებულების დარღვევის გარეშე, პირველ პუნქტში განსაზღვრული ეკონომიკური ოპერატორის სახელი ან რეგისტრირებული საფირმო ნიშანი, ასევე საკონტაქტო დეტალები, საფოსტო მისამართის ჩათვლით, მითითებული უნდა იყოს პროდუქტზე ან მის შეფუთვაზე, ამანათზე ან თანდართულ დოკუმენტში. | N1 | 1.3. ($13^5$.4) | 4. ეკონომიკური ოპერატორი ვალდებულია საკუთარი სახელი, რეგისტრირებული სავაჭრო სახელი ან რეგისტრირებული სავაჭრო ნიშანი, ასევე, საკონტაქტო ინფორმაცია, მათ შორის, საფოსტო მისამართი, დაიტანოს პროდუქტზე, მის შეფუთვაზე ან თანდართულ დოკუმენტაციაში შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნების დაცვით. | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 4.5 | ამ მუხლის მოქმედება გავრცელდება მხოლოდ იმ პროდუქტებზე, რომლებზეც ვრცელდება შემდეგი დოკუმენტების მოქმედება: ევროპარლამენტისა და საბჭოს (EU) No 305/2011, (EU) 2016/425 და (EU) 2016/426, (EU2023/1542) და (EU) 2024/1252 რეგულაციები, ასევე ევროპარლამენტისა და საბჭოს 2000/14/EC, 2006/42/EC, 2009/48/EC, 2009/125/EC, 2011/65/EU, 2013/29/EU, 2013/53/EU, 2014/29/EU, 2014/30/EU, 2014/31/EU, 2014/32/EU, 2014/34/EU, 2014/35/EU, 2014/53/EU და 2014/68/EU დირექტივები. | N1 | 1.3. ($13^1$.1) | 1. ეს თავი არეგულირებს საქართველოს ბაზარზე განთავსებული იმ პროდუქტების ზედამხედველობის საკითხებს, რომელთა მიმართ დადგენილია მოთხოვნები შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტებით და რომლებისთვისაც ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოდ განსაზღვრულია საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო. | სშ | |
| 5.1 | მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის (c) ქვეპუნქტის მიზნებისათვის, ავტორიზებულ წარმომადგენელს მინიჭებული აქვს მწარმოებლის მიერ უფლებამოსილება, რომ შეასრულოს მე-4 მუხლის მე-3 პუნქტში განსაზღვრული ამოცანები, მიუხედავად ნებისმიერი სხვა ამოცანებისა, რომელთა შესრულების უფლებამოსილებაც გააჩნია ევროკავშირის ჰარმონიზებული კანონმდებლობის თანახმად. | N1 | 1.3. ($13^5$.11) | 11. ავტორიზებულ წარმომადგენელს, ასეთის არსებობის შემთხვევაში, მწარმოებლის მიერ გაცემული წერილობითი მინდობილობის საფუძველზე, უნდა ჰქონდეს მინიჭებული უფლებამოსილება ამ მუხლით განსაზღვრული ამოცანების შესრულებისათვის და აღნიშნული უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარუდგინოს ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს. | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 5.2 | ავტორიზებულმა წარმომადგენელმა უნდა შეასრულოს მანდატში მითითებული ამოცანები. მან მიმართვის საფუძველზე უნდა წარუდგინოს ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოებს აღნიშნული უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, ევროკავშირის იმ ენაზე, რომელსაც განსაზღვრავს ბაზარზე ზედამხედველობის ორგანო. | N1 | 1.3. ($13^5$.11) | 11. ავტორიზებულ წარმომადგენელს, ასეთის არსებობის შემთხვევაში, მწარმოებლის მიერ გაცემული წერილობითი მინდობილობის საფუძველზე, უნდა ჰქონდეს მინიჭებული უფლებამოსილება ამ მუხლით განსაზღვრული ამოცანების შესრულებისათვის და აღნიშნული უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარუდგინოს ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს. | სშ | |
| 5.3 | ავტორიზებულ წარმომადგენლებს უნდა გააჩნდეთ შესაბამისი საშუალებები, რათა შეასრულონ საკუთარი ამოცანები. | N1 | 1. 3. ($13^5$.11) | 11. ავტორიზებულ წარმომადგენელს, ასეთის არსებობის შემთხვევაში, მწარმოებლის მიერ გაცემული წერილობითი მინდობილობის საფუძველზე, უნდა ჰქონდეს მინიჭებული უფლებამოსილება ამ მუხლით განსაზღვრული ამოცანების შესრულებისათვის და აღნიშნული უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარუდგინოს ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს. | სშ | |
| 6 | ონლაინ ან დისტანციური გაყიდვის სხვა საშუალებებით გასაყიდად შეთავაზებული პროდუქტები | | | | შ | ეროვნული კანონმდებლობის აღნიშნულ |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ჩაითვლება ბაზარზე ხელმისაწვდომად იმ შემთხვევაში, თუ შეთავაზების სამიზნეს წარმოადგენენ ევროკავშირში არსებული საბოლოო მომხმარებლები. გაყიდვის შეთავაზება ჩაითვლება ევროკავშირში არსებული საბოლოო მომხმარებლებისთვის განკუთვნილად იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი ეკონომიკური ოპერატორი წარმართავს მის საქმიანობას რაიმე საშუალებებით, წევრ სახელმწიფოში. | | | | | რეგულაციასთან შესაბამისობაში მოყვანა განხორციელდება ეტაპობრივად, რაც უზრუნველყოფს როგორც ბაზარზე ზედამხედველობის ეროვნული სისტემის, ისე კერძო სექტორის მზადყოფნას ახალი რეგულაციების ეფექტიანად აღსრულებისთვის. დისტანციურ ვაჭრობასთან დაკავშირებული ნორმების ტრანსპოზიცია განხორციელდება დაახლოების პროცესის მომდევნო ეტაპზე. |
| 7.1 | ეკონომიკურმა ოპერატორებმა უნდა ითანამშრომლონ ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოებთან იმ ქმედებებთან დაკავშირებით, რომლებსაც შეუძლიათ იმ პროდუქტებით გამოწვეული საფრთხეების აღმოფხვრა ან შემცირება, რომლებიც ბაზარზე | **N1** | **1.3. (13⁵.2)** | 2. ეკონომიკური ოპერატორი ვალდებულია ბაზარზე ზედამხედველობის განხორციელების პროცესში ითანამშრომლოს ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოსთან და უზრუნველყოს ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ხელმისაწვდომი გახადეს ამ ოპერატორებმა. | | | წარმომადგენლის დაშვება პროდუქტის წარმოების, დასაწყობების, შენახვისა და რეალიზაციის ადგილებში. | | |
| 7.2 | საზოგადოების ინფორმაციული სერვისის მიმწოდებლებმა უნდა ითანამშრომლონ ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოებთან მათი მოთხოვნის საფუძველზე და კონკრეტულ შემთხვევებში, რომ ხელი შეუწყონ ნებისმიერ ქმედებას, რომელიც ხორციელდება იმ პროდუქტით გამოწვეული რისკების აღმოსაფხვრელად ან, თუ ეს არ არის შესაძლებელი, მის შესამცირებლად, რომელიც შეთავაზებულია ან შეთავაზებული იყო ონლაინ მათი მომსახურებების მეშვეობით. | | | | შ | იხ.კომენტარი რეგულაციის 4.1 მუხლზე მე-7 სვეტში. |
| 8.1 | კომისიამ, (EU) 2018/1724 რეგულაციისის შესაბამისად, უნდა უზრუნველყოს, რომ „Your Europe“ პორტალის მეშვეობით მომხმარებლებს ექნებათ ონლაინ მარტივად წვდომა ინფორმაციაზე პროდუქტთან დაკავშირებული მოთხოვნებისა და მათი უფლებების, ვალდებულებებისა და წესების შესახებ, რაც გამომდინარეობს ევროკავშირის ჰარმონიზებული კანონმდებლობიდან. | | | | ას | ტრანსპოზიციის მიზნებისთვის არარელევანტურია, ვინაიდან ეხება კომისიის ვალდებულებას. |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 8.2 | წევრ სახელმწიფოებს უნდა გააჩნდეთ ორგანიზებული პროცედურები იმისათვის, რომ ეკონომიკურმა ოპერატორებმა, მათი მიმართვის საფუძველზე, უფასოდ მიიღონ ინფორმაცია ევროკავშირის ჰარმონიზებული კანონმდებლობის ეროვნულ დონეზე ტრანსპოზიციისა და განხორციელების შესახებ, რომელთა მოქმედებაც ვრცელდება პროდუქტებზე. ამ მიზნით, (EU) 2019/515 რეგულაციის მე-9 მუხლის პირველი, მე-4 და მე-5 პუნქტები უნდა იქნას გამოყენებული. | | | | შ | თუმცა, არსებობს სპეციალური ვებ-გვერდი, სადაც ეკონომიკურ ოპერატორებს ბაზარზე ზედამხედველობის ეროვნული კანონმდებლობის შესახებ ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა აქვთ (www.msa.gov.ge ვებგვერდისა და 1483 ცხელი ხაზის მეშვეობით). |
| 9 | 1. ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოებს შეუძლიათ შეუთანხმდნენ სხვა შესაბამის ორგანოებს ან იმ ორგანიზაციებს, რომლებიც წარმოადგენენ ეკონომიკურ ოპერატორებს ან საბოლოო მომხმარებლებს, ერთობლივი საქმიანობის განხორციელების შესახებ, რომლის მიზანიც არის შესაბამისობის ხელშეწყობა, შეუსაბამობების გამოვლენა, ცნობიერების ამაღლება და ხელმძღვანელობის გაწევა კავშირის | N1 | 1.3. (13³.3) | 3. ბაზარზე ზედამხედველობის ორგანო საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მიზნების განსახორციელებლად და მისთვის დაკისრებული ფუნქციების შესასრულებლად თანამშრომლობს საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებების ორგანოებთან, შესაბამის საერთაშორისო და ევროპულ ორგანიზაციებთან და სხვა ქვეყნების ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოებთან; | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ჰარმონიზაციის იმ კანონმდებლობასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება პროდუქტების კონკრეტულ კატეგორიებს, კერძოდ, პროდუქტების ისეთ კატეგორიებს, რომლებიც ხშირად არიან სერიოზული რისკის მატარებლები, მათ შორის, გასაყიდად ონლაინ შეთავაზებულ პროდუქტებს.<br><br>2. ბაზარზე ზედამხედველობის კონკრეტულმა ორგანომ და პირველ პუნქტში განსაზღვრულმა მხარეებმა უნდა უზრუნველყონ, რომ შეთანხმება ერთობლივი საქმიანობის შესახებ არ იწვევს უსამართლო კონკურენციას ეკონომიკურ ოპერატორებს შორის და არ ახდენს ზემოქმედებას მხარეთა ობიექტურობაზე, დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაზე.<br><br>3. ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს შეუძლია გამოიყენოს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც მიღებულია მის მიერ პროდუქტის შეუსაბამობასთან დაკავშირებით ჩატარებული კვლევის ფარგლებში | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | განხორციელებული ერთობლივის საქმიანობის შედეგად.<br><br>4. ბაზარზე ზედამხედველობის კონკრეტულმა ორგანომ საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი უნდა გახადოს შეთანხმება ერთობლივი საქმიანობის შესახებ, მათ შორის მონაწილე მხარეთა სახელები და შეიყვანოს ეს შეთანხმება 34-ე მუხლში განსაზღვრულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო სისტემაში. წევრი სახელმწიფოს მიმართვის საფუძველზე, 29-ე მუხლის შესაბამისად შექმნილმა ქსელმა უნდა გაუწიოს დახმარება ერთობლივი საქმიანობის შესახებ შეთანხმების შემუშავების პროცესში. | | | | | |
| 10.1 | წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ბაზარზე ზედამხედველობის ორგანიზება და განხორციელება, როგორც ეს განსაზღვრულია ამ რეგულაციაში. | **N1** | **1.3.** (13⁴.1) | 1. საქართველოს ბაზარზე პროდუქტის ზედამხედველობა ხორციელდება ამ თავით, ბაზარზე ზედამხედველობის განხორციელების, პროდუქტის რეალიზაციის შეჩერების, ბაზრიდან ამოღების, გამოთხოვისა და განადგურების წესისა და პროდუქტთან დაკავშირებული საფრთხის კატეგორიების განსაზღვრის წესის შესაბამისად, რომლებიც მტკიცდება საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტებით. | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | |
| 10.2 | ამ მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისათვის, თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ უნდა განსაზღვროს ბაზარზე ზედამხედველობის ერთი ან მეტი ორგანო მის ტერიტორიაზე. თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ უნდა შეატყობინოს კომისიასა და სხვა წევრ სახელმწიფოებს მისი ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოების და თითოეული ამ ორგანოს კომპეტენციის სფეროების შესახებ, 34-ე მუხლში განსაზღვრული საინფორმაციო და საკომუნიკაციო სისტემის გამოყენებით. | **N1** | **1.3 (13³.1)** | 1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო, წარმოადგენს ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს საქართველოს ბაზარზე განთავსებულ იმ პროდუქტებზე, რომლებისთვისაც ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოდ, შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტით, განსაზღვრულია ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო. | სშ | კომისიისა და სხვა წევრი სახელმწიფოების ინფორმირების ვალდებულება ვრცელდება მხოლოდ წევრ სახელმწიფოებზე და ამ ეტაპზე არ საჭიროებს ეროვნულ კანონმდებლობაში ასახვას. |
| 10.3 | თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ უნდა განსაზღვროს ერთიანი სამოკავშირეო ოფისი. | | | | ას | ერთიანი სამოკავშირეო ოფისი უზრუნველყოფს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის კოორდინაციას ბაზარზე ზედამხედველობის განხორციელების კუთხით. შესაბამისად, აღნიშნული ნორმა |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | ვრცელდება მხოლოდ წევრ სახელმწიფოებზე. |
| 10.4 | აღნიშნული ერთიანი სამოკავშირეო ოფისი პასუხისმგებელი იქნება სულ მცირე ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოების და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული ორგანოების კოორდინირებული პოზიციის წარდგენაზე და ასევე კომუნიკაციაზე მე-13 მუხლში განსაზღვრულ ეროვნულ სტრატეგიებთან დაკავშირებით. ამ ერთიანმა სამოკავშირეო ოფისმა ასევე უნდა გაუწიოს დახმარება სხვადასხვა წევრ სახელმწიფოებში ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოებს შორის თანამშრომლობის პროცესს, როგორც ეს განსაზღვრულია VI თავში. | | | | ას | იხ. რეგულაციის 10.3 მუხლის კომენტარი მე-7 სვეტში. |
| 10.5 | იმისათვის, რომ ბაზარზე ზედამხედველობა იმ პროდუქტებზე, რომლებიც გახდა ხელმისაწვდომი ონლაინ და ადგილობრივად ხორციელდებოდეს ერთი და იგივე ეფექტურობით ყველა სადისტრიბუციო არხისათვის, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მათ ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოებსა და ერთ საკონტაქტო | N3 | 8. | 1. დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად სააგენტოს სამინისტროს მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაეცემა შესაბამისი სახელმწიფო ქონება. | ნშ | აღნიშნული ნორმა ერთიანი სამოკავშირეო ოფისის ნაწილში, არარელევანტურია ტრანსპოზიციის მიზნებისთვის. |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ოფისს ჰქონდეთ აუცილებელი რესურსები, მათ შორის საბიუჯეტო და სხვა რესურსები, როგორიცაა კომპეტენტური პერსონალის საკმარისი რაოდენობა, ექსპერტული ცოდნა, პროცედურები და სხვა ინსტრუმენტები მათი მოვალეობების სათანადოდ შესრულებისათვის. | | | 2. სააგენოს ქონებას შეადგენს ძირითადი საბრუნავი საშუალებები, აგრეთვე სხვა მატერიალური ფასეულობა და ფინანსური რესურსები.<br>3. სააგენტოს დაფინანსების წყაროებია:<br>ა) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;<br>ბ) მიზნობრივი გრანტები;<br>გ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.<br>4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული სახსრები და შემოსავლები სრულად ხმარდება სააგენტოს მიზნების განხორციელებას და ფუნქციების შესრულებას | | |
| 10.6 | როდესაც მათ ტერიტორიაზე არსებობს ბაზარზე ზედამხედველობის ერთზე მეტი ორგანო, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ამ ორგანოების შესაბამისი მოვალეობები იყოს მკაფიოდ განსაზღვრული და შეიქმნას კოორდინაციისა და კომუნიკაციის მექანიზმები, რათა აღნიშნულ ორგანოებს მიეცეთ მჭიდრო თანამშრომლობისა და საკუთარი | | | | ას | საქართველოში პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის $13^{3}$.1 მუხლის თანახმად, $III^{1}$ თავის მიზნებისთვის, ბაზარზე ზედამხედველობის |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მოვალეობების ეფექტიანად შესრულების საშუალება. | | | | | ორგანოდ განსაზღვრული არის მხოლოდ სსიპ - ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო. შესაბამისად, აღნიშნული ნორმის გადმოტანის საჭიროება არ არსებობს. |
| 11.1 | ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოებმა უნდა განახორციელონ საკუთარი საქმიანობა რათა უზრუნველყოფილი იყოს:<br><br>(a) მათი ტერიტორიის ფარგლებში ეფექტიანი ზედამხედველობა ბაზარზე, ევროკავშირის ჰარმონიზებულ კანონმდებლობას დაქვემდებარებულ იმ პროდუქტებზე, რომლებიც ხელმისაწვდომი გახდა ონლაინ და ადგილზე;<br><br>(b) ეკონომიკურ ოპერატორთა მიერ სათანადო და პროპორციული მაკორექტირებელი ღონისძიებების განხორციელება, აღნიშნულ კანონმდებლობასთან და | **N1** | **13.** (13$^{3}$.1) | 1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო, წარმოადგენს ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს საქართველოს ბაზარზე განთავსებულ იმ პროდუქტებზე, რომლებისთვისაც ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოდ, შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტით, განსაზღვრულია ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო. | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | რეგულაციასთან შესაბამისობაში მოსაყვანად;<br><br>(c) სათანადო და პროპორციული მაკორექტირებელი ღონისძიებების განხორციელება იმ შემთხვევებში, როდესაც ეკონომიკური ოპერატორი არ ახორციელებს აღნიშნულ ქმედებებს. | N1<br><br>N1 | (1.3 $13^{5}$.1)<br><br>1.3 ($13^{6}$.1) | 1. ეკონომიკური ოპერატორი ვალდებულია დააკმაყოფილოს პროდუქტის უსაფრთხოებისა და ბაზარზე განთავსებისთვის საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, ამ მუხლით განსაზღვრული მოთხოვნები.<br><br>1. თუ ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს აქვს ინფორმაცია, რომ კონკრეტული მწარმოებლის მიერ წარმოებული კონკრეტული პროდუქტი ან/და პროდუქტების სერია არ შეესაბამება აღნიშნული პროდუქტისთვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს ან/და შეიცავს დადასტურებულ საფრთხეს, იგი უფლებამოსილია, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შეუსაბამობის/დადასტურებული საფრთხის შესაბამისად, დაუყოვნებლივ მოსთხოვოს ეკონომიკურ ოპერატორს პროდუქტის/პროდუქტების რეალიზაციის შეჩერება, ბაზრიდან ამოღება, გამოთხოვა ან/და განადგურება ეკონომიკური ოპერატორის ხარჯზე. | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 11.2 | ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოებმა უნდა გამოიყენონ საკუთარი უფლებამოსილებები და შეასრულონ საკუთარი მოვალეობები დამოუკიდებლად, ობიექტურად და მიუკერძიებლად. | N1 | 1.3. ($13^3$.2) | 2. ბაზარზე ზედამხედველობის ორგანო თავის უფლებამოსილებას ახორციელებს პროპორციულობის პრინციპის დაცვით, დამოუკიდებლად, ობიექტურად და მიუკერძოებლად. | სშ | |
| 11.3 | ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოებმა, ამ მუხლის პირველ პუნქტში განსაზღვრული საქმიანობების ფარგლებში, უნდა განახორციელონ პროდუქტების მახასიათებლების სათანადო შემოწმება, სათანადო მასშტაბით, დოკუმენტური შემოწმებებისა და, შესაბამის შემთხვევებში, სათანადო ნიმუშების საფუძველზე ფიზიკური და ლაბორატორიული შემოწმებების მეშვეობით, საკუთარი რესურსებისა და ქმედებების პრიორიტეტიზაციის გათვალისწინებით, რათა უზრუნველყოფილი იყოს ბაზარზე ეფექტიანი ზედამხედველობა, მე-13 მუხლში განსაზღვრული ბაზარზე ზედამხედველობის ეროვნული სტრატეგიის გათვალისწინებით. | N1 | 1.3 ($13^4$.1-10) | 1. საქართველოს ბაზარზე პროდუქტის ზედამხედველობა ხორციელდება ამ თავით, ბაზარზე ზედამხედველობის განხორციელების, პროდუქტის რეალიზაციის შეჩერების, ბაზრიდან ამოღების, გამოთხოვისა და განადგურების წესისა და პროდუქტთან დაკავშირებული საფრთხის კატეგორიების განსაზღვრის წესის შესაბამისად, რომლებიც მტკიცდება საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტებით.<br><br>2. საქართველოს ბაზარზე პროდუქტის ზედამხედველობა ხორციელდება:<br><br>ა) რისკის ანალიზის საფუძველზე ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს მიერ შემუშავებული გეგმის მიხედვით;<br><br>ბ) თუ ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს აქვს საფუძვლიანი ეჭვი ან ინფორმაცია პროდუქტთან დაკავშირებული რისკის შესახებ, | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | გადაწყვეტილებების მიღების პროცესში განსაზღვრისას თუ რომელი შემოწმებები უნდა განხორციელდეს რომელი ტიპის პროდუქტებისათვის და რა მასშტაბით, ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოებმა უნდა გამოიყენონ რისკზე დამყარებული მიდგომა და მხედველობაში მიიღონ შემდეგი ფაქტორები:<br><br>(a) პროდუქტებთან დაკავშირებული შესაძლო საფრთხეები და შეუსაბამობები და, თუკი ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომია, ბაზარზე მათი წარმოქმნის სიხშირე;<br><br>(b) ეკონომიკური ოპერატორის დაქვემდებარებაში არსებული საქმიანობები და ფუნქციონირება;<br><br>(c) კონკრეტული ეკონომიკური ოპერატორის წარსული გამოვლენილი შეუსაბამობების ისტორია; | | | კერძოდ, იმის თაობაზე, რომ პროდუქტის გამოყენება შესაძლოა საფრთხეს უქმნიდეს ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას ან/და გარემოს;<br><br>გ) თუ ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს აქვს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბაზარზე განთავსებული პროდუქტი არ შეესაბამება ამ კოდექსითა და შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ მოთხოვნებს.<br><br>3. საქართველოს ბაზარზე პროდუქტის ზედამხედველობა ხორციელდება დოკუმენტური შემოწმებით ან/და ტექნიკური შემოწმებით.<br><br>4. პროდუქტის დოკუმენტური შემოწმება ხორციელდება ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს მოთხოვნის საფუძველზე მისთვის პროდუქტთან დაკავშირებული, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტების მიწოდებით და მისი შედეგები ფორმდება შემოწმების ოქმით.<br><br>5. ბაზარზე განთავსებული პროდუქტის ტექნიკური შემოწმება ხორციელდება პროდუქტის ნიმუშის ტექნიკური | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | (d) საჭიროებისამებრ, 25-ე მუხლის პირველ პუნქტში განსაზღვრული ორგანოების მიერ განხორციელებული რისკის პროფილირება;<br><br>(e) მომხმარებელთა საჩივრები და სხვა ორგანოებისაგან, ეკონომიკური ოპერატორებისაგან, მედიისაგან თუ სხვა წყაროებიდან მიღებული სხვა ინფორმაცია, რომელიც შესაძლოა მიუთითებდეს შეუსაბამობაზე. | | | შემოწმებით/გამოცდით და მისი შედეგები ფორმდება შემოწმების ოქმით.<br><br>6. საქართველოს ბაზარზე პროდუქტის ზედამხედველობის განხორციელებისას ბაზარზე ზედამხედველობის ორგანო უფლებამოსილია შეამოწმოს როგორც მთლიანად პროდუქტის ყველა მახასიათებელი, ისე პროდუქტის კონკრეტული კომპონენტი ან ის მახასიათებელი, რომლის თაობაზედაც მას აქვს რისკის შესახებ ინფორმაცია ან/და საფუძვლიანი ეჭვი.<br><br>7. საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ბაზარზე ზედამხედველობის პროცედურები შესაძლებელია განხორციელდეს როგორც საქართველოს საბაჟო კონტროლის ზონაში, ასევე, პროდუქტის რეალიზაციის, წარმოების, დასაწყობებისა და შენახვის ადგილებში.<br><br>8. ბაზარზე ზედამხედველობის ორგანო უფლებამოსილია მოითხოვოს იმ პროდუქტის ნიმუშის/ნიმუშების მისთვის გადაცემა, რომლის თაობაზედაც მას აქვს ინფორმაცია ან/და საფუძვლიანი ეჭვი, რომ პროდუქტი შესაძლოა შეიცავდეს საფრთხეს ადამიანის სიცოცხლისთვის, ჯანმრთელობისთვის, საკუთრებისა და | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | გარემოსთვის, იმ რაოდენობით, რომელიც აუცილებელია ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ზედამხედველობის განხორციელებისთვის.<br><br>9. ამ მუხლის მე-8 ნაწილის მოქმედება არ ვრცელდება იმ პროდუქტზე, რომლის ფიზიკური მახასიათებლების ან/და სხვა თვისებრივი მახასიათებლების გამო ვერ მოხერხდება პროდუქტის ნიმუშის აღება. ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს გადაწყვეტილებით, აღნიშნული პროდუქტის შემოწმება შეიძლება ადგილზე განხორციელდეს.<br><br>10. ბაზარზე ზედამხედველობის ორგანო უფლებამოსილია დამოუკიდებლად განახორციელოს ზედამხედველობისადმი დაქვემდებარებული პროდუქტის ფარული შესყიდვა, თუ ეს ხელს შეუწყობს საფრთხის ეფექტიანად აღმოჩენასა და გამოვლენას. | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | N4 | 4-6 | **მუხლი 4. ზოგადი დებულებები**<br><br>1. ბაზარზე ზედამხედველობა ხორციელდება ორი სახით:<br><br>ა) პროაქტიულად – ბაზარზე ზედამხედველობის გეგმის შესაბამისად;<br><br>ბ) რეაქტიულად – არაგეგმურად, პროდუქტთან დაკავშირებული რისკის ან/და საფრთხის არსებობის შესახებ ინფორმაციის ან საფუძვლიანი ეჭვის შემთხვევაში.<br><br>2. ბაზარზე ზედამხედველობის მიზნებისთვის, სააგენტო მოქმედებს საფუძვლიან ეჭვსა და რისკის ანალიზზე დაყრდნობით, მათ შორის, იყენებს წარსულში განხორციელებული ზედამხედველობის შედეგებსა და ინფორმაციის წყაროების მეშვეობით მიღებულ ინფორმაციას, რათა განსაზღვროს რისკის შემცველი და კოდექსისა და ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან შეუსაბამო პროდუქტები და განახორციელოს ბაზარზე ზედამხედველობის პროცედურები, მათ შორის, წარმოებისა და მიწოდების ჯაჭვში ჩართული სუბიექტების იდენტიფიცირება, ბაზარზე შესაბამისი პროდუქტის მოცულობის დადგენა და | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | მოსახლეობაზე შესაძლო ზეგავლენის განსაზღვრა.<br><br>**მუხლი 5. ბაზარზე პროაქტიული ზედამხედველობა**<br>1. სააგენტო ბაზარზე პროაქტიულ ზედამხედველობას ახორციელებს ბაზარზე ზედამხედველობის გეგმის შესაბამისად, რომელიც მოიცავს ადამიანის სიცოცხლესთან, ჯანმრთელობასთან, საკუთრებასთან ან/და გარემოსთან დაკავშირებული რისკის შემცველ პროდუქტებს.<br>2. ბაზარზე ზედამხედველობის გეგმაში პროდუქტები შეიტანება რისკის ანალიზის საფუძველზე, შემდეგ ფაქტორებზე დაყრდნობით:<br><br>ა) ინფორმაციის წყაროებისგან მიღებულ პროდუქტთან დაკავშირებული რისკის შესახებ ინფორმაცია;<br>ბ) წარსულში პროდუქტთან დაკავშირებული დადასტურებული საფრთხის ან შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტებით განსაზღვრულ | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | მოთხოვნებთან შეუსაბამობის შესახებ არსებული ინფორმაცია;<br><br>გ) ბაზარზე განთავსებული პროდუქტის მახასიათებლები, მოცულობა და მომხმარებლებზე მისი შესაძლო ნეგატიური ზეგავლენა;<br><br>დ) პროდუქტები, რომელთა დანიშნულებით გამოყენება გამიზნულია მომხმარებელთა მოწყვლადი ჯგუფებისთვის.<br><br><br>**მუხლი 6. ბაზარზე რეაქტიული ზედამხედველობა**<br><br>1. ბაზარზე რეაქტიული ზედამხედველობა ხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც სააგენტოს, ინფორმაციის წყაროებზე დაყრდნობით, გააჩნია შემდეგი ინფორმაცია:<br><br>ა) ბაზარზე განთავსებული პროდუქტი არ შეესაბამება კოდექსითა და შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს ან/და შეიცავს დადასტურებულ/შესაძლო საფრთხეს;<br><br>ბ) ავარიის ან/და უბედური შემთხვევის შესახებ, რომელსაც მოჰყვა ადამიანის | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი დაზიანება ან ფატალური შედეგი. | | |
| 11.4 | კომისიას, ქსელთან კონსულტირების შემდგომ, შეუძლია დაამტკიცოს ნორმატიული აქტები, რომლებიც განსაზღვრავენ შემოწმებების პირობებს, შემოწმებების სიხშირის განსაზღვრის კრიტერიუმებს და შესამოწმებელი ნიმუშების რაოდენობას, გარკვეულ პროდუქტებთან ან პროდუქტების კატეგორიებთან დაკავშირებით, როდესაც ხდება კონკრეტული საფრთხეების ან კავშირის ჰარმონიზაციის შესაბამისი კანონმდებლობის სერიოზული დარღვევების იდენტიფიცირება, რათა უზრუნველყოფილი იყოს ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ან აღნიშნული კანონმდებლობით დაცული სხვა საჯარო ინტერესების დაცვის მაღალი დონე. ეს ნორმატიული აქტები უნდა დამტკიცდეს 43-ე მუხლის მე-2 პუნქტში განსაზღვრული შემოწმების პროცედურის შესაბამისად. | | | | ას | დირექტივის მოცემული მუხლის ტრანსპოზციის მიზნებისთვის არარელევანტურია, ვინაიდან ადგენს კომისიის ვალდებულებას. |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 11.5 | იმ შემთხვევებში, როდესაც ეკონომიკური ოპერატორები წარადგენენ შემოწმების ანგარიშებსა თუ სერტიფიკატებს, რომლებიც ადასტურებენ მათი პროდუქტების შესაბამისობას ევროკავშირის ჰარმონიზებულ კანონმდებლობასთან და რომლებიც გაცემულია შესაბამისობის შემფასებელი ორგანოს მიერ, რომელსაც გააჩნია აკრედიტაცია (EC) No 765/2008 რეგულაციის შესაბამისად, ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოებმა უნდა მიიღონ მხედველობაში აღნიშნული ანგარიშები თუ სერტიფიკატები. | N2 | 92 | 1. პროდუქტის უსაფრთხოების სათანადო სტანდარტებისა და განვითარებული ხარისხის ინფრასტრუქტურის მქონე ქვეყნებში დადგენილი წესით გაცემული შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტები აღიარებულად ითვლება დამატებითი პროცედურების გარეშე. ასეთ შემთხვევაში შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი წარმოდგენილი უნდა იქნეს ინგლისურ ენაზე ან ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანით. ასეთი ქვეყნების ნუსხას განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.<br>2. საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევაში შესაბამისობის შეფასებას ახორციელებს საქართველოში ან MRA-ის (ურთიერთაღიარების შეთანხმება)/MLA-ის (მრავალმხრივი აღიარების შეთანხმება), ILAC-ის (საერთაშორისო თანამშრომლობა ლაბორატორიების აკრედიტაციაში), IAF (აკრედიტაციის საერთაშორისო ფორუმი), EA-ის (ევროპული თანამშრომლობა აკრედიტაციაში) ხელმომწერ სახელმწიფოში აკრედიტებული შესაბამისობის შემფასებელი პირი. | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 11.6 | ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს მიერ ერთ წევრ სახელმწიფოში გამოყენებული მტკიცებულებები შეიძლება გამოყენებული იქნეს ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოების მიერ სხვა წევრ სახელმწიფოში პროდუქტის შესაბამისობის მიზნით ჩატარებული გაკვლევის ფარგლებში, რაიმე სხვა ოფიციალური სავალდებულო მოთხოვნების გარეშე. | N1 | 1.3. ($13^2$.1) | კ) დადასტურებული საფრთხე – შესაბამისი აკრედიტებული ან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული ლაბორატორიის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს მიერ ბაზარზე განთავსებული პროდუქტის ნიმუშის ტექნიკური შემოწმების განხორციელებით ან/და საქართველოს ან/და სხვა ქვეყნის საბაჟო ორგანოსგან/ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოსგან ან პროდუქტთან დაკავშირებული საფრთხის თაობაზე ინფორმაციის გაზიარების საერთაშორისო/რეგიონალური სისტემის მეშვეობით მიღებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ პროდუქტის გამოყენება/ექსპლუატაცია საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას ან/და გარემოს; | სშ | |
| 11.7 | ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოებმა უნდა შეიმუშაონ შემდეგი პროცედურები იმ პროდუქტებთან დაკავშირებით, რომლებზეც ვრცელდება ევროკავშირის ჰარმონიზებული კანონმდებლობის | N1 | 1.3. ($13^6$.2) | 2. თუ შემოწმებით გამოვლინდა დოკუმენტური შეუსაბამობა ან/და ტექნიკური შეუსაბამობა, რომელიც საფრთხეს არ უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მოქმედება:<br><br>(a) საფრთხეებთან ან შეუსაბამობასთან დაკავშირებულ საჩივრებსა და ანგარიშებთან დაკავშირებული პროცედურები;<br><br>(b) პროცედურები იმის გადასამოწმებლად, რომ ეკონომიკური ოპერატორის მიერ განხორციელდა შესაბამისი ქმედებები; | <br><br><br><br><br><br><br><br><br><br><br><br><br><br><br><br><br><br><br><br><br><br><br><br>N1 | <br><br><br><br><br><br><br><br><br><br><br><br><br><br><br><br><br><br><br><br><br><br><br><br>1.3.<br><br>$(13^{6}.9)$ | ან/და გარემოს, ეკონომიკურ ოპერატორს დაეკისრება ამ კოდექსის $13^{11}$ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. ბაზარზე ზედამხედველობის ორგანო უფლებამოსილია ეკონომიკურ ოპერატორს შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად განუსაზღვროს გონივრული ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 30 დღეს. თუ ეკონომიკური ოპერატორი აღნიშნულ ვადაში ვერ აღმოფხვრის შეუსაბამობას, ბაზარზე ზედამხედველობის ორგანო უფლებამოსილია მას მოსთხოვოს პროდუქტის რეალიზაციის შეჩერება შეუსაბამობის აღმოფხვრამდე. შეუსაბამობის აღმოფხვრის შემთხვევაში ეკონომიკური ოპერატორი ვალდებულია ამის თაობაზე შეატყობინოს ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს, რომელიც ვალდებულია გადაამოწმოს შეუსაბამობის აღმოფხვრის ფაქტი.<br><br><br>9. ეკონომიკური ოპერატორის მიერ პროდუქტის რეალიზაციის შეჩერების, ბაზრიდან ამოღების ან/და გამოთხოვის შესახებ დადგენილების შეუსრულებლობის შემთხვევაში ბაზარზე | | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ზედამხედველობის ორგანო ვალდებულია გონივრულ ვადაში განმეორებით შეამოწმოს ეკონომიკური ოპერატორის მიერ შესაბამისი დადგენილების შესრულების ფაქტი. თუ ამ დადგენილების შესრულების განმეორებითი შემოწმების დროს აღმოჩნდა, რომ ეკონომიკურმა ოპერატორმა არ შეასრულა აღნიშნული დადგენილებით განსაზღვრული ვალდებულებები, მას დაეკისრება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ამ კოდექსის შესაბამისად. | | |
| | | N4 | 7 | 1. ამ წესის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტითა და მე-6 მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია (შეტყობინება), გარდა სხვა ქვეყნის საბაჟო ორგანოსგან, ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოსგან, მათი წარმომადგენლისა და ინფორმაციის გაზიარების საერთაშორისო/რეგიონული სისტემებისგან ან/და ინფორმაციის გავრცელების მასობრივი საშუალებებით მიღებული ინფორმაციისა, სააგენტოს წარედგინება წერილობითი ფორმით, მატერიალურად ან/და ელექტრონულად. | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | 2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინების ფორმა, მისი წარდგენისა და განხილვის წესი მტკიცდება სააგენტოს უფროსის შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.<br><br>3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შეტყობინებასა და სხვა ქვეყნის საბაჟო ორგანოსგან, ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოსა და ინფორმაციის გაზიარების საერთაშორისო/რეგიონული სისტემებისგან ან/და ინფორმაციის გავრცელების მასობრივი საშუალებებით მიღებულ ინფორმაციაზე სააგენტო რეაგირებას ახდენს რისკის ანალიზის საფუძველზე. | | |
| 11.8 | ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოებმა სხვა წევრ სახელმწიფოებში მათ პარტნიორებთან კომუნიკაციისა და კოორდინაციის უზრუნველყოფის მიზნით, უნდა მიიღოს მონაწილეობა ადმინისტრაციული თანამშრომლობის ჯგუფებში (ADCOს), როგორც ეს განსაზღვრულია 30-ე მუხლის მე-2 პუნქტში. | **N1** | **1.3. (13$^3$.3)** | 3. ბაზარზე ზედამხედველობის ორგანო საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მიზნების განსახორციელებლად და მისთვის დაკისრებული ფუნქციების შესასრულებლად თანამშრომლობს საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებების ორგანოებთან, შესაბამის საერთაშორისო და ევროპულ ორგანიზაციებთან და სხვა | ნშ | ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო თანამშრომლობს შესაბამის საერთაშორისო და ევროპულ ორგანიზაციებთან, მათ შორის, დამკვირვებლის სტატუსით |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ქვეყნების ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოებთან; | | მონაწილეობს სხვადასხვა ADCO ჯგუფის აქტივობებში. ამასთან, აღნიშნული ნორმა იმპერატიულ ვალდებულებას აწესებს მხოლოდ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისთვის. |
| 11.9 | თუკი აღნიშნული არ ეწინააღმდეგება შესაბამისი ევროკავშირის კანონმდებლობით გათვალისწინებული ევროკავშირის უსაფრთხოების პროცედურების მოთხოვნებს, ის პროდუქტები, რომლებიც ჩაითვლებიან შეუსაბამოდ ერთ წევრი სახელმწიფოში ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, ჩაითვლებიან სავარაუდოდ შეუსაბამოდ ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოთა მიერ სხვა წევრ სახელმწიფოებში, თუ ბაზარზე ზედამხედველობის შესაბამისმა ორგანომ არ მიიღო საპირისპირო დაასკვნა, საკუთარი კვლევის საფუძველზე, ეკონომიკური ოპერატორის მიერ შეტანილი წვლილის გათვალისწინებით. | **N1** | **1.3. ($13^2.1$)** | კ) დადასტურებული საფრთხე – შესაბამისი აკრედიტებული ან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული ლაბორატორიის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს მიერ ბაზარზე განთავსებული პროდუქტის ნიმუშის ტექნიკური შემოწმების განხორციელებით ან/და საქართველოს ან/და სხვა ქვეყნის საბაჟო ორგანოსგან/ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოსგან ან პროდუქტთან დაკავშირებული საფრთხის თაობაზე ინფორმაციის გაზიარების საერთაშორისო/რეგიონალური სისტემის მეშვეობით მიღებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ პროდუქტის გამოყენება/ექსპლუატაცია საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ჯანმრთელობას, საკუთრებას ან/და გარემოს; | | |
| | | N1 | 1.3. (13⁴.3) | 3. საქართველოს ბაზარზე პროდუქტის ზედამხედველობა ხორციელდება დოკუმენტური შემოწმებით ან/და ტექნიკური შემოწმებით. | | |
| | | N1 | 1.3. (13⁴.5) | 5. ბაზარზე განთავსებული პროდუქტის ტექნიკური შემოწმება ხორციელდება პროდუქტის ნიმუშის ტექნიკური შემოწმებით/გამოცდით და მისი შედეგები ფორმდება შემოწმების ოქმით. | | |
| | | N1 | 1.3. (13⁶.1) | 1. თუ ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს აქვს ინფორმაცია, რომ კონკრეტული მწარმოებლის მიერ წარმოებული კონკრეტული პროდუქტი ან/და პროდუქტების სერია არ შეესაბამება აღნიშნული პროდუქტისთვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს ან/და შეიცავს დადასტურებულ საფრთხეს, იგი უფლებამოსილია, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | შეუსაბამობის/დადასტურებული საფრთხის შესაბამისად, დაუყოვნებლივ მოსთხოვოს ეკონომიკურ ოპერატორს პროდუქტის/პროდუქტების რეალიზაციის შეჩერება, ბაზრიდან ამოღება, გამოთხოვა ან/და განადგურება ეკონომიკური ოპერატორის ხარჯზე. | | |
| 12 | 1. უნდა მოხდეს ექსპერტთა შეფასების ორგანიზება ბაზარზე ზედამხედველობის იმ ორგანოებისათვის, რომლებსაც გააჩნიათ ამგვარ შეფასებაში მონაწილეობის სურვილი, რათა გაძლიერდეს ბაზარზე ზედამხედველობის საქმიანობის თანმიმდევრულობა, ამ რეგულაციის გამოყენების კუთხით.<br><br>2. ქსელმა უნდა შეიმუშაოს მეთოდოლოგია და რეგულარულად განახლებადი გეგმა, ბაზარზე ზედამხედველობის მონაწილე მხარეებს შორის ექსპერტთა შეფასების ჩატარების მიზნით მეთოდოლოგიის და რეგულარულად განახლებადი გეგმის შემუშავებისას, ქსელმა მხედველობაში უნდა მიიღოს სულ მცირე წევრ სახელმწიფოებში არსებული ბაზარზე | | | | ას | აღნიშნული ნორმა არეგულირებს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოების ურთიერთშეფასების ფორმატს. შესაბამისად, მისი მოქმედება ვრცელდება მხოლოდ წევრ სახელმწიფოებზე. |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ზედამხედველობის ორგანოების რაოდენობა და განზომილებები, ხელმისაწვდომი პერსონალის რაოდენობა და სხვა რესურსები ექსპერტთა შეფასების ჩასატარებლად, ასევე სხვა შესაბამისი კრიტერიუმები.<br><br>3. ექსპერტთა შეფასება უნდა მოიცავდეს ბაზარზე ზედამხედველობის ზოგიერთი ორგანოების მიერ შემუშავებულ საუკეთესო პრაქტიკას, რომელიც შესაძლოა სასარგებლო იყოს ბაზარზე ზედამხედველობის სხვა ორგანოებისათვის, ასევე ბაზარზე ზედამხედველობის საქმიანობის ეფექტიანობასთან დაკავშირებულ სხვა შესაბამის ასპექტებს.<br><br>4. ანგარიში კოლეგიალური კონსულტაციების შედეგების შესახებ უნდა წარედგინოს ქსელს. | | | | | |
| 13 | 1. თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს ბაზარზე ზედამხედველობის ყოვლისმომცველი ეროვნული სტრატეგია, სულ მცირე ოთხ წელიწადში ერთხელ. თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს პირველი ასეთი სტრატეგია 2022 წლის 16 ივლისამდე. ეროვნულმა სტრატეგიამ ხელი უნდა | N1 | 1.1 | **„მუხლი 3[1]. ბაზარზე ზედამხედველობის ეროვნული სტრატეგია**<br><br>1. ბაზარზე ზედამხედველობის ეროვნული სტრატეგია განსაზღვრავს რეგულირებული სფეროსთვის მიკუთვნებული პროდუქტების ბაზარზე ზედამხედველობის განხორციელების პოლიტიკის პრიორიტეტებს, მიზნებსა და ამოცანებს და აყალიბებს მიდგომებს | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | შეუწყოს თანმიმდევრულ, ყოვლისმომცველ და ინტეგრირებულ მიდგომას ბაზარზე ზედამხედველობის და წევრი სახელმწიფოს ტერიტორიის ფარგლებში კავშირის ჰარმონიზაციის კანონმდებლობის აღსრულების მიმართ. ბაზარზე ზედამხედველობის ეროვნული სტრატეგიის შემუშავების პროცესში, მხედველობაში უნდა მივიღოთ ყველა სექტორი, რომელზეც ვრცელდება კავშირის ჰარმონიზაციის კანონმდებლობა და პროდუქტის მიწოდების ჯაჭვის ყველა ეტაპი, მათ შორის იმპორტისა და ციფრული მიწოდების ჩათვლით. ასევე, შესაძლოა განხილულ იყოს ქსელის სამუშაო პროგრამით განსაზღვრული პრიორიტეტები.<br><br>2. ბაზარზე ზედამხედველობის ეროვნული სტრატეგია უნდა მოიცავდეს სულ მცირე შემდეგ ელემენტებს, როდესაც ეს არ უქმნის საფრთხეს ბაზარზე ზედამხედველობის საქმიანობას:<br>(a) ხელმისაწვდომი ინფორმაცია შეუსაბამო პროდუქტების წარმოშობის შესახებ, კერძოდ მე-11 მუხლის მე-3 პუნქტში და 25-ე მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული შემოწმებებისა და კონტროლის გათვალისწინებით და | | | დასახული მიზნების/ამოცანების განსახორციელებლად.<br><br>2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო უზრუნველყოფს ბაზარზე ზედამხედველობის ეროვნული სტრატეგიის შემუშავებას, სულ მცირე, 4 წელიწადში ერთხელ. | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | საჭიროების შემთხვევაში, ბაზარზე არსებული იმ ტენდენციების შესახებ, რომლებმაც შესაძლოა მოახდინოს ზემოქმედება შეუსაბამობების რაოდენობაზე პროდუქტების კატეგორიებისათვის, ასევე ახალ ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ საფრთხეებსა და რისკებზე.<br><br>(b) წევრ სახელმწიფოთა მიერ ევროკავშირის ჰარმონიზებული კანონმდებლობის აღსრულების პრიორიტეტების სახით იდენტიფიცირებული სფეროები;<br><br>(c) სააღსრულებო ღონისძიებები, რომლებიც დაგეგმილია შეუსაბამობების შემცირების მიზნით პრიორიტეტებად იდენტიფიცირებულ სფეროებში, მათ შორის, საჭიროებისამებრ, მინიმალური საკონტროლო დონეების ჩათვლით, რომლებიც გათვალისწინებულია პროდუქტების იმ კატეგორიებისათვის, რომლებსაც ახასიათებთ შეუსაბამობის მნიშვნელოვანი დონე.<br><br>(d) სხვა წევრი სახელმწიფოების ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოებთან თანამშრომლობის შეფასება, როგორც ეს განსაზღვრულია | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მე-11 მუხლის მე-8 პუნქტში და VI თავში.<br><br>3. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გაუზიარონ ბაზარზე ზედამხედველობის საკუთარი ეროვნული სტრატეგიები კომისიასა და სხვა წევრ სახელმწიფოებს, 34-ე მუხლში განსაზღვრული საინფორმაციო და საკომუნიკაციო სისტემის მეშვეობით. თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ უნდა გამოაქვეყნოს საკუთარი სტრატეგიის შეჯამება. | | | | | |
| 14.1 | წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიანიჭონ მათ ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოებს ბაზარზე ზედამხედველობის, გამოკვლევისა და აღსრულების უფლებამოსილებები, რომლებიც აუცილებელია ამ რეგულაციის და ევროკავშირის ჰარმონიზებული კანონმდებლობის გამოყენებისათვის. | N1 | 1.3.<br><br>($13^3$.1) | 1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო, წარმოადგენს ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს საქართველოს ბაზარზე განთავსებულ იმ პროდუქტებზე, რომლებისთვისაც ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოდ, შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტით, განსაზღვრულია ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო. | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | N1<br><br>N1 | 1.3 ($13^4$.1)<br><br>1.3 ($13^3$.4) | 1. საქართველოს ბაზარზე პროდუქტის ზედამხედველობა ხორციელდება ამ თავით, ბაზარზე ზედამხედველობის განხორციელების, პროდუქტის რეალიზაციის შეჩერების, ბაზრიდან ამოღების, გამოთხოვისა და განადგურების წესისა და პროდუქტთან დაკავშირებული საფრთხის კატეგორიების განსაზღვრის წესის შესაბამისად, რომლებიც მტკიცდება საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტებით.<br><br>4. ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს სტრუქტურა, უფლებამოსილება, საქმიანობის წესი და სხვა ორგანიზაციული საკითხები განისაზღვრება ამ სააგენტოს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი. | | |
| 14.2 | ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოებმა უნდა გამოიყენონ ამ მუხლში განსაზღვრული უფლებამოსილებები ეფექტურად და ეფექტიანად, პროპორციულობის | N4 | 2.2 | ბაზარზე ზედამხედველობა უნდა განხორციელდეს პროპორციულობის პრინციპის დაცვით, რაც გულისხმობს, რომ შემზღუდველი ღონისძიებების შესახებ ბაზარზე ზედამხედველობის | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | პრინციპის შესაბამისად, იმდენად, რამდენადაც ეს განხორციელება ეხება ღონისძიების შინაარსთან და მიზანთან და შეუსაბამობით გამოწვეულ პოტენციურ მთლიან, რეალურ ან შესაძლო ზიანს.<br><br>უფლებამოსილებათა მინიჭება და გამოყენება უნდა მოხდეს ევროკავშირის და ეროვნული კანონმდებლობის, მათ შორის ევროკავშირის ფუნდამენტური უფლებების ქარტიის პრინციპების შესაბამისად, ასევე ეროვნული კანონმდებლობის იმ პრინციპების შესაბამისად, რომლებიც დაკავშირებულია გამოხატვის თავისუფლებასთან და მედიის თავისუფლებასა და პლურალიზმთან, ასევე შესაბამისი პროცედურული მექანიზმების და მონაცემთა დაცვის შესახებ ევროკავშირის წესების, კერძოდ (EU) 2016/679 რეგულაციის თანახმად. | | | ორგანოს გადაწყვეტილება უნდა იყოს ბაზარზე განთავსებულ პროდუქტზე გამოვლენილი შეუსაბამობის ტიპის, შესაძლო ზიანისა და საფრთხის სიმძიმის თანაზომიერი. | | |
| 14.3 | წევრმა ქვეყნებმა, პირველი პუნქტის შესაბამისად უფლებამოსილების მინიჭებისას, შეიძლება განსაზღვრონ, რომ ეს უფლებამოსილება განხორციელდეს ერთ-ერთი შემდეგი ფორმით, საჭიროებისამებრ: | N1 | 1.3.<br><br>($13^3$.1) | 1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო წარმოადგენს ბაზარზე | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | (a) უშუალოდ ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოთა მიერ, მათი საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში;<br><br>(b) სხვა სახელმწიფო ორგანოების მიმართვა უფლებამოსილებების განაწილების და შესაბამისი წევრი სახელმწიფოს ინსტიტუციური და ადმინისტრაციული ორგანიზაციის შესაბამისად;<br><br>(c) იმ სასამართლოებისათვის მიმართვისას, რომლებსაც გააჩნიათ ამ უფლებამოსილების განხორციელების დამტკიცებისათვის აუცილებელი გადაწყვეტილების მიღების კომპეტენცია, მათ შორის, საჭიროებისამებრ, გასაჩივრების საფუძველზე, თუ აუცილებელი გადაწყვეტილების მისაღებად შეტანილი განაცხადი არ იყო წარმატებული. | N1 | 1.3<br><br>(13³.4) | ზედამხედველობის ორგანოს საქართველოს ბაზარზე განთავსებულ იმ პროდუქტებზე, რომლებისთვისაც ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოდ, შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტით, განსაზღვრულია ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო.<br><br>4. ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს სტრუქტურა, უფლებამოსილება, საქმიანობის წესი და სხვა ორგანიზაციული საკითხები განისაზღვრება ამ სააგენტოს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი. | | |
| 14.4 (a) | ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოებისათვის პირველი პუნქტის შესაბამისად მინიჭებული უფლებამოსილებები უნდა მოიცავდეს, სულ მცირე, შემდეგ უფლებამოსილებებს: | N1 | 1.3.<br><br>(13⁴.3-13⁴.4) | 3. საქართველოს ბაზარზე პროდუქტის ზედამხედველობა ხორციელდება დოკუმენტური შემოწმებით ან/და ტექნიკური შემოწმებით.<br><br>4. პროდუქტის დოკუმენტური შემოწმება ხორციელდება ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს მოთხოვნის | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | (a) უფლებამოსილება მოთხოვოს ეკონომიკურ ოპერატორებს შესაბამისი დოკუმენტების, ტექნიკური სპეციფიკაციების, მონაცემებისა თუ ინფორმაციის წარდგენა პროდუქტის შესაბამისობისა და ტექნიკური ასპექტების შესახებ, მათ შორის წვდომა ჩაშენებულ პროგრამულ უზრუნველყოფაზე, იმდენად, რამდენადაც ამგვარი წვდომა აუცილებელია პროდუქტის შესაბამის ევროკავშირის ჰარმონიზებულ კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესაფასებლად, ნებისმიერი ფორმითა თუ ფორმატით და განურჩევლად შენახვის საშუალებისა თუ იმ ადგილისა სადაც ინახება ამგვარი დოკუმენტები, ტექნიკური სპეციფიკაციები, მონაცემები თუ ინფორმაცია და აიღოს ან მოიპოვოს აღნიშნული ინფორმაციის ასლები. | N4<br><br>N4 | 9.4<br><br>9.7-9.8 | საფუძველზე მისთვის პროდუქტთან დაკავშირებული, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტების მიწოდებით და მისი შედეგები ფორმდება შემოწმების ოქმით.<br><br>4. ბაზარზე ზედამხედველობისას სააგენტო უფლებამოსილია, შეამოწმოს პროდუქტის შესაბამისობა კოდექსითა და შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ მოთხოვნებთან.<br><br>7. სააგენტოს წარმომადგენლის მოთხოვნის საფუძველზე, ეკონომიკური ოპერატორი ვალდებულია, სააგენტოს მიაწოდოს პროდუქტთან დაკავშირებული, კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი დოკუმენტაცია.<br><br>8. ბაზარზე ეფექტიანი ზედამხედველობის განსახორციელებლად, სააგენტო უფლებამოსილია, გამოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია პროდუქტის ბაზარზე განთავსების თარიღის, ასევე | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | გაყიდული და ბაზარზე განთავსებული პროდუქტის რაოდენობის შესახებ. | | |
| 14.4 (b) | (b) უფლებამოსილება მოთხოვოს ეკონომიკურ ოპერატორებს შესაბამისი ინფორმაციის წარდგენა მიწოდების ჯაჭვის, სადისტრიბუციო ქსელის დეტალების, ბაზარზე არსებული პროდუქტების რაოდენობების და სხვა პროდუქტების მოდელების შესახებ, რომლებსაც გააჩნიათ იგივე ტექნიკური მახასიათებლები, რაც ზემოთხსენებულ პროდუქტს, საჭიროებისამებრ ევროკავშირის ჰარმონიზაციის ფარგლებში არსებული შესაბამისი მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით. | N1<br><br>N4 | 1.3.<br>(13$^{5}$.5)<br><br>9.8 | 5. ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს მოთხოვნის შემთხვევაში, ეკონომიკური ოპერატორი ვალდებულია, მიაწოდოს ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს პროდუქტთან დაკავშირებული, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტები და ინფორმაცია, მათ შორის, პროდუქტის ბაზარზე მიწოდების ჯაჭვში ჩართული ეკონომიკური ოპერატორების შესახებ.<br><br>8. ბაზარზე ეფექტიანი ზედამხედველობის განსახორციელებლად, სააგენტო უფლებამოსილია, გამოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია პროდუქტის ბაზარზე განთავსების თარიღის, ასევე გაყიდული და ბაზარზე განთავსებული პროდუქტის რაოდენობის შესახებ. | სშ | |
| 14.4 (c) | (c) უფლებამოსილება მოთხოვოს ეკონომიკურ ოპერატორებს შესაბამისი ინფორმაციის წარდგენა, რომელიც აუცილებელია ვებ-გვერდების | | | | შ | ამ ეტაპზე, საქართველოში ბაზარზე ზედამხედველობა არ |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | საკუთრების დასადგენად, როდესაც აღნიშნული ინფორმაცია დაკავშირებულია კვლევის საგანთან. | | | | | ხორციელდება დისტანციურ, მათ შორის, ონლაინ ვაჭრობაზე. აღნიშნული ნორმის ტრანსპოზიცია მოხდება დისტანციური ვაჭრობის მარეგულირებელი ნორმების დანერგვასთან ერთად. |
| 14.4 (d) | (d) გამოუცხადებელი ინსპექტირებისა და პროდუქტების ფიზიკური შემოწმების ადგილზე განხორციელების უფლებამოსილება; | N1 | 1.3.<br><br>($13^4$.6-7) | 6. საქართველოს ბაზარზე პროდუქტის ზედამხედველობის განხორციელებისას ბაზარზე ზედამხედველობის ორგანო უფლებამოსილია შეამოწმოს როგორც მთლიანად პროდუქტის ყველა მახასიათებელი, ისე პროდუქტის კონკრეტული კომპონენტი ან ის მახასიათებელი, რომლის თაობაზედაც მას აქვს რისკის შესახებ ინფორმაცია ან/და საფუძვლიანი ეჭვი.<br><br>7. საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ბაზარზე ზედამხედველობის პროცედურები შესაძლებელია განხორციელდეს როგორც საქართველოს საბაჟო კონტროლის | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | N4<br><br>N4 | 4.1<br><br>11.2 | ზონაში, ასევე, პროდუქტის რეალიზაციის, წარმოების, დასაწყობებისა და შენახვის ადგილებში.<br><br>1. ბაზარზე ზედამხედველობა ხორციელდება ორი სახით:<br><br>ა) პროაქტიულად – ბაზარზე ზედამხედველობის გეგმის შესაბამისად;<br>ბ) რეაქტიულად – არაგეგმურად, პროდუქტთან დაკავშირებული რისკის ან/და საფრთხის არსებობის შესახებ ინფორმაციის ან საფუძვლიანი ეჭვის შემთხვევაში.<br><br>2. სააგენტო უფლებამოსილია, ნიმუშის ტექნიკური შემოწმება განახორციელოს ადგილზე და, საჭიროების შემთხვევაში, გადააგზავნოს შესაბამის აკრედიტებულ ლაბორატორიაში გამოსაცდელად. | | |
| 14.4 (e) | (e) ნებისმიერ იმ ტერიტორიაზე, მიწაზე თუ სატრანსპორტო საშუალებაში შესვლის უფლებამოსილება, რომელსაც კონკრეტული ეკონომიკური | N1 | 1.3.<br>($13^4$.7) | 7. საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ბაზარზე ზედამხედველობის პროცედურები შესაძლებელია განხორციელდეს როგორც | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ოპერატორი იყენებს ვაჭრობასთან, ბიზნესთან, ხელობასთან ან პროფესიასთან დაკავშირებული მიზნებისთვის, შეუსაბამობის დადგენისა და მტკიცებულებების მისაღებად. | | | საქართველოს საბაჟო კონტროლის ზონაში, ასევე, პროდუქტის რეალიზაციის, წარმოების, დასაწყობებისა და შენახვის ადგილებში. | | |
| 14.4 (f) | (f) გამოძიების დაწყების უფლებამოსილება ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოების ინიციატივით, რათა მოხდეს შეუსაბამობების იდენტიფიცირება და აღმოფხვრა; | N1 | 1.3.<br>($13^4$.2) | 2. საქართველოს ბაზარზე პროდუქტის ზედამხედველობა ხორციელდება:<br>ა) რისკის ანალიზის საფუძველზე ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს მიერ შემუშავებული გეგმის მიხედვით;<br>ბ) თუ ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს აქვს საფუძვლიანი ეჭვი ან ინფორმაცია პროდუქტთან დაკავშირებული რისკის შესახებ, კერძოდ, იმის თაობაზე, რომ პროდუქტის გამოყენება შესაძლოა საფრთხეს უქმნიდეს ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას ან/და გარემოს;<br>გ) თუ ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს აქვს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბაზარზე განთავსებული პროდუქტი არ შეესაბამება ამ კოდექსითა და შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ მოთხოვნებს. | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | N4 | 4 | 1. ბაზარზე ზედამხედველობა ხორციელდება ორი სახით:<br>ა) პროაქტიულად – ბაზარზე ზედამხედველობის გეგმის შესაბამისად;<br>ბ) რეაქტიულად – არაგეგმურად, პროდუქტთან დაკავშირებული რისკის ან/და საფრთხის არსებობის შესახებ ინფორმაციის ან საფუძვლიანი ეჭვის შემთხვევაში.<br>2. ბაზარზე ზედამხედველობის მიზნებისთვის, სააგენტო მოქმედებს საფუძვლიან ეჭვსა და რისკის ანალიზზე დაყრდნობით, მათ შორის, იყენებს წარსულში განხორციელებული ზედამხედველობის შედეგებსა და ინფორმაციის წყაროების მეშვეობით მიღებულ ინფორმაციას, რათა განსაზღვროს რისკის შემცველი და კოდექსისა და ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან შეუსაბამო პროდუქტები და განახორციელოს ბაზარზე ზედამხედველობის პროცედურები, მათ შორის, წარმოებისა და მიწოდების ჯაჭვში ჩართული სუბიექტების იდენტიფიცირება, ბაზარზე შესაბამისი პროდუქტის მოცულობის დადგენა და | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | მოსახლეობაზე შესაძლო ზეგავლენის განსაზღვრა. | | |
| 14.4 (g) | (g) უფლებამოსილება მოთხოვოს ეკონომიკურ ოპერატორებს განახორციელონ შესაბამისი ქმედებები შეუსაბამობის ან რისკის აღმოფხვრის მიზნით; | N1 | 1.3. ($13^{6}$.2) | 2. თუ შემოწმებით გამოვლინდა დოკუმენტური შეუსაბამობა ან/და ტექნიკური შეუსაბამობა, რომელიც საფრთხეს არ უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას ან/და გარემოს, ეკონომიკურ ოპერატორს დაეკისრება ამ კოდექსის $13^{11}$ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. ბაზარზე ზედამხედველობის ორგანო უფლებამოსილია ეკონომიკურ ოპერატორს შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად განუსაზღვროს გონივრული ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 30 დღეს. თუ ეკონომიკური ოპერატორი აღნიშნულ ვადაში ვერ აღმოფხვრის შეუსაბამობას, ბაზარზე ზედამხედველობის ორგანო უფლებამოსილია მას მოსთხოვოს პროდუქტის რეალიზაციის შეჩერება შეუსაბამობის აღმოფხვრამდე. შეუსაბამობის აღმოფხვრის შემთხვევაში ეკონომიკური ოპერატორი ვალდებულია ამის თაობაზე შეატყობინოს ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს, რომელიც | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ვალდებულია გადაამოწმოს შეუსაბამობის აღმოფხვრის ფაქტი. | | |
| 14.4 (h) | (h) სათანადო ღონისძიებების განხორციელების უფლებამოსილება იმ შემთხვევებში, როდესაც ეკონომიკური ოპერატორი არ ახორციელებს შესაბამის მაკორექტირებელ ქმედებას ან როდესაც შეუსაბამობა ან რისკი ჯერ კიდევ ნარჩუნდება, მათ შორის პროდუქტის ბაზარზე ხელმისაწვდომობის აკრძალვის ან შეზღუდვის, ან ამ პროდუქტის ბაზრიდან ამოღების ან გამოთხოვის შესახებ ბრძანების გაცემის უფლებამოსილება; | N1 | 1.3. (13[6].1) | 1. თუ ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს აქვს ინფორმაცია, რომ კონკრეტული მწარმოებლის მიერ წარმოებული კონკრეტული პროდუქტი ან/და პროდუქტების სერია არ შეესაბამება აღნიშნული პროდუქტისთვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს ან/და შეიცავს დადასტურებულ საფრთხეს, იგი უფლებამოსილია, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შეუსაბამობის/დადასტურებული საფრთხის შესაბამისად, დაუყოვნებლივ მოსთხოვოს ეკონომიკურ ოპერატორს პროდუქტის/პროდუქტების რეალიზაციის შეჩერება, ბაზრიდან ამოღება, გამოთხოვა ან/და განადგურება ეკონომიკური ოპერატორის ხარჯზე. | სშ | |
| 14.4 (i) | (i) 41-ე მუხლის შესაბამისად ჯარიმების დაკისრების უფლებამოსილება; | N1 | 1.3. (13[11]) | 1. ისეთი პროდუქტის ბაზარზე განთავსება ან ისეთი პროდუქტის ბაზარზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, რომელიც არ | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | შეესაბამება აღნიშნული პროდუქტისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და საფრთხეს არ უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას ან/და გარემოს, –<br><br>გამოიწვევს დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით.<br><br>2. იგივე ქმედება, ჩადენილი პროდუქტის მწარმოებლის, ავტორიზებული წარმომადგენლის ან იმპორტიორის მიერ, –<br><br>გამოიწვევს დაჯარიმებას 1 500 ლარის ოდენობით.<br><br>3. ისეთი პროდუქტის ბაზარზე განთავსება ან ისეთი პროდუქტის ბაზარზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, რომელიც არ შეესაბამება აღნიშნული პროდუქტისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას ან/და გარემოს, –<br><br>გამოიწვევს დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით. | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | 4. იგივე ქმედება, ჩადენილი პროდუქტის მწარმოებლის, ავტორიზებული წარმომადგენლის ან იმპორტიორის მიერ, –<br><br>გამოიწვევს დაჯარიმებას 3 000 ლარის ოდენობით.<br><br>5. ისეთი პროდუქტის ბაზარზე განთავსება ან ისეთი პროდუქტის ბაზარზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, რომელიც არ შეესაბამება აღნიშნული პროდუქტისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და სერიოზულ საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას ან/და გარემოს, –<br><br>გამოიწვევს დაჯარიმებას 3 000 ლარის ოდენობით.<br><br>6. იგივე ქმედება, ჩადენილი პროდუქტის მწარმოებლის, ავტორიზებული წარმომადგენლის ან იმპორტიორის მიერ, –<br><br>გამოიწვევს დაჯარიმებას 4 000 ლარის ოდენობით. | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | 7. ეკონომიკური ოპერატორის მიერ ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოსთვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების შეუსრულებლობა –<br><br>გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.<br><br>8. 1 კალენდარული წლის განმავლობაში ამ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენა –<br><br>გამოიწვევს დაჯარიმებას შესაბამისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის განსაზღვრული ჯარიმის ორმაგი ოდენობით.<br><br>9. ამ მუხლის მიზნებისთვის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენა გულისხმობს სამართალდამრღვევის მიერ შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული პროდუქტის მიმართ აღნიშნული ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული | | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | მოთხოვნების დარღვევით იმავე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენას 1 კალენდარული წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც მას უკვე დაეკისრა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა აღნიშნული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისთვის.<br><br>10. ამ მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილება მიიღება დადგენილების სახით. თუ ამ დადგენილების ადრესატისთვის ჩაბარება ვერ ხერხდება, ეს დადგენილება ჩაბარებულად მიიჩნევა ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს. აღნიშნული დადგენილების საჯაროდ გამოქვეყნების წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით. | | |
| | | N1 | 1.3.<br><br>($13^{12}$) | 5. ამ კოდექსის $13^{11}$ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს განიხილავს ბაზარზე ზედამხედველობის ორგანო. | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 14.4 (j) | (j) პროდუქტის ნიმუშების მოპოვების უფლებამოსილება, მათ შორის ფარული შესყიდვის, რათა მოხდეს აღნიშნული ნიმუშების შემოწმება და დაბრუნება, შეუსაბამობის იდენტიფიცირებისა და მტკიცებულებათა მოპოვების მიზნით; | N1<br><br>N1 | 1.3. ($13^4$.8)<br><br>1.3. ($13^4$.10) | 8. ბაზარზე ზედამხედველობის ორგანო უფლებამოსილია მოითხოვოს იმ პროდუქტის ნიმუშის/ნიმუშების მისთვის გადაცემა, რომლის თაობაზედაც მას აქვს ინფორმაცია ან/და საფუძვლიანი ეჭვი, რომ პროდუქტი შესაძლოა შეიცავდეს საფრთხეს ადამიანის სიცოცხლისთვის, ჯანმრთელობისთვის, საკუთრებისა და გარემოსთვის, იმ რაოდენობით, რომელიც აუცილებელია ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ზედამხედველობის განხორციელებისთვის.<br><br>10. ბაზარზე ზედამხედველობის ორგანო უფლებამოსილია დამოუკიდებლად განახორციელოს ზედამხედველობისადმი დაქვემდებარებული პროდუქტის ფარული შესყიდვა, თუ ეს ხელს შეუწყობს საფრთხის ეფექტიანად აღმოჩენასა და გამოვლენას. | სშ | |
| 14.4 (k) | (k) იმ შემთხვევებში, როდესაც არ არსებობს სერიოზული რისკის აღმოფხვრის სხვა ეფექტიანი | | | | შ | იხ. კომენტარი რეგულაციის 14.4 (c) მუხლზე მე-7 სვეტში. |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | საშუალებები, შემდეგი უფლებამოსილებები:<br>(i) მოითხოვოს ონლაინ ინტერფეისიდან იმ შინაარსის წაშლა, რომელიც ეხება შესაბამის პროდუქტებს ან მოითხოვოს საბოლოო მომხმარებლებისათვის გაფრთხილების მკაფიო გზავნილის ჩვენება, როდესაც ისინი იყენებენ ონლაინ ინტერფეისს; ან<br>(ii) იმ შემთხვევებში, როდესაც არ მოხდა მოთხოვნის დაკმაყოფილება პირველი ქვეპუნქტის შესაბამისად, მოთხოვოს საზოგადოების ინფორმაციული მომსახურების მიმწოდებლებს, რომ შეზღუდონ წვდომა ონლაინ ინტერფეისზე, მათ შორის მესამე მხარისათვის ამგვარი ღონისძიებების განხორციელების შესახებ მიმართვის გზით. | | | | | |
| 14.5 | ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოებს შეუძლიათ გამოიყენონ ნებისმიერი ინფორმაცია, დოკუმენტი, განცხადება თუ ნებისმიერი კვლევა, მტკიცებულების სახით, მათი კვლევის მიზნებისათვის, | **N4** | **4.2** | 2. ბაზარზე ზედამხედველობის მიზნებისთვის, სააგენტო მოქმედებს საფუძვლიან ეჭვსა და რისკის ანალიზზე დაყრდნობით, მათ შორის, იყენებს წარსულში განხორციელებული ზედამხედველობის შედეგებსა და | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | განურჩევლად იმ ფორმატისა და საშუალებისა, რომელშიც ისინი ინახება; | N4 | 5.2 | ინფორმაციის წყაროების მეშვეობით მიღებულ ინფორმაციას, რათა განსაზღვროს რისკის შემცველი და კოდექსისა და ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან შეუსაბამო პროდუქტები და განახორციელოს ბაზარზე ზედამხედველობის პროცედურები, მათ შორის, წარმოებისა და მიწოდების ჯაჭვში ჩართული სუბიექტების იდენტიფიცირება, ბაზარზე შესაბამისი პროდუქტის მოცულობის დადგენა და მოსახლეობაზე შესაძლო ზეგავლენის განსაზღვრა.<br><br>2. ბაზარზე ზედამხედველობის გეგმაში პროდუქტები შეიტანება რისკის ანალიზის საფუძველზე, შემდეგ ფაქტორებზე დაყრდნობით:<br><br>ა) ინფორმაციის წყაროებისგან მიღებულ პროდუქტთან დაკავშირებული რისკის შესახებ ინფორმაცია;<br><br>ბ) წარსულში პროდუქტთან დაკავშირებული დადასტურებული საფრთხის ან შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შეუსაბამობის შესახებ არსებული ინფორმაცია; | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | გ) ბაზარზე განთავსებული პროდუქტის მახასიათებლები, მოცულობა და მომხმარებლებზე მისი შესაძლო ნეგატიური ზეგავლენა;<br><br>დ) პროდუქტები, რომელთა დანიშნულებით გამოყენება გამიზნულია მომხმარებელთა მოწყვლადი ჯგუფებისთვის. | | |
| 15 | 1. წევრმა სახელმწიფოებმა შესაძლოა მიანიჭონ ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოებს უფლებამოსილება, რომ მათ შეუსაბამობების აღმოჩენის შემთხვევაში დაიბრუნონ შესაბამისი ეკონომიკური ოპერატორისაგან ორგანოს მიერ გაწეული საქმიანობის ხარჯები სრულად.<br><br>2. ამ მუხლის პირველ პუნქტში განსაზღვრული ხარჯები შეიძლება მოიცავდეს შემოწმების განხორციელების ხარჯებს, 28-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების შესაბამისად ღონისძიებების განხორციელების ხარჯებს, შენახვის ხარჯებს და ასევე იმ საქმიანობის ხარჯებს, რაც დაკავშირებულია იმ პროდუქტებთან, რომლებიც აღმოჩნდნენ შეუსაბამო და რომლებიც, თავისუფალ მიმოქცევაში | N1 | 1.3.<br><br>($13^5$.9) | 9. თუ პროდუქტის ნიმუშის შემოწმებისა და ლაბორატორიული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ეს პროდუქტი არ შეესაბამება აღნიშნული პროდუქტისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, ეკონომიკური ოპერატორი ვალდებულია სრულად აანაზღაუროს პროდუქტის ნიმუშის ღირებულება, აგრეთვე პროდუქტის ნიმუშის შემოწმებისა და ლაბორატორიული კვლევისთვის გაწეული ხარჯები ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს მიერ მისთვის შესაბამისი მოთხოვნის ჩაბარებიდან 30 დღის განმავლობაში და გადახდის დამადასტურებელი ქვითარი ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს წარუდგინოს გადახდიდან 5 დღის ვადაში. აღნიშნული ქვითარი შეიძლება | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | გაშვებამდე ან ბაზარზე განთავსებამდე, ექვემდებარებიან მაკორექტირებელ ქმედებებს. | | | წარდგენილ იქნეს ელექტრონული ფორმითაც. | | |
| 16.1 | ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოებმა უნდა განახორციელონ შესაბამისი ღონისძიებები თუ პროდუქტი, რომელზეც ვრცელდება ევროკავშირის ჰარმონიზებული კანონმდებლობის მოქმედება, მისი დანიშნულებისამებრ ან იმ პირობებში გამოყენებისას, რომლებიც არის გონივრულად პროგნოზირებადი ან მისი სათანადოდ დამონტაჟებისა და მოვლა-შენარჩუნების დროს:<br><br>(a) ზიანს აყენებს მომხმარებელთა უფლებებსა და ჯანმრთელობას; ან<br>(b) არ შეესაბამება ევროკავშირის ჰარმონიზებულ შესაბამის კანონმდებლობას. | N1 | 1.3.<br><br>($13^6$.1) | 1. თუ ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს აქვს ინფორმაცია, რომ კონკრეტული მწარმოებლის მიერ წარმოებული კონკრეტული პროდუქტი ან/და პროდუქტების სერია არ შეესაბამება აღნიშნული პროდუქტისთვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს ან/და შეიცავს დადასტურებულ საფრთხეს, იგი უფლებამოსილია, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შეუსაბამობის/დადასტურებული საფრთხის შესაბამისად, დაუყოვნებლივ მოსთხოვოს ეკონომიკურ ოპერატორს პროდუქტის/პროდუქტების რეალიზაციის შეჩერება, ბაზრიდან ამოღება, გამოთხოვა ან/და განადგურება ეკონომიკური ოპერატორის ხარჯზე. | სშ | |
| 16.2 | იმ შემთხვევებში, როდესაც ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოები მიაკვლევენ პირველი პუნქტის (a) ან (b) ქვეპუნქტებში განსაზღვრულ პროდუქტებს, მათ დაუყოვნებლივ უნდა მოთხოვონ შესაბამისი | N1 | 1.3.<br><br>($13^6$.2) | 2. თუ შემოწმებით გამოვლინდა დოკუმენტური შეუსაბამობა ან/და ტექნიკური შეუსაბამობა, რომელიც საფრთხეს არ უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას ან/და გარემოს, ეკონომიკურ ოპერატორს | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ეკონომიკურ ოპერატორს სათანადო და პროპორციული მაკორექტირებელი ქმედების განხორციელება, რათა შეუსაბამობა ან რისკი აღმოიფხვრას მათ მიერ დაკონკრეტებული პერიოდის განმავლობაში. | | | დაეკისრება ამ კოდექსის $13^{11}$ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. ბაზარზე ზედამხედველობის ორგანო უფლებამოსილია ეკონომიკურ ოპერატორს შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად განუსაზღვროს გონივრული ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 30 დღეს. თუ ეკონომიკური ოპერატორი აღნიშნულ ვადაში ვერ აღმოფხვრის შეუსაბამობას, ბაზარზე ზედამხედველობის ორგანო უფლებამოსილია მას მოსთხოვოს პროდუქტის რეალიზაციის შეჩერება შეუსაბამობის აღმოფხვრამდე. შეუსაბამობის აღმოფხვრის შემთხვევაში ეკონომიკური ოპერატორი ვალდებულია ამის თაობაზე შეატყობინოს ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს, რომელიც ვალდებულია გადაამოწმოს შეუსაბამობის აღმოფხვრის ფაქტი. | | |
| 16.3 | მე-2 პუნქტის მიზნებისათვის, მაკორექტირებელი ქმედება, რომლის განხორციელებაც მოეთხოვება ეკონომიკურ ოპერატორს, შეიძლება, მათ შორის, მოიცავდეს: | N1 | 1.3. ($13^6$.2-8) | 2. თუ შემოწმებით გამოვლინდა დოკუმენტური შეუსაბამობა ან/და ტექნიკური შეუსაბამობა, რომელიც საფრთხეს არ უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას ან/და გარემოს, ეკონომიკურ ოპერატორს | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | (a) პროდუქტის შესაბამისობაში მოყვანას, მათ შორის, ფორმალური შეუსაბამობის გამოსწორების გზით, როგორც ეს განსაზღვრულია ევროკავშირის ჰარმონიზებულ კანონმდებლობაში, ან იმის უზრუნველყოფის გზით, რომ პროდუქტი არ ქმნიდეს რისკს;<br><br>(b) პროდუქტის ბაზარზე ხელმისაწვდომობის პრევენციას;<br><br>(c) პროდუქტის დაუყოვნებლივ ამოღებას ან გამოთხოვას და საზოგადოების გაფრთხილებას მის მიერ წარმოქმნილი რისკის შესახებ;<br><br>(d) პროდუქტის განადგურებას ან მისი სხვაგვარად გამოუსადეგრად ქცევას;<br><br>(e) შესაბამისი, მკაფიო ტექსტის მქონე, მარტივად გასაგები გაფრთხილებების დატანას პროდუქტზე იმ რისკების შესახებ, რომლებსაც იგი შესაძლოა წარმოქმნიდეს, იმ წევრი სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულ ენაზე ან ენებზე, რომელშიც პროდუქტი ხელმისაწვდომია ბაზარზე; | | | დაეკისრება ამ კოდექსის $13^{11}$ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. ბაზარზე ზედამხედველობის ორგანო უფლებამოსილია ეკონომიკურ ოპერატორს შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად განუსაზღვროს გონივრული ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 30 დღეს. თუ ეკონომიკური ოპერატორი აღნიშნულ ვადაში ვერ აღმოფხვრის შეუსაბამობას, ბაზარზე ზედამხედველობის ორგანო უფლებამოსილია მას მოსთხოვოს პროდუქტის რეალიზაციის შეჩერება შეუსაბამობის აღმოფხვრამდე. შეუსაბამობის აღმოფხვრის შემთხვევაში ეკონომიკური ოპერატორი ვალდებულია ამის თაობაზე შეატყობინოს ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს, რომელიც ვალდებულია გადაამოწმოს შეუსაბამობის აღმოფხვრის ფაქტი.<br><br>3. თუ პროდუქტი არ შეესაბამება სათანადო ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ უსაფრთხოების მოთხოვნებს, ამასთანავე, საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას ან/და გარემოს, ეკონომიკურ ოპერატორს დაეკისრება ამ კოდექსის $13^{11}$ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | (f) წინასწარი პირობების განსაზღვრას შესაბამისი პროდუქტის ბაზარზე ხელმისაწვდომობისათვის;<br><br>(g) რისკის ქვეშ მყოფი საბოლოო მომხმარებლების დაუყოვნებლივ და სათანადო ფორმით გაფრთხილებას, მათ შორის, საგანგებო გაფრთხილებების გამოქვეყნების გზით, იმ წევრი სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულ ენაზე ან ენებზე, რომელშიც პროდუქტი ხელმისაწვდომია ბაზარზე; | | | პასუხისმგებლობა, ხოლო ბაზარზე ზედამხედველობის ორგანო ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება პროდუქტის ბაზრიდან ამოღების შესახებ.<br><br>4. თუ პროდუქტი არ შეესაბამება სათანადო ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ უსაფრთხოების მოთხოვნებს, ამასთანავე, სერიოზულ საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას ან/და გარემოს ან/და რეალიზაციის შემდეგ, გამოყენების სტადიაზე ინარჩუნებს ასეთ საფრთხეს, ეკონომიკურ ოპერატორს დაეკისრება ამ კოდექსის 13[11] მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, ხოლო ბაზარზე ზედამხედველობის ორგანო ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება პროდუქტის გამოთხოვის შესახებ.<br><br>5. საფრთხის კატეგორია განისაზღვრება რისკის ანალიზზე დაყრდნობით, ზიანის დადგომის ალბათობისა და მისი სიმძიმის შეფასების შედეგად, პროდუქტთან დაკავშირებული საფრთხის კატეგორიების განსაზღვრის წესის შესაბამისად. უსაფრთხოების უფრო მაღალი დონის უზრუნველყოფის შესაძლებლობა ან ნაკლები რისკის | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | შემცველი სხვა პროდუქტის ხელმისაწვდომობა არ არის პროდუქტის საფრთხის შემცველ პროდუქტად მიჩნევის საფუძველი.<br><br>6. ამ მუხლის მე-2-მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული გადაწყვეტილებები მიიღება დადგენილების სახით. მისი შესრულება სავალდებულოა. თუ ამ დადგენილების ადრესატისთვის ჩაბარება ვერ ხერხდება, ეს დადგენილება ჩაბარებულად მიიჩნევა ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე. ამ დადგენილების გასაჩივრება არ აჩერებს მის აღსრულებას. აღნიშნული დადგენილების საჯაროდ გამოქვეყნების წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.<br><br>7. თუ პროდუქტი საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას ან/და გარემოს, პროდუქტის ბაზრიდან ამოღების ან/და გამოთხოვნის დადგენილების აღსრულების მიზნით, ბაზარზე ზედამხედველობის ორგანო უფლებამოსილია, დაავალოს ეკონომიკურ ოპერატორს აღნიშნული პროდუქტის განადგურება, მისი სხვაგვარად გამოუსადეგრად ქცევა, | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | N4 | 13 | ექსპორტი ან იმგვარად გადამუშავება, რომ პროდუქტი აღარ წარმოადგენდეს საფრთხეს ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, საკუთრების ან/და გარემოსთვის.<br><br>8. პროდუქტის ბაზრიდან ამოღების ან/და გამოთხოვის შესახებ დადგენილებაში ეკონომიკურ ოპერატორს განესაზღვრება გონივრული ვადა აღნიშნული პროცესის კომპლექსურობიდან და სირთულიდან გამომდინარე. ეკონომიკური ოპერატორი ვალდებულია ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს წერილობით შეატყობინოს პროდუქტის ბაზრიდან ამოღების, გამოთხოვის ან განადგურების პროცესის დასრულების შესახებ. პროდუქტის ბაზრიდან ამოღებისთვის, გამოთხოვისთვის ან განადგურებისთვის დადგენილი ვადის გასვლამდე ეკონომიკურ ოპერატორს ეკრძალება პროდუქტის რეალიზაცია.<br><br>1. სააგენტოს წარმომადგენლის მიერ შესაბამისი მოთხოვნის შემთხვევაში, ამ წესით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელებისას, სააგენტოს მიერ განსაზღვრული შემზღუდველი | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ღონისძიების ეფექტიანი აღსრულებისა და შეუსაბამო პროდუქტის მიკვლევადობისთვის, ეკონომიკური ოპერატორი ვალდებულია, სააგენტოს წერილობით მიაწოდოს ყველა შემდეგი ინფორმაცია:<br><br>ა) პროდუქტის ბაზარზე მიწოდების ჯაჭვში ჩართული ყველა იმ ეკონომიკური ოპერატორის შესახებ, რომლისგანაც მიიღო ან/და რომელსაც გადასცა პროდუქტი, შესაბამისი თარიღის მითითებით;<br><br>ბ) იმ პროდუქტების ნებისმიერი საიდენტიფიკაციო მონაცემის, მათ შორის, მოდელის, სერიის, პარტიის შესახებ, რომელიც მიიღო ან/და გადასცა სხვა ეკონომიკურ ოპერატორს;<br><br>გ) მის მიერ მიღებული ან/და მის მიერ უკვე რეალიზებული, მათ შორის, სხვა ეკონომიკური ოპერატორისთვის გადაცემული და დარჩენილი პროდუქტების რაოდენობის შესახებ.<br><br>2. რეალიზაციის შეჩერების შესახებ დადგენილება უნდა შეიცავდეს პროდუქტის საიდენტიფიკაციო მონაცემების, რაოდენობისა და გამოვლენილი შეუსაბამობის შესახებ | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ინფორმაციას, რომლის გამოსწორებამდეც ეკონომიკურ ოპერატორს ეკრძალება პროდუქტის რეალიზაცია.<br><br>3. პროდუქტის რეალიზაციის შეჩერების შესახებ დადგენილების საფუძველზე, ეკონომიკური ოპერატორი ვალდებულია, აღკვეთოს შეუსაბამო პროდუქტის ბაზარზე ხელმისაწვდომობა.<br><br>4. ეკონომიკური ოპერატორი ვალდებულია, რეალიზაციის შეჩერების შესახებ დადგენილების შესაბამისად, პროდუქტის რეალიზაციის შეჩერებისა და აღმოფხვრილი შეუსაბამობების შესახებ ინფორმაცია წერილობითი ფორმით მიაწოდოს სააგენტოს რეალიზაციის შეჩერების შესახებ დადგენილებით განსაზღვრულ ვადაში.<br><br>5. სააგენტო ვალდებულია, გადაამოწმოს ეკონომიკური ოპერატორის მიერ რეალიზაციის შეჩერების ან გონივრულ ვადაში შეუსაბამობების აღმოფხვრის ფაქტი. | | |
| | | | 14 | 1. სააგენტოს წარმომადგენლის მიერ, შესაბამისი მოთხოვნის შემთხვევაში, ამ | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | **N4** | | წესით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელებისას, სააგენტოს მიერ განსაზღვრული შემზღუდველი ღონისძიების ეფექტიანი აღსრულებისა და საფრთხის შემცველი პროდუქტის მიკვლევადობისთვის, ეკონომიკური ოპერატორი ვალდებულია, სააგენტოს წერილობით მიაწოდოს ინფორმაცია:<br><br>ა) პროდუქტის ბაზარზე მიწოდების ჯაჭვში ჩართული ყველა იმ ეკონომიკური ოპერატორის შესახებ, რომლისგანაც მიიღო ან/და რომელსაც გადასცა პროდუქტი, შესაბამისი თარიღის მითითებით;<br><br>ბ) იმ პროდუქტების ნებისმიერი საიდენტიფიკაციო მონაცემის, მათ შორის, მოდელის, სერიის, პარტიის შესახებ, რომელიც მიიღო ან/და გადასცა სხვა ეკონომიკურ ოპერატორს;<br><br>გ) მის მიერ მიღებული ან/და მის მიერ უკვე რეალიზებული, მათ შორის, სხვა ეკონომიკური ოპერატორისთვის გადაცემული და დარჩენილი პროდუქტების რაოდენობის შესახებ.<br><br>2. სააგენტოს დადგენილება პროდუქტის ბაზრიდან ამოღების შესახებ უნდა | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | შეიცავდეს ინფორმაციას პროდუქტის ბაზრიდან ამოღებისთვის საჭირო გონივრული ვადისა და იმ პროდუქტების საიდენტიფიკაციო მონაცემების შესახებ, რომელთა ბაზრიდან ამოღებაც ეკისრება ეკონომიკურ ოპერატორს.<br><br>3. პროდუქტის ბაზრიდან ამოღების შესახებ დადგენილების საფუძველზე, ეკონომიკური ოპერატორი ვალდებულია დადასტურებული საფრთხის შემცველი ან/და რეგლამენტის მოთხოვნებთან შეუსაბამო პროდუქტის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს ყველა იმ ეკონომიკურ ოპერატორს, რომლებისგანაც მიიღო და რომლებსაც გადასცა პროდუქტი და უზრუნველყოს სხვა ეკონომიკური ოპერატორისთვის უკვე მიწოდებული პროდუქტის უკან დაბრუნება.<br><br>4. ეკონომიკური ოპერატორი ვალდებულია, აღკვეთოს შეუსაბამო პროდუქტის მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომობა.<br><br>5. ეკონომიკური ოპერატორი ამ მუხლით გათვალისწინებული შემზღუდველი ღონისძიების შესრულების შესახებ ინფორმაციას წერილობითი ფორმით ატყობინებს სააგენტოს, დადგენილებით | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | N4 | 15 | გათვალისწინებული გონივრული ვადის ამოწურვის შემდეგ, არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა.<br><br>1. პროდუქტის ბაზრიდან გამოთხოვის მიზნით ეკონომიკურ ოპერატორს ეკისრება ამ წესის მე-14 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება და, ასევე, სააგენტოს მიერ მისთვის დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვით, ინფორმაციის იმ მომხმარებლებისთვის მიწოდება, რომლებსაც გადასცა პროდუქტი. ინფორმაცია უნდა მოიცავდეს:<br><br>ა) შემდეგ სათაურს: „პროდუქტის გამოთხოვა უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე“;<br><br>ბ) შესაბამისი საფრთხის შემცველი პროდუქტის დეტალურ აღწერას, რომელიც მოიცავს:<br><br>ბ.ა) პროდუქტის ფოტოსურათს, სახელწოდებასა და ბრენდის სახელს;<br><br>ბ.ბ) პროდუქტის პარტიის/სერიის მაიდენტიფიცირებელ მონაცემებს; | | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | გ) პროდუქტთან დაკავშირებული საფრთხეების დეტალურ აღწერას. დაუშვებელია შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის გავრცელება, მათ შორის, შემდეგი სიტყვებისა და ფრაზების გამოყენება: „ნებაყოფლობითი“, „პრევენციული“, „დისკრეციული“, „იშვიათი“, „სპეციფიკურ შემთხვევებში“ ან/და იმის მითითება, რომ უბედური შემთხვევა არ დაფიქსირებულა;<br><br>დ) განსახორციელებელი ღონისძიებების აღწერას, მათ შორის, მითითებას პროდუქტის გამოყენების დაუყოვნებლივ შეწყვეტის თაობაზე;<br><br>ე) გამოთხოვის პირობებსა და შესაბამის ვადებს;<br><br>ვ) საკონტაქტო ინფორმაციას, რომლითაც შესაძლებელი იქნება დამატებითი ინფორმაციის მიღება  ქართულ ენაზე.<br><br>2. ეკონომიკური ოპერატორი ვალდებულია, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია გაავრცელოს სააგენტოს უფროსის დადგენილებით გათვალისწინებული საკომუნიკაციო/საინფორმაციო საშუალებით. | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | 3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის გავრცელების ფორმა განისაზღვრება შემდეგ ფაქტორებზე დაყრდნობით:<br><br>ა) გამოვლენილი საფრთხის კატეგორია;<br><br>ბ) ბაზარზე განთავსებული და რეალიზებული პროდუქტების რაოდენობა;<br><br>გ) პროდუქტის დანიშნულებით გამოყენებისთვის გამიზნული ჯგუფი;<br><br>დ) პროდუქტისგან გამოწვეული დაზიანებების ფაქტობრივი გარემოებები.<br><br>4. სააგენტოს დადგენილება პროდუქტის ბაზრიდან გამოთხოვის შესახებ უნდა შეიცავდეს ინფორმაციას გონივრული ვადის, ინფორმაციის გავრცელების გზისა და პროდუქტის მაიდენტიფიცირებელი მონაცემის შესახებ.<br><br>5. ეკონომიკური ოპერატორი, პროდუქტის ბაზრიდან გამოთხოვის შესრულებისა და მისი შედეგების შესახებ ინფორმაციას წერილობით წარუდგენს სააგენტოს დადგენილებით გათვალისწინებული გონივრული ვადის ამოწურვის შემდეგ, არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა. | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 16.4 | მე-3 პუნქტის (e), (f) და (g) ქვეპუნქტებში განსაზღვრული მაკორექტირებელი ქმედებების განხორციელების მოთხოვნა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც პროდუქტი ქმნის რისკს მხოლოდ გარკვეულ პირობებში ან მხოლოდ გარკვეული საბოლოო მომხმარებლებისათვის. | N1 | 1.3.<br>($13^6$.2) | 2. თუ შემოწმებით გამოვლინდა დოკუმენტური შეუსაბამობა ან/და ტექნიკური შეუსაბამობა, რომელიც საფრთხეს არ უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას ან/და გარემოს, ეკონომიკურ ოპერატორს დაეკისრება ამ კოდექსის $13^{11}$ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. ბაზარზე ზედამხედველობის ორგანო უფლებამოსილია ეკონომიკურ ოპერატორს შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად განუსაზღვროს გონივრული ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 30 დღეს. თუ ეკონომიკური ოპერატორი აღნიშნულ ვადაში ვერ აღმოფხვრის შეუსაბამობას, ბაზარზე ზედამხედველობის ორგანო უფლებამოსილია მას მოსთხოვოს პროდუქტის რეალიზაციის შეჩერება შეუსაბამობის აღმოფხვრამდე. შეუსაბამობის აღმოფხვრის შემთხვევაში ეკონომიკური ოპერატორი ვალდებულია ამის თაობაზე შეატყობინოს ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს, რომელიც ვალდებულია გადაამოწმოს შეუსაბამობის აღმოფხვრის ფაქტი. | ნშ | ეროვნული კანონმდებლობით ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს მინიჭებული აქვს უფლებამოსილება მოთხოვოს შესაბამის ეკონომიკურ ოპერატორს მაკორექტირებელი ქმედების განხორციელება შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად, ხოლო რას შეიძლება გულისხმობდეს მაკორექტირებელი ქმედება დამოკიდებული არის შეუსაბამობის შინაარსზე. ამასთან, ის მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს ცალკეული პროდუქტი, რეგულირებული არის შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტითა და |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | სტანდარტით. ვიანიდან, რეგულაციის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის (e), (f) და (g) ქვეპუნქტები არის დისპოზიციური ხასიათის, მისი დამატებით ასახვის საჭიროება არ არის. |
| 16.5 | იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკური ოპერატორი არ განახორციელებს მე-3 პუნქტში განსაზღვრულ მაკორექტირებელ ქმედებებს ან თუ პირველ პუნქტში განსაზღვრული შეუსაბამობა ან რისკი ჯერ კიდევ არსებობს, ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ პროდუქტის ამოღება ან გამოთხოვა, ან მისი ბაზარზე ხელმისაწვდომობის აკრძალვა ან შეზღუდვა და საზოგადოების, კომისიისა და სხვა წევრი სახელმწიფოების სათანადოდ ინფორმირება. | N1 | 1.3.<br>($13^6.1$) | 1. თუ ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს აქვს ინფორმაცია, რომ კონკრეტული მწარმოებლის მიერ წარმოებული კონკრეტული პროდუქტი ან/და პროდუქტების სერია არ შეესაბამება აღნიშნული პროდუქტისთვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს ან/და შეიცავს დადასტურებულ საფრთხეს, იგი უფლებამოსილია, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შეუსაბამობის/დადასტურებული საფრთხის შესაბამისად, დაუყოვნებლივ მოსთხოვოს ეკონომიკურ ოპერატორს პროდუქტის/პროდუქტების | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | რეალიზაციის შეჩერება, ბაზრიდან ამოღება, გამოთხოვა ან/და განადგურება ეკონომიკური ოპერატორის ხარჯზე. | | |
| | | N1 | 1.3. (13⁶.6) | 6. ამ მუხლის მე-2-მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული გადაწყვეტილებები მიიღება დადგენილების სახით. მისი შესრულება სავალდებულოა. თუ ამ დადგენილების ადრესატისთვის ჩაბარება ვერ ხერხდება, ეს დადგენილება ჩაბარებულად მიიჩნევა ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე. ამ დადგენილების გასაჩივრება არ აჩერებს მის აღსრულებას. აღნიშნული დადგენილების საჯაროდ გამოქვეყნების წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით. | | |
| | | N1 | 1.3. (13⁶.9-14) | 9. ეკონომიკური ოპერატორის მიერ პროდუქტის რეალიზაციის შეჩერების, ბაზრიდან ამოღების ან/და გამოთხოვის შესახებ დადგენილების შეუსრულებლობის შემთხვევაში ბაზარზე ზედამხედველობის ორგანო ვალდებულია გონივრულ ვადაში | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | განმეორებით შეამოწმოს ეკონომიკური ოპერატორის მიერ შესაბამისი დადგენილების შესრულების ფაქტი. თუ ამ დადგენილების შესრულების განმეორებითი შემოწმების დროს აღმოჩნდა, რომ ეკონომიკურმა ოპერატორმა არ შეასრულა აღნიშნული დადგენილებით განსაზღვრული ვალდებულებები, მას დაეკისრება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ამ კოდექსის შესაბამისად.<br><br>10. პროდუქტის ბაზრიდან ამოღების შესახებ ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს დადგენილების განმეორებით შეუსრულებლობის შემთხვევაში ეკონომიკური ოპერატორისთვის ამ კოდექსის $13^9$ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ჯარიმის დაკისრების შემდეგ პროდუქტის ბაზრიდან ამოღების შესახებ დადგენილება ამ მუხლის მე-8 ნაწილით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ დაუყოვნებლივ მიექცევა აღსასრულებლად „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და ამის თაობაზე გაიცემა სათანადო სააღსრულებო ფურცელი. | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | 11. ბაზარზე ზედამხედველობის ორგანო ახორციელებს ამ მუხლის მე-6 ნაწილით განსაზღვრული დადგენილებების შესრულების კონტროლს.<br><br>12. ბაზარზე ზედამხედველობის ორგანო ვალდებულია პროდუქტთან დაკავშირებული დადასტურებული საფრთხის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს საზოგადოებას ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს ვებგვერდზე განთავსებით ან ინფორმაციის გავრცელების სხვა საშუალებებით.<br><br>13. ბაზარზე ზედმახედველობის ორგანო უფლებამოსილია ეკონომიკურ ოპერატორს მოსთხოვოს საზოგადოებისთვის პროდუქტთან დაკავშირებული საფრთხის თაობაზე ინფორმაციის მიწოდება. პროდუქტთან დაკავშირებული დადასტურებული საფრთხის შესახებ ინფორმაციის საზოგადოებისთვის მიწოდების წყაროები, ამ ინფორმაციის მიწოდების დადასტურების ხერხები და ვადები ეკონომიკურ ოპერატორს განესაზღვრება ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს დადგენილებით, მოსალოდნელი | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | საფრთხის და მისი გავრცელების რისკის ანალიზზე დაყრდნობით.<br><br>14. ბაზარზე ზედამხედველობის ორგანო ვალდებულია ბაზარზე განთავსებულ პროდუქტთან დაკავშირებული დადასტურებული საფრთხის შესახებ ინფორმაცია და ამ საფრთხის აღმოსაფხვრელად მისაღები ზომების თაობაზე ინფორმაცია მიაწოდოს ეკონომიკურ ოპერატორს, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში – აგრეთვე საბაჟო ორგანოს. | | |
| | | N1 | 1.3.<br><br>(13[8]) | 1. ეკონომიკური ოპერატორის მიერ პროდუქტის/პროდუქტების რეალიზაციის შეჩერების შესახებ ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს დადგენილების შეუსრულებლობა –<br><br>გამოიწვევს დაჯარიმებას 1 500 ლარიდან 3 000 ლარამდე.<br><br>2. ეკონომიკური ოპერატორის მიერ პროდუქტის/პროდუქტების რეალიზაციის შეჩერების შესახებ ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს დადგენილების განმეორებით შეუსრულებლობა – | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | გამოიწვევს დაჯარიმებას 3 000 ლარიდან 5 000 ლარამდე. | | |
| | | N1 | 1.3.<br>($13^{9}$) | 1. ეკონომიკური ოპერატორის მიერ პროდუქტის/პროდუქტების ამოღების შესახებ ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს დადგენილების შეუსრულებლობა –<br>გამოიწვევს დაჯარიმებას 3 000 ლარიდან 5 000 ლარამდე.<br>2. ეკონომიკური ოპერატორის მიერ პროდუქტის/პროდუქტების ბაზრიდან ამოღების შესახებ ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს დადგენილების განმეორებით შეუსრულებლობა –<br>გამოიწვევს დაჯარიმებას 5 000 ლარიდან 8 000 ლარამდე. | | |
| | | N1 | 1.3.<br>($13^{10}$) | 1. ეკონომიკური ოპერატორის მიერ პროდუქტის/პროდუქტების გამოთხოვის შესახებ ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს დადგენილების შეუსრულებლობა – | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | გამოიწვევს დაჯარიმებას 5 000 ლარიდან 7 000 ლარამდე.<br><br>2. ეკონომიკური ოპერატორის მიერ პროდუქტის/პროდუქტების გამოთხოვის შესახებ ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს დადგენილების განმეორებით შეუსრულებლობა –<br><br>გამოიწვევს დაჯარიმებას 7 000 ლარიდან 10 000 ლარამდე. | | |
| 16.6 | კომისიისა და სხვა წევრი სახელმწიფოების ინფორმირება ამ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად უნდა მოხდეს 34-ე მუხლში განსაზღვრული საინფორმაციო და საკომუნიკაციო სისტემის მეშვეობით. ჩაითვლება, რომ აღნიშნული ინფორმირება ასევე აკმაყოფილებს შეტყობინებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს ევროკავშირის ჰარმონიზებული კანონმდებლობის შესაბამისი დამცავი პროცედურებისათვის. | | | | ას | აღნიშნული ნორმა ეხება შემზღუდველი ღონისძიებების გამოყენების შესახებ კომისიისა და ევროკავშირის სხვა წევრი ქვეყნების ინფორმირების წესს და ვრცელდება მხოლოდ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებზე. შესაბამისად, მისი ასახვა ეროვნულ კანონმდებლობაში არ არის რელევანტური. |
| 16.7 | იმ შემთხვევებში, როდესაც ეროვნულ დონეზე განხორციელებული ღონისძიება ჩაითვლება გამართლებულად, შესაბამისი დამცავი | | | | ას | აღნიშნული ნორმის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | პროცედურების თანახმად, ან როდესაც სხვა წევრი სახელმწიფოს ბაზარზე ზედამხედველობის არცერთი ორგანო არ მიიღებს საპირისპირო დასკვნას, როგორც ეს განსაზღვრულია მე-11 მუხლის მე-9 პუნქტში, სხვა წევრი სახელმწიფოების ბაზარზე ზედამხედველობის კომპეტენტურმა ორგანოებმა უნდა განახორციელონ აუცილებელი ღონისძიებები შეუსაბამო პროდუქტთან მიმართებაში და შეიყვანონ შესაბამისი ინფორმაცია 34-ე მუხლში განსაზღვრულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო სისტემაში. | | | | | ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებზე და არარელევანტურია საქართველოსთვის. |
| 17 | ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოებმა უნდა განახორციელონ საკუთარი საქმიანობა გამჭვირვალების მაღალი დონის დაცვით და ხელმისაწვდომი გახადონ საზოგადოებისათვის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც მიიჩნევა რელევანტურად, საბოლოო მომხმარებელთა ინტერესების დაცვის მიზნით. ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოებმა უნდა დაიცვან კონფიდენციალურობის, ასევ პროფესიული და კომერციული საიდუმლოების პრინციპები და დაიცვან პირადი მონაცემები, ევროკავშირის და | N1 | 1.3.<br>($13^6$.12-13) | 12. ბაზარზე ზედამხედველობის ორგანო ვალდებულია პროდუქტთან დაკავშირებული დადასტურებული საფრთხის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს საზოგადოებას ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს ვებგვერდზე განთავსებით ან ინფორმაციის გავრცელების სხვა საშუალებებით.<br>13. ბაზარზე ზედმახედველობის ორგანო უფლებამოსილია ეკონომიკურ ოპერატორს მოსთხოვოს საზოგადოებისთვის პროდუქტთან დაკავშირებული საფრთხის თაობაზე ინფორმაციის მიწოდება. პროდუქტთან | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. | | | დაკავშირებული დადასტურებული საფრთხის შესახებ ინფორმაციის საზოგადოებისთვის მიწოდების წყაროები, ამ ინფორმაციის მიწოდების დადასტურების ხერხები და ვადები ეკონომიკურ ოპერატორს განესაზღვრება ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს დადგენილებით, მოსალოდნელი საფრთხის და მისი გავრცელების რისკის ანალიზზე დაყრდნობით. | | |
| | | N4 | 12.10 | სააგენტო ვალდებულია, ბაზარზე ზედამხედველობის ფარგლებში, პროდუქტის, მასზე გამოვლენილი დადასტურებული საფრთხისა და შესაბამისი ეკონომიკური ოპერატორის შესახებ ინფორმაცია განათავსოს სააგენტოს ვებგვერდზე, შესაბამისი შემზღუდველი ღონისძიების შესახებ დადგენილების მიღებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა. | | |
| | | N7 | 28 | 1. საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით სახელმწიფო, პროფესიული ან | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | კომერციული საიდუმლოებისთვის ან პერსონალური მონაცემებისთვის მიკუთვნებული ინფორმაციისა. ღია სასამართლო სხდომის შედეგად მიღებული სასამართლო აქტის ტექსტის საჯარო ინფორმაციის სახით გაცემისა და გამოქვეყნების საკითხები წყდება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად.<br><br>2. საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი წესითა და პირობებით. | | |
| | | N7 | $27^{1}$ | პერსონალური მონაცემების ცნება, მათ დაცვასა და დამუშავებასთან დაკავშირებული ურთიერთობები წესრიგდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით. | | |
| 18.1 | ნებისმიერი ღონისძიება, გადაწყვეტილება ან ბრძანება, რომელიც განხორციელდა ან დამტკიცდა ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს მიერ ევროკავშირის ჰარმონიზებული | N1 | 1.3. ($13^{6}$.6) | 6. ამ მუხლის მე-2-მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული გადაწყვეტილებები მიიღება დადგენილების სახით. მისი შესრულება სავალდებულოა. თუ ამ დადგენილების ადრესატისთვის ჩაბარება | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | კანონმდებლობის ან ამ რეგულაციის შესაბამისად, უნდა მოიცავდეს დასაბუთებას, რომელსაც იგი ემყარება. | | | ვერ ხერხდება, ეს დადგენილება ჩაბარებულად მიიჩნევა ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე. ამ დადგენილების გასაჩივრება არ აჩერებს მის აღსრულებას. აღნიშნული დადგენილების საჯაროდ გამოქვეყნების წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით. | | |
| | | N1 | 1.3. ($13^{11}$.10) | 10. ამ მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილება მიიღება დადგენილების სახით. თუ ამ დადგენილების ადრესატისთვის ჩაბარება ვერ ხერხდება, ეს დადგენილება ჩაბარებულად მიიჩნევა ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს. აღნიშნული დადგენილების საჯაროდ გამოქვეყნების წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით. | | |
| | | N7 | 53 | 1. წერილობითი ფორმით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას. | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | 2. დასაბუთება წინ უძღვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სარეზოლუციო ნაწილს.<br><br>3. ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში უნდა მიეთითოს ის საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი ან მისი შესაბამისი ნორმა, რომლის საფუძველზედაც გამოიცა ეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში შეიძლება მიეთითოს აგრეთვე „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ ევროპის კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების ნორმები და მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტები, რომლებიც გადაწყვეტილების მიღებისას იქნა გამოყენებული.<br><br>4. თუ ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, წერილობით დასაბუთებაში მიეთითება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას.<br><br>5. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს.<br><br>6. თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად კანონმდებლობა ითვალისწინებს საექსპერტო დასკვნის არსებობას, წერილობით დასაბუთებაში მიეთითება ამ დასკვნის შინაარსი.<br><br>7. წერილობითი ფორმით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ საჭიროებს დასაბუთებას, თუ:<br><br>ა) ის გამოცემულია დაინტერესებული მხარის მოთხოვნის საფუძველზე და არ ზღუდავს მესამე პირების კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს;<br><br>ბ) დაინტერესებული მხარისათვის ცნობილია ის ფაქტობრივი და სამართლებრივი წინაპირობები, | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | რომელთა საფუძველზედაც გამოიცა ეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;<br><br>გ) კანონი ითვალისწინებს მისი დასაბუთების გარეშე გამოცემის შესაძლებლობას.<br><br>8. გადაუდებელი აუცილებლობით წერილობითი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთების გარეშე გამოცემის შემთხვევაში წერილობითი დასაბუთება აუცილებლად უნდა გამოიცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან ერთი კვირის ვადაში. | | |
| 18.2 | ინფორმაცია ნებისმიერი ამგვარი ღონისძიების, გადაწყვეტილებისა თუ ბრძანების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს შესაბამის ეკონომიკურ ოპერატორს, რომელსაც ამავდროულად უნდა შეატყობინონ შესაბამისი წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობის ფარგლებში მისთვის ხელმისაწვდომი დაცვის საშუალებებისა და იმ ვადების შესახებ, რომელიც ვრცელდება აღნიშნულ საშუალებებზე. | N1 | 1.3.<br><br>(13⁶.6) | 6. ამ მუხლის მე-2-მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული გადაწყვეტილებები მიიღება დადგენილების სახით. მისი შესრულება სავალდებულოა. თუ ამ დადგენილების ადრესატისთვის ჩაბარება ვერ ხერხდება, ეს დადგენილება ჩაბარებულად მიიჩნევა ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე. ამ დადგენილების გასაჩივრება არ აჩერებს მის აღსრულებას. აღნიშნული დადგენილების საჯაროდ გამოქვეყნების | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით. | | |
| | | N1 | 1.3. (13[11].10) | 10. ამ მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილება მიიღება დადგენილების სახით. თუ ამ დადგენილების ადრესატისთვის ჩაბარება ვერ ხერხდება, ეს დადგენილება ჩაბარებულად მიიჩნევა ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს. აღნიშნული დადგენილების საჯაროდ გამოქვეყნების წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით. | | |
| | | N4 | 9.11 | სააგენტო ვალდებულია, ბაზარზე პროდუქტის შემოწმების შედეგებისა და საფრთხეების აღმოსაფხვრელად გასატარებელი ზომების შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს ეკონომიკურ ოპერატორს, აუცილებლობის შემთხვევაში, ასევე, სსიპ – შემოსავლების სამსახურს. | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | N4 | 12.6 | 6. შემზღუდველი ღონისძიების შესახებ დადგენილება საჩივრდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. | | |
| 18.3 | პირველ პუნქტში განსაზღვრული ღონისძიების, გადაწყვეტილებისა თუ ბრძანების მიღებამდე ან დამტკიცებამდე, შესაბამის ეკონომიკურ ოპერატორს უნდა მიეცეს აზრის დაფიქსირების შესაძლებლობა, შესაბამისი ვადის განმავლობაში, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 10 სამუშაო დღეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული შეუძლებელია ამ ღონისძიების, გადაწყვეტილებისა თუ ბრძანების დაუყოვნებლივ განხორციელების, ჯანმრთელობასთან ან უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მოთხოვნების ან სხვა საფუძვლების გამო, რომლებიც დაკავშირებულია იმ საზოგადოებრივ ინტერესებთან, რომლებზეც ვრცელდება ევროკავშირის ჰარმონიზებული კანონმდებლობა.<br><br>თუ აღნიშნული ღონისძიება, გადაწყვეტილება ან ბრძანება ხორციელდება ან მტკიცდება ეკონომიკური ოპერატორისათვის აზრის დაფიქსირების საშუალების მიცემის გარეშე, ეკონომიკურ ოპერატორს უნდა | N4 | 11[1] | 1. ბაზარზე ზედამხედველობის ფარგლებში, პროდუქტთან დაკავშირებული შეუსაბამობის გამოვლენისას, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე სააგენტოში უნდა გაიმართოს ზეპირი მოსმენა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.<br><br>2. სააგენტო ვალდებულია სხდომის გამართვამდე არანაკლებ 7 დღით ადრე ეკონომიკურ ოპერატორს ან/და მის უფლებამოსილ წარმომადგენელს აცნობოს სხდომის ჩატარების თარიღი და ადგილი სხვადასხვა წყაროს გამოყენებით, მათ შორის, ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალების გზით. ეკონომიკური ოპერატორის ან/და მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, განხილვა ჩატარდება მისი/მათი დასწრების გარეშე.<br><br>3. დადასტურებული საფრთხის შემთხვევაში ლაბორატორიული დასკვნა | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მიეცეს აღნიშნული შესაძლებლობა რაც შეიძლება მალე ამის შემდეგ და უნდა მოხდეს აღნიშნული ღონისძიების, გადაწყვეტილებისა თუ ბრძანების სწრაფად გადახედვა ბაზრის ზედამხედველობის ორგანოს მიერ. | | | სააგენტოში განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე, დასკვნის მიღებიდან ორი სამუშაო დღის ვადაში.<br>4. პროდუქტთან დაკავშირებული შეუსაბამობის გამოვლენის შემთხვევაში სააგენტოში შემზღუდველი ღონისძიების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღების საკითხთან ერთად შესაძლებელია განხილულ იქნეს კოდექსის $42^7$ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის საქმე და შესაბამისი ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების საკითხი ამ მუხლით გათვალისწინებული წესით.<br>5. ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება სააგენტოს უფროსის დადგენილების სახით, რაც შეიძლება, გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. | | |
| 19.1 | ბაზრის ზედამხედველობის ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ სერიოზული რისკის შემცველი პროდუქტების ამოღება ან გამოთხოვა, თუ არ არსებობს სერიოზული რისკის აღმოსაფხვრელად სხვა ეფექტური საშუალება, ან უზრუნველყოს რომ აიკრძალოს მათი | N1 | 1.3.<br>($13^6$.3-4) | 3. თუ პროდუქტი არ შეესაბამება სათანადო ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ უსაფრთხოების მოთხოვნებს, ამასთანავე, საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას ან/და გარემოს, ეკონომიკურ ოპერატორს დაეკისრება ამ კოდექსის $13^{11}$ მუხლით | სშ | კომიისთვის შეტყობინების ვალდებულება აქვთ მხოლოდ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს. |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ბაზარზე განთავსება. ბაზრის ზედამხედველობის ორგანოებმა ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ კომისიას მე-20 მუხლის შესაბამისად. | N1 | 1.3. (13⁶.7-8) | გათვალისწინებული ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, ხოლო ბაზარზე ზედამხედველობის ორგანო ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება პროდუქტის ბაზრიდან ამოღების შესახებ.<br><br>4. თუ პროდუქტი არ შეესაბამება სათანადო ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ უსაფრთხოების მოთხოვნებს, ამასთანავე, სერიოზულ საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას ან/და გარემოს ან/და რეალიზაციის შემდეგ, გამოყენების სტადიაზე ინარჩუნებს ასეთ საფრთხეს, ეკონომიკურ ოპერატორს დაეკისრება ამ კოდექსის 13[11] მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, ხოლო ბაზარზე ზედამხედველობის ორგანო ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება პროდუქტის გამოთხოვის შესახებ.<br><br>7. თუ პროდუქტი საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას ან/და გარემოს, პროდუქტის ბაზრიდან ამოღების ან/და გამოთხოვნის დადგენილების აღსრულების მიზნით, ბაზარზე ზედამხედველობის ორგანო უფლებამოსილია, დაავალოს | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ეკონომიკურ ოპერატორს აღნიშნული პროდუქტის განადგურება, მისი სხვაგვარად გამოუსადეგრად ქცევა, ექსპორტი ან იმგვარად გადამუშავება, რომ პროდუქტი აღარ წარმოადგენდეს საფრთხეს ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, საკუთრების ან/და გარემოსთვის.<br><br>8. პროდუქტის ბაზრიდან ამოღების ან/და გამოთხოვის შესახებ დადგენილებაში ეკონომიკურ ოპერატორს განესაზღვრება გონივრული ვადა აღნიშნული პროცესის კომპლექსურობიდან და სირთულიდან გამომდინარე. ეკონომიკური ოპერატორი ვალდებულია ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს წერილობით შეატყობინოს პროდუქტის ბაზრიდან ამოღების, გამოთხოვის ან განადგურების პროცესის დასრულების შესახებ. პროდუქტის ბაზრიდან ამოღებისთვის, გამოთხოვისთვის ან განადგურებისთვის დადგენილი ვადის გასვლამდე ეკონომიკურ ოპერატორს ეკრძალება პროდუქტის რეალიზაცია. | | |
| 19.2 | გადაწყვეტილება იმის თაობაზე, ქმნის თუ არა პროდუქტი სერიოზულ რისკს, დამყარებული იქნება რისკის შესაბამის შეფასებაზე, რომელიც ითვალისწინებს | N1 | 1.3.<br><br>(13⁶.5) | 5. საფრთხის კატეგორია განისაზღვრება რისკის ანალიზზე დაყრდნობით, ზიანის დადგომის ალბათობისა და მისი სიმძიმის შეფასების შედეგად, პროდუქტთან | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | საფრთხის ბუნებას და მისი დადგომის ალბათობას. უსაფრთხოების უფრო მაღალი დონის უზრუნველყოფის შესაძლებლობა ან ნაკლები რისკის შემცველი სხვა პროდუქტის ხელმისაწვდომობა არ არის პროდუქტის სახიფათოდ მიჩნევის საფუძველი. | | | დაკავშირებული საფრთხის კატეგორიების განსაზღვრის წესის შესაბამისად. უსაფრთხოების უფრო მაღალი დონის უზრუნველყოფის შესაძლებლობა ან ნაკლები რისკის შემცველი სხვა პროდუქტის ხელმისაწვდომობა არ არის პროდუქტის საფრთხის შემცველ პროდუქტად მიჩნევის საფუძველი. | | |
| 20 | 1.როდესაც ბაზარზე ზედამხედველობის ორგანო ახორციელებს ან აპირებს განახორციელოს გარკვეული ღონისძიება მე-19 მუხლის შესაბამისად და თვლის, რომ ის მიზეზები, რომლებმაც გამოიწვიეს ეს ღონისძიება ან ამ ღონისძიების შედეგები სცილდებიან მისი წევრი სახელმწიფოს ტერიტორიის საზღვრებს, მან დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს კომისიას ამ ღონისძიების შესახებ, ამ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად. ბაზარზე ზედამხედველობის ორგანომ ასევე დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს კომისიას ნებისმიერი ამგვარი ღონისძიების ცვლილებისა თუ გაუქმების შესახებ. | | | | ას | აღნიშნული მუხლის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ წევრ სახელმწიფოებზე, შესაბამისად, ამ ეტაპზე არ საჭიროებს ეროვნულ კანონმდებლობაში ასახვას. |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 2.თუ ისეთი პროდუქტი, რომელიც სერიოზული რისკის მატარებელია, გახდა ბაზარზე ხელმისაწვდომი, ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოებმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ კომისიას ნებისმიერი ნებაყოფლობითი ღონისძიებების შესახებ, რომლებიც განხორციელდა და რომელთა შესახებაც ეკონომიკურმა ოპერატორმა შეატყობინა ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს.<br><br>3.პირველი და მეორე პუნქტების შესაბამისად მიწოდებული ინფორმაცია უნდა მოიცავდეს ყველა ხელმისაწვდომ დეტალს, კერძოდ შემდეგის იდენტიფიცირებისათვის საჭირო მონაცემებს: პროდუქტი, პროდუქტის წარმოშობა და მიწოდების ჯაჭვი, პროდუქტთან დაკავშირებული რისკი, ეროვნულ დონეზე განხორციელებული ღონისძიების სახე და ხანგრძლივობა და ეკონომიკური ოპერატორის მიერ განხორციელებული ნებისმიერი ნებაყოფლობითი ღონისძიებები.<br><br>4.ამ მუხლის პირველი, მეორე და მესამე პუნქტების მიზნებისათვის, გამოყენებული იქნება 2001/95/EC დირექტივის მე-12 მუხლში | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | განსაზღვრული ინფორმაციის სწრაფი გაცვლის სისტემა (RAPEX). ამ დირექტივის მე-12 მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტების მოქმედება გავრცელდება *mutatis mutandis* პრინციპით.<br><br>5.კომისიამ უნდა უზრუნველყოს RAPEX-სა და 34-ე მუხლში განსაზღვრულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო სისტემას შორის მონაცემთა ინტერფეისის არსებობა და შენარჩუნება, რათა თავიდან იქნას აცილებული მონაცემების ორჯერ შეყვანა. | | | | | |
| | | | | | | |
| | | | | | | |
| | | | | | | |
| | | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 21 | 1. ევროკავშირის ტესტირების საშუალებების მიზანია ხელი შეუწყოს ლაბორატორიული შესაძლებლობების გაზრდას, ასევე ტესტირების საიმედოობისა და თანმიმდევრულობის უზრუნველყოფას, ევროკავშირის შიგნით ბაზრის ზედამხედველობის მიზნებისათვის.<br><br>2.პირველი პუნქტის მიზნებისათვის, კომისიას შეუძლია განსაზღვროს წევრი ქვეყნის ტესტირების საჯარო საშუალება როგორც ევროკავშირის ტესტირების საშუალება პროდუქციის კონკრეტული კატეგორიისთვის ან პროდუქციის კატეგორიასთან დაკავშირებული კონკრეტული რისკებისთვის.<br><br>კომისიას შეუძლია განსაზღვროს მისი ერთ-ერთი ტესტირების საშუალება როგორც ევროკავშირის ტესტირების საშუალება პროდუქციის კონკრეტული კატეგორიისთვის ან პროდუქციის კატეგორიასთან დაკავშირებული კონკრეტული რისკებისთვის, ან პროდუქტებისთვის, რომლებისთვისაც ტესტირების სიმძლავრე აკლია ან საკმარისი არ არის.<br><br>3.ევროკავშირში არსებული შემოწმების ობიექტების აკრედიტაცია უნდა | | | | ას | აღნიშნული მუხლის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებზე. შესაბამისად, ტრანსპოზიციის მიზნებისთვის არარელევანტურია. |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | განხორციელდეს No 765/2008 რეგულაციის შესაბამისად.<br><br>4.ევროკავშირში არსებული უფლებამოსილი ლაბორატორიები არ ახდენს გავლენას ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოთა, ქსელის და კომისიის თავისუფლებაზე, რომ შეარჩიონ შემოწმების ობიექტები მათი საქმიანობის მიზნებისათვის.<br><br>5.ევროკავშირში არსებული უფლებამოსილი ლაბორატორიები ექსკლუზიურად უნდა მოემსახურონ ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოებს, ქსელს, კომისიასა და სხვა სამთავრობო თუ სამთავრობოთაშორისო სტრუქტურებს.<br><br>6.ევროკავშირში არსებულმა ლაბორატორიებმა, უნდა განახორციელონ შემდეგი საქმიანობა საკუთარი კომპეტენციის სფეროში:<br><br>(a) პროდუქტების შემოწმების განხორციელება ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოების, ქსელისა თუ კომისიის მიმართვის საფუძველზე; | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | (b) დამოუკიდებელი ტექნიკური თუ სამეცნიერო კონსულტაციის გაწევა, ქსელის მიმართვის საფუძველზე;<br><br>(c)  ანალიზის ახალი ხერხებისა და მეთოდის შემუშავება.<br><br>7.ამ მუხლის მე-6 პუნქტში განსაზღვრული საქმიანობები უნდა განხორციელდეს ანაზღაურების საფუძველზე და შესაძლებელია მათი დაფინანსება ევროკავშირის მიერ, 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.<br><br>8.ევროკავშირში არსებულ ლაბორატორიებს შეუძლიათ მიიღონ დაფინანსება ევროკავშირისაგან, 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, რათა გაიზარდოს მათი კონტროლის შესაძლებლობები ან შეიქმნას კონტროლის ახალი შესაძლებლობა პროდუქტების კონკრეტული კატეგორიებისათვის ან პროდუქტის კატეგორიასთან დაკავშირებული კონკრეტული რისკებისათვის, რომლებისთვისაც არ არსებობს შემოწმების შესაძლებლობა ან ეს შესაძლებლობა არ არის საკმარისი.<br><br>9.კომისიამ უნდა დაამტკიცოს საიმპლემენტციო აქტები, რომლებშიც | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | განსაზღვრულია პროცედურები ევროკავშირში არსებული უფლებამოსილი ლაბორატორიების შესახებ. აღნიშნული აქტების დამტკიცება უნდა მოხდეს 43-ე მუხლის მე-2 პუნქტში განსაზღვრული შემოწმების პროცედურის შესაბამისად. | | | | | |
| | | | | | | |
| | | | | | | |
| | | | | | | |
| | | | | | | |
| | | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | |
| | | | | | | |
| | | | | | | |
| 22 | 1. წევრ სახელმწიფოთა ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოებს, ასევე ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოებს, კომისიასა და ევროკავშირის შესაბამის სტრუქტურებს შორის უნდა არსებობდეს ეფექტიანი თანამშრომლობისა და ინფორმაციის გაცვლის სისტემა.<br><br>2.როდესაც ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს არ შეუძლია საკუთარი გამოძიების დასრულება, გარკვეულ ინფორმაციაზე წვდომის არქონის საფუძლით, აღნიშნული ინფორმაციის მოპოვების მიზნით განხორციელებული ყველა შესაბამისი ძალისხმევის მიუხედავად, მას შეუძლია წარუდგინოს დასაბუთებული მოთხოვნა იმ სხვა წევრი სახელმწიფოს ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოებს, სადაც | | | | ას | აღნიშნული მუხლი აწესრიგებს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ბაზარზე ზედმახედველობის ორგანოებსა და ევროკავშირის შესაბამის სტრუქტურებს შორის თანამშრომლობისა და ინფორმაციის გაცვლის საკითხებს. შესაბამისად, ტრანსპოზიციის მიზნებისთვის არარელევანტურია. |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | შესაძლებელია ამ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ამ შემთხვევაში, მოთხოვნის მიმღებმა ორგანომ უნდა მიაწოდოს განმცხადებელ ორგანოს, შეფერხების გარეშე და ნებისმიერ შემთხვევაში 30 დღის ვადაში, ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც მოთხოვნის მიმღები ორგანო ჩათვლის რელევანტურად იმისათვის, რომ დადგინდეს, შეუსაბამოა თუ არა კონკრეტული პროდუქტი.<br><br>3.მოთხოვნის მიმღებმა ორგანომ უნდა ჩაატაროს შესაბამისი გამოძიება ან განახორციელოს ნებისმიერი ღონისძიებები მოთხოვნილი ინფორმაციის შეგროვების მიზნით. აუცილებლობის შემთხვევაში, აღნიშნული გამოძიება უნდა ჩატარდეს ბაზარზე ზედამხედველობის სხვა ორგანოთა დახმარებით.<br><br>4.განმცხადებელი ორგანო დარჩება პასუხისმგებელი ნებისმერ გამოძიებაზე, რომელიც იქნა ინიცირებული მის მიერ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოთხოვნის მიმღები ორგანო დათანხმდება, რომ აიღოს აღნიშნული პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე. | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 5.შესაბამისად დასაბუთებულ შემდეგ შემთხვევებში, მოთხოვნის მიმღებ ორგანოს შეუძლია განაცხადოს უარი ინფორმაციის მიწოდებაზე მე-2 პუნქტში განსაზღვრული მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე:<br><br>(a) როდესაც განმცხადებელ ორგანოს საკმარისად არ დაუსაბუთებია, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია აუცილებელია შეუსაბამობის დასადგენად;<br><br>(b) როდესაც მოთხოვნის მიმღები ორგანო მოახდენს საკმარისი საფუძვლების დემონსტრირებას, რომლებიც გვიჩვენებენ, რომ მოთხოვნის შესრულება მნიშვნელოვნად შეაფერხებდა საკუთარი საქმიანობის განხორციელებას. | | | | | |
| | | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | |
| | | | | | | |
| | | | | | | |
| 23 | 1.იმ შემთხვევაში როდესაც პროდუქტთან დაკავშირებული შეუსაბამობის აღმოფხვრა მოითხოვს სხვა წევრი სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებში განსახორციელებელ ღონისძიებებს და ამგვარი ღონისძიებები არ გამომდინარეობს მე-16(7) მუხლში განსაზღვრული მოთხოვნებიდან, განმცხადებელ ორგანოს აღსრულების ღონისძიებებთან დაკავშირებით, სათანადოდ დასაბუთებული მოთხოვნა შეუძლია წარუდგინოს ამ  წევრ სახელმწიფოში არსებულ მოთხოვნის მიმღებ ორგანოს.<br><br>2.მოთხოვნის მიმღები ორგანო დაუყოვნებლივ მიიღებს ყველა შესაბამის და აუცილებელ აღსრულების ზომას, ამ რეგულაციით მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენებით, რათა | | | | ას | აღნიშნული მუხლის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებზე. შესაბამისად, ტრანსპოზიციის მიზნებისთვის არარელევანტურია. |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | შეუსაბამობის შემთხვევა დასრულდეს მე-14 მუხლით გათვალისწინებული უფლებამოსილებებისა და ეროვნული კანონმდებლობით მინიჭებული ნებისმიერი დამატებითი უფლებამოსილების გამოყენებით.<br>3.მოთხოვნის მიმღებმა ორგანომ უნდა აცნობოს განმცხადებელ ორგანოს მე-2 პუნქტში განსაზღვრული განხორციელებული ან განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ.<br><br>მოთხოვნის მიმღებ ორგანოს შეუძლია განაცხადოს უარი აღსრულების ღონისძიებებთან დაკავშირებით წარდგენილ მოთხოვნაზე, შემდეგ სიტუაციებში:<br><br>(a) თუ მოთხოვნის მიმღები ორგანო ფიქრობს, რომ განმცხადებელმა მიაწოდა არასაკმარისი ინფორმაცია;<br><br>(b) თუ მოთხოვნის მიმღები ორგანო ჩათვლის, რომ მოთხოვნა | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ეწინააღმდეგება ევროკავშირის ჰარმონიზებულ კანონმდებლობას;<br><br>(c) თუ მოთხოვნის მიმღები ორგანო გონივრული საფუძვლების საშუალებით, დაამტკიცებს რომ მოთხოვნის შესრულება მნიშვნელოვნად შეაფერხებს მისი საქმიანობის განხორციელებას. | | | | | |
| | | | | | | |
| | | | | | | |
| 24 | 1. 22-ე ან 23-ე მუხლის შესაბამისად მოთხოვნის წარდგენამდე, მომთხოვნი ორგანო ეცდება ჩაატაროს ყველა შესაძლო გონივრული გამოძიება.<br>2.22-ე ან 23-ე მუხლის შესაბამისად მოთხოვნის წარდგენისას, განმცხადებელმა ორგანომ უნდა მიაწოდოს ყველა ხელმისაწვდომი ინფორმაცია, რათა მოთხოვნის მიმღებ ორგანოს მიეცეს მოთხოვნის შესრულების საშუალება, მათ შორის ნებისმიერი აუცილებელი მტკიცებულებები, რომელთა მოპოვებაც შესაძლებელია მხოლოდ | | | | ას | აღნიშნული მუხლის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებზე. შესაბამისად, ტრანსპოზიციის მიზნებისთვის არარელევანტურია. |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | განმცხადებელი ორგანოს წევრ სახელმწიფოში.<br>3.22-ე და 23-ე მუხლებით განსაზღვრული მოთხოვნები და მათთან დაკავშირებული კომუნიკაცია უნდა განხორციელდეს ელექტრონული სტანდარტული ფორმების გამოყენებით, 34-ე მუხლში განსაზღვრული საინფორმაციო და საკომუნიკაციო სისტემის მეშვეობით.<br>4.კომუნიკაცია უნდა განხორციელდეს უშუალოდ ბაზარზე ზედამხედველობის შესაბამის ორგანოებს შორის ან შესაბამისი წევრი სახელმწიფოების ერთიანი სამოკავშირეო ოფისების საშუალებით.<br>5.ბაზარზე ზედამხედველობის შესაბამისი ორგანოები უნდა შეთანხმდნენ იმ ენების გამოყენების თაობაზე, რომლებიც საჭიროა 22-ე და 23-ე მუხლების შესაბამისად წარდგენილი მოთხოვნებისა და მათთან დაკავშირებული კომუნიკაციისათვის.<br>6.იმ შემთხვევაში, როდესაც ბაზარზე ზედამხედველობის შესაბამისი ორგანოები ვერ შეთანხმდნენ გამოსაყენებელი ენების თაობაზე, 22-ე და 23-ე მუხლების შესაბამისად განსაზღვრული მოთხოვნები უნდა გაიგზავნოს განმცხადებელი ორგანოს წევრი სახელმწიფოს ოფიციალურ ენაზე, ხოლო პასუხები ამგვარ | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მოთხოვნებზე უნდა გაიგზავნოს მოთხოვნის მიმღები ორგანოს წევრი სახელმწიფოს ოფიციალურ ენაზე. ამ შემთხვევაში, განმცხადებელმა ორგანომ და მოთხოვნის მიმღებმა ორგანომ უნდა განახორციელოს მოთხოვნების, პასუხებისა და მეორე ორგანოსაგან მიღებული სხვა დოკუმენტების თარგმნის პროცესის ორგანიზება.<br>7.34-ე მუხლში განსაზღვრული საინფორმაციო და საკომუნიკაციო სისტემა მოიცავს სტრუქტურირებულ ინფორმაციას ერთიანი სამოკავშირეო ოფისების ჩართულობით ურთიერთდახმარების შესახებ. ამ ინფორმაციის გამოყენებით, ერთიანი საკავშირო ოფისები უზრუნველყოფენ ნებისმიერ მხარდაჭერას, რომელიც აუცილებელია დახმარების ხელშეწყობისთვის. | | | | | |
| | | | | | | |
| | | | | | | |
| | | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | |
| | | | | | | |
| | | | | | | |
| 25.1 | წევრმა სახელმწიფოებმა უნდა დანიშნონ საბაჟო ორგანოები, ბაზარზე ზედამხედველობის ერთი ან მეტი ორგანო ან ნებისმიერი სხვა ორგანო, რომლებიც გააკონტროლებენ ევროკავშირის ბაზარზე პროდუქტების განთავსებას.<br><br>თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ უნდა აცნობოს კომისიასა და სხვა წევრი სახელმწიფოების პირველი პუნქტის შესაბამისად განსაზღვრულ პასუხისმგებელ ორგანოებს მათი კომპეტენციის სფეროების შესახებ, 34-ე მუხლში განსაზღვრული საინფორმაციო და საკომუნიკაციო სისტემის მეშვეობით. | N1 | 1.3.<br><br>($13^4$.7) | 7. საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ბაზარზე ზედამხედველობის პროცედურები შესაძლებელია განხორციელდეს როგორც საქართველოს საბაჟო კონტროლის ზონაში, ასევე, პროდუქტის რეალიზაციის, წარმოების, დასაწყობებისა და შენახვის ადგილებში. | ნშ | საქართველოს საბაჟო კონტროლის ზონაში, იმპორტის გზით განკუთვნილ პროდუქტებზე ზედამხედველობას ახორციელებს სსიპ - ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო. საბაჟო ორგანო არ არის აღნიშნული უფლებამოსილებით აღჭურვილი. აღნიშნულ ნორმასთან სრული დაახლოება განხორციელდება ეტაპობრივად. ამასთან, კომისიისთვის შეტყობინების |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | ვალდებულება საქართველოს არ გააჩნია, ვინაიდან არ არის ევროკავშირის წევრი ქვეყანა. |
| 25.2 | პირველი პუნქტის შესაბამისად განსაზღვრულ ორგანოებს უნდა გააჩნდეთ აუცილებელი უფლებამოსილებები და რესურსები ამ პუნქტში განსაზღვრული ამოცანების ჯეროვნად შესასრულებლად. | N1 | 1.3 (13⁴.11-14) | 11. თუ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – შემოსავლების სამსახურს აქვს ინფორმაცია დადასტურებული საფრთხის შემცველი კონკრეტული პროდუქტის საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანის თაობაზე, იგი ვალდებულია მიიღოს ყველა შესაძლო ზომა აღნიშნული პროდუქტის საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანის დაუშვებლობის შესახებ და ამის თაობაზე დაუყოვნებლივ შეატყობინოს ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ბაზარზე ზედამხედველობის ღონისძიებების განხორციელების მიზნით.<br><br>12. ბაზარზე ზედამხედველობის ღონისძიებების განხორციელების მიზნით, ბაზარზე ზედამხედველობის ორგანო უფლებამოსილია, საფუძვლიანი ეჭვის არსებობისას ან/და რისკის ანალიზზე დაყრდნობით, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – | ნშ | როგორც რეგულაციის 25.1 მუხლის კომენტარში აღინიშნა, საბაჟო ორგანოს არ გააჩნია საქართველოს ბაზარზე განთავსების მიზნით იმპორტის გზით შემოსატან პროდუქტებზე ზედამხედველობის განხორციელების უფლებამოსილება. თუმცა, აღნიშნულ პროდუქტებზე კონტროლი სრულად ხორციელდება ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს მიერ. კოდექსი, ასევე, არეგულირებს ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოსა და საბაჟო ორგანოს შორის |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | შემოსავლების სამსახურს მიმართოს პროდუქტის შეჩერების თაობაზე. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური ვალდებულია, შეაჩეროს პროდუქტი პროდუქტის შემოწმებისათვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვადით და არ დაუშვას იმპორტის გზით ასეთი პროდუქტის საქართველოს ბაზარზე განთავსება.<br><br>13. იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ პროდუქტი არ შეესაბამება ამ კოდექსის ან/და შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებს ან/და შეიცავს დადასტურებულ საფრთხეს, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური ვალდებულია, არ დაუშვას ასეთი პროდუქტის იმპორტის გზით საქართველოს ბაზარზე განთავსება.<br><br>14. თუ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით დადგენილ ვადაში ვერ ხორციელდება თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) ან სხვა საბაჟო პროცედურის/რეექსპორტის განსაზღვრა, პროდუქტის მიმართ, საბაჟო ორგანოს გადაწყვეტილებით, ხორციელდება საქართველოს საბაჟო | | თანამშრომლობისა და ინფორმაციის გაცვლის საკითხებს. |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | კოდექსის XV თავით გათვალისწინებული საქონლის განკარგვის ღონისძიებები, საქონლის მფლობელის/იმპორტიორის ხარჯით. | | |
| 25.3 | ევროკავშირის კანონმდებლობას დაქვემდებარებული პროდუქტები, რომლებზეც ხორციელდება საბაჟო პროცედურა „გაშვება თავისუფალ მიმოქცევაში“, ექვემდებარებიან ამ მუხლის პირველ პუნქტში განსაზღვრული ორგანოების მიერ განხორციელებულ კონტროლს. მათ უნდა განახორციელონ აღნიშნული კონტროლი რისკის ანალიზის საფუძველზე, (EU) No 952/2013 რეგულაციის 46-ე და 47-ე მუხლების შესაბამისად და საჭიროებისამებრ, ამ რეგულაციის 11(3) მუხლით განსაზღვრული რისკზე დაფუძნებული მიდგომის საფუძველზე. | N1<br><br>N1 | 3.<br>($13^4$.7)<br><br>3.<br>($13^4$.11-14) | 7. საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ბაზარზე ზედამხედველობის პროცედურები შესაძლებელია განხორციელდეს როგორც საქართველოს საბაჟო კონტროლის ზონაში, ასევე, პროდუქტის რეალიზაციის, წარმოების, დასაწყობებისა და შენახვის ადგილებში.<br><br>11. თუ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – შემოსავლების სამსახურს აქვს ინფორმაცია დადასტურებული საფრთხის შემცველი კონკრეტული პროდუქტის საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანის თაობაზე, იგი ვალდებულია მიიღოს ყველა შესაძლო ზომა აღნიშნული პროდუქტის საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანის დაუშვებლობის შესახებ და ამის თაობაზე დაუყოვნებლივ შეატყობინოს ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ბაზარზე | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ზედამხედველობის ღონისძიებების განხორციელების მიზნით.<br><br>12. ბაზარზე ზედამხედველობის ღონისძიებების განხორციელების მიზნით, ბაზარზე ზედამხედველობის ორგანო უფლებამოსილია, საფუძვლიანი ეჭვის არსებობისას ან/და რისკის ანალიზზე დაყრდნობით, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – შემოსავლების სამსახურს მიმართოს პროდუქტის შეჩერების თაობაზე. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური ვალდებულია, შეაჩეროს პროდუქტი პროდუქტის შემოწმებისათვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვადით და არ დაუშვას იმპორტის გზით ასეთი პროდუქტის საქართველოს ბაზარზე განთავსება.<br><br>13. იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ პროდუქტი არ შეესაბამება ამ კოდექსის ან/და შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებს ან/და შეიცავს დადასტურებულ საფრთხეს, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური ვალდებულია, არ დაუშვას ასეთი პროდუქტის | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | იმპორტის გზით საქართველოს ბაზარზე განთავსება.<br><br>14. თუ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით დადგენილ ვადაში ვერ ხორციელდება თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) ან სხვა საბაჟო პროცედურის/რეექსპორტის განსაზღვრა, პროდუქტის მიმართ, საბაჟო ორგანოს გადაწყვეტილებით, ხორციელდება საქართველოს საბაჟო კოდექსის XV თავით გათვალისწინებული საქონლის განკარგვის ღონისძიებები, საქონლის მფლობელის/იმპორტიორის ხარჯით. | | |
| 25.4 | რისკთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცვლა უნდა განხორციელდეს:<br><br>(a) ამ მუხლის პირველ პუნქტში განსაზღვრულ ორგანოებს შორის, (EU) No 952/2013 რეგულაციის 47-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად; და<br><br>(b) საბაჟო ორგანოებს შორის, (EU) No 952/2013 რეგულაციის 46-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად.<br><br>ევროკავშირის კანონმდებლობას დაქვემდებარებული პროდუქტები, რომლებიც დროებით დასაწყობებულია | N5 | 2 | 1. შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტებით განსაზღვრული პროდუქტების ბაზარზე ზედამხედველობის პროცესში სსიპ – ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოსა (შემდგომში – სააგენტო) და სსიპ – შემოსავლების სამსახურს (შემდგომში – შემოსავლების სამსახური) შორის ინფორმაციის გაცვლა ხდება ამ მუხლით დადგენილი წესით.<br><br>2. ამ მუხლით დადგენილი წესით სააგენტოსა და შემოსავლების სამსახურს შორის ინფორმაციის გაცვლა ხდება: | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ან ექცევა საბაჟო კონტროლის პროცედურის ქვეშ გარდა პროცედურისა „გაშვება თავისუფალ მიმოქცევაში“, და პირველადი ზედამხედველობის განხორციელებისას საბაჟო ორგანოებს აქვთ საფუძველი იფიქრონ, რომ ეს პროდუქტები ვერ აკმაყოფილებენ ევროკავშირის შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს ან რისკის მატარებელი არიან, მათ აღნიშნული ინფორმაცია უნდა მიაწოდონ დანიშნულების ადგილის მიხედვით განსაზღვრულ კომპეტენტურ საბაჟო ორგანოს. | | | ა) სააგენტოს მიერ განსაზღვრული რისკების შესახებ, რომელთა ინტეგრირებაც უნდა მოხდეს მონაცემთა ბაზების მართვის სისტემაში;<br><br>ბ) პროდუქტების შესახებ, რომლებზეც შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტებით არ არის განსაზღვრული საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის სასაქონლო კოდი და სავალდებულოა იმპორტის წინასწარი შეტყობინების წარდგენა.<br><br>3. ეფექტური კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად სააგენტოსა და შემოსავლების სამსახურს შორის, ამ მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის გაცვლა ხდება ელექტრონული ფორმით, სააგენტოსა და შემოსავლების სამსახურის მიერ წინასწარ განსაზღვრული ელექტრონული ფოსტების საშუალებით. ამ გზით მიღებული ინფორმაცია წარმოადგენს სააგენტოსა და შემოსავლების სამსახურის ოფიციალურ პოზიციებს, რომლებიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს შესაბამისი მიზნებისათვის.<br><br>4. სააგენტო და შემოსავლების სამსახური ამ მუხლის მიზნებისათვის განსაზღვრავენ პასუხისმგებელ პირებს, | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | რომლებიც უფლებამოსილნი არიან გაცვალონ და შესაბამისად გამოიყენონ ამ მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია. | | |
| 25.5 | იმ შემთხვევებში, როდესაც მოხდა შეუსაბამობის უფრო მაღალი რისკის გამოვლენა, ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოებმა უნდა მიაწოდონ პირველ პუნქტში განსაზღვრულ ორგანოებს ინფორმაცია შესაბამისი პროდუქტების კატეგორიების ან ეკონომიკური ოპერატორების ვინაობის შესახებ. | N1 | 1.3. (13⁶.14) | 14. ბაზარზე ზედამხედველობის ორგანო ვალდებულია ბაზარზე განთავსებულ პროდუქტთან დაკავშირებული დადასტურებული საფრთხის შესახებ ინფორმაცია და ამ საფრთხის აღმოსაფხვრელად მისაღები ზომების თაობაზე ინფორმაცია მიაწოდოს ეკონომიკურ ოპერატორს, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში – აგრეთვე საბაჟო ორგანოს. | სშ | |
| 25.6 | ყოველი წლის 31 მარტისათვის, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა წარუდგინონ კომისიას დეტალური სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც მოიცავენ პირველი პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული ორგანოების მიერ განხორციელებულ კონტროლს ევროკავშირის კანონმდებლობას დაქვემდებარებულ პროდუქტებთან დაკავშირებით, წინა კალენდარული წლის განმავლობაში. ეს სტატისტიკური მონაცემები უნდა მოიცავდეს განხორციელებული კონტროლის რაოდენობას პროდუქტის | | | | ას | ტრანსპოზიციის მიზნებისთვის არარელევანტურია ვინაიდან ეხება ევროკავშირის წევრ ქვეყნებს. |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | უსაფრთხოებისა და შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.<br><br>კომისიამ ყოველი წლის 30 ივნისისათვის უნდა შეიმუშაოს ანგარიში, რომელიც მოიცავს წევრ სახელმწიფოთა მიერ წინა კალენდარული წლისათვის მიწოდებულ ინფორმაციას და წარდგენილი მონაცემების ანალიზს. ეს ანგარიში უნდა გამოქვეყნდეს 34-ე მუხლში განსაზღვრულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო სისტემაში. | | | | | |
| 25.7 | იმ შემთხვევაში, როდესაც კომისია აცნობიერებს, რომ მესამე ქვეყნიდან იმპორტირებული ევროკავშირის კანონმდებლობას დაქვემდებარებული პროდუქტები სერიოზული რისკის მატარებელია, წევრი სახელმწიფოები უწევენ რეკომენდაციას ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოებს შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების შესახებ. | | | | ას | იხ. რეგულაციის 25.6 მუხლის კომენტარი მე-7 სვეტში. |
| 25.8 | კომისიას, ქსელთან კონსულტაციის შემდგომ, შეუძლია დაამტკიცოს აქტები, რომლებშიც განსაზღვრულია სტანდარტები და ხერხები ევროკავშირის დონეზე საერთო რისკის ანალიზის საფუძველზე შემოწმებების | | | | ას | იხ. რეგულაციის 25.6 მუხლის კომენტარი მე-7 სვეტში. |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | განხორციელებისათვის, რათა უზრუნველყოფილი იყოს ევროკავშირის კანონმდებლობის თანმიმდევრული აღსრულება, გაძლიერდეს კონტროლი ევროკავშირის ბაზარზე განთავსებულ პროდუქტებზე და უზრუნველყოფილი იყოს ამგვარი კონტროლის ეფექტიანი და ერთგვაროვანი დონე. ეს აქტები უნდა დამტკიცდეს 43-ე მუხლის მე-2 პუნქტში განსაზღვრული შემოწმების პროცედურის შესაბამისად. | | | | | |
| 25.9 | კომისიამ უნდა დაამტკიცოს აქტები, სადაც განსაზღვრულია ამ მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად შემდგომ წარსადგენი მონაცემების დეტალები. ეს აქტები უნდა დამტკიცდეს 43-ე მუხლის მე-2 პუნქტში განსაზღვრული შემოწმების პროცედურის შესაბამისად. | | | | ას | იხ. რეგულაციის 25.6 მუხლის კომენტარი მე-7 სვეტში. |
| 26.1 | 1. 25(1) მუხლით განსაზღვრულმა ორგანოებმა უნდა შეაჩერონ პროდუქტის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება, თუ 25(3)-ე მუხლის შესაბამისად განხორციელებული კონტროლის დროს, დადგინდება შემდეგი: | N1 | 1.3. (13⁴.11-14) | 11. თუ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – შემოსავლების სამსახურს აქვს ინფორმაცია დადასტურებული საფრთხის შემცველი კონკრეტული პროდუქტის საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანის თაობაზე, იგი ვალდებულია მიიღოს ყველა შესაძლო ზომა აღნიშნული პროდუქტის | ნშ | საქართველოს საბაჟო კონტროლის ზონაში პროდუქტის ზედამხედველობას ახორციელებს მხოლოდ ბაზარზე ზედამხედველობის ორგანო და არა საბაჟო |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | (a) პროდუქტს თან არ ახლავს ევროკავშირის შესაბამისი კანონმდებლობით მოთხოვნილი დოკუმენტაცია, ან არსებობს გონივრული ეჭვი ამგვარი დოკუმენტაციის ნამდვილობასთან, სიზუსტესთან თუ სისრულესთან დაკავშირებით;<br><br>(b) პროდუქტი არ არის ნიშანდებული ან ეტიკეტირებული ევროკავშირის კანონმდებლობის შესაბამისად;<br><br>(c) პროდუქტს გააჩნია (CE) ნიშანდება ან ევროკავშირის შესაბამისი კანონმდებლობით მოთხოვნილი სხვა ნიშანდება, რომელიც დატანილია არასწორად ან შეცდომაში შეყვანის მიზნით;<br><br>(d) იმ ეკონომიკური ოპერატორის სახელწოდება, რეგისტრირებული სავაჭრო სახელი ან საფირმო ნიშანი და საკონტაქტო დეტალები, მათ შორის, საფოსტო მისამართი და მოთხოვნები იმ პროდუქტებთან დაკავშირებით რომლებიც ექვემდებარება ევროკავშირის ჰარმონიზებულ გარკვეულ კანონმდებლობას, არ არის მითითებული ან იდენტიფიცირებადი | | | საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანის დაუშვებლობის შესახებ და ამის თაობაზე დაუყოვნებლივ შეატყობინოს ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ბაზარზე ზედამხედველობის ღონისძიებების განხორციელების მიზნით.<br><br>12. ბაზარზე ზედამხედველობის ღონისძიებების განხორციელების მიზნით, ბაზარზე ზედამხედველობის ორგანო უფლებამოსილია, საფუძვლიანი ეჭვის არსებობისას ან/და რისკის ანალიზზე დაყრდნობით, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – შემოსავლების სამსახურს მიმართოს პროდუქტის შეჩერების თაობაზე. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური ვალდებულია, შეაჩეროს პროდუქტი პროდუქტის შემოწმებისათვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვადით და არ დაუშვას იმპორტის გზით ასეთი პროდუქტის საქართველოს ბაზარზე განთავსება.<br><br>13. იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ პროდუქტი არ შეესაბამება ამ კოდექსის ან/და შესაბამისი ტექნიკური | | ორგანოება.<br>აღნიშნული მუხლის სრულად დაახლოება მოხდება რეგულაციის 25-ე მუხლთან სრულად დაახლოების ეტაპზე. |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად; ან<br><br>(e) ნებისმიერი სხვა მიზეზით, როდესაც არსებობს საფუძველი ჩავთვალოთ, რომ პროდუქტი არ შეესაბამება ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობას ან რომ იგი წარმოქმნის სერიოზულ რისკს ჯანმრთელობისათვის, უსაფრთხოებისათვის, გარემოსათვის ან პირველ მუხლში განსაზღვრული ნებისმიერი სხვა საზოგადოებრივი ინტერესისათვის. | | | რეგლამენტის მოთხოვნებს ან/და შეიცავს დადასტურებულ საფრთხეს, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური ვალდებულია, არ დაუშვას ასეთი პროდუქტის იმპორტის გზით საქართველოს ბაზარზე განთავსება.<br><br>14. თუ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით დადგენილ ვადაში ვერ ხორციელდება თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) ან სხვა საბაჟო პროცედურის/რეექსპორტის განსაზღვრა, პროდუქტის მიმართ, საბაჟო ორგანოს გადაწყვეტილებით, ხორციელდება საქართველოს საბაჟო კოდექსის XV თავით გათვალისწინებული საქონლის განკარგვის ღონისძიებები, საქონლის მფლობელის/იმპორტიორის ხარჯით. | | |
| 26.2 | 25-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად განსაზღვრულმა ორგანოებმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოებს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პროდუქტის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების შეჩერების შესახებ. | | | | შ | აღნიშნული მუხლის ტრანსპოზიცია მოხდება რეგულაციის 25-ე მუხლის პირველ პუნქტთან სრულად დაახლოების ეტაპზე. |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 26.3 | იმ შემთხვევაში, როდესაც ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოებს გააჩნიათ გონივრული საფუძველი ჩათვალონ, რომ გარკვეული პროდუქტი არ შეესაბამება ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობას ან წარმოქმნის სერიოზულ რისკს, მათ უნდა მოთხოვონ 25-ე მუხლის პირველ პუნქტში განსაზღვრულ ორგანოებს ამ პროდუქტის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცესის შეჩერება. | **N1** | **1.3.** (13⁴.12) | 12. ბაზარზე ზედამხედველობის ღონისძიებების განხორციელების მიზნით, ბაზარზე ზედამხედველობის ორგანო უფლებამოსილია, საფუძვლიანი ეჭვის არსებობისას ან/და რისკის ანალიზზე დაყრდნობით, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – შემოსავლების სამსახურს მიმართოს პროდუქტის შეჩერების თაობაზე. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური ვალდებულია, შეაჩეროს პროდუქტი პროდუქტის შემოწმებისათვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვადით და არ დაუშვას იმპორტის გზით ასეთი პროდუქტის საქართველოს ბაზარზე განთავსება. | სშ | |
| 26.4 | ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული შეტყობინებები და მე-3 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული მოთხოვნები შეიძლება განხორციელდეს 34-ე მუხლში განსაზღვრული საინფორმაციო და საკომუნიკაციო სისტემის მეშვეობით, მათ შორის ამ სისტემასა და საბაჟო ორგანოების მიერ გამოყენებულ სისტემებს შორის არსებული | | | | ას | რეგულაციის 34-ე მუხლით განსაზღვრული საინფორმაციო და საკომუნიკაციო სისტემის გამოყენების უფლებამოსილება აქვს მხოლოდ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს, |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ელექტრონული ინტერფეისების გამოყენებით, მათი ხელმისაწვდომობის შემთხვევაში. | | | | | შესაბამისად, აღნიშნული პუნქტი არარელევანტურია ტრანსპოზიციის მიზნებისთვის. |
| 27 | თუ პროდუქტის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება შეჩერებულია 26-ე მუხლის შესაბამისად, ამ პროდუქტის გაშვება თავისუფალ მიმოქცევაში უნდა მოხდეს მაშინ, როდესაც შესრულებული იქნება ამგვარ გაშვებასთან დაკავშირებული ყველა სხვა მოთხოვნა და ფორმალობა და როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ერთ-ერთი შემდეგი პირობებიდან:<br><br>(a) შეჩერების მომენტიდან ოთხი სამუშაო დღის განმავლობაში, 25(1)მუხლით განსაზღვრულ ორგანოებს არ მიუღიათ მოთხოვნა ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოებისაგან შეჩერების გაგრძელების შესახებ;<br><br>(b) ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოებმა შეატყობინეს 25(1) მუხლით განსაზღვრულ ორგანოებს თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებასთან | N1 | 1.3.<br><br>($13^4$.11-13) | 11. თუ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – შემოსავლების სამსახურს აქვს ინფორმაცია დადასტურებული საფრთხის შემცველი კონკრეტული პროდუქტის საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანის თაობაზე, იგი ვალდებულია მიიღოს ყველა შესაძლო ზომა აღნიშნული პროდუქტის საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანის დაუშვებლობის შესახებ და ამის თაობაზე დაუყოვნებლივ შეატყობინოს ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ბაზარზე ზედამხედველობის ღონისძიებების განხორციელების მიზნით.<br><br>12. ბაზარზე ზედამხედველობის ღონისძიებების განხორციელების მიზნით, ბაზარზე ზედამხედველობის ორგანო უფლებამოსილია, საფუძვლიანი ეჭვის არსებობისას ან/და რისკის ანალიზზე დაყრდნობით, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – | ნშ | აღნიშნული მუხლის ტრანსპოზიცია განხორციელდება რეგულაციის 25-ე მუხლთან სრულად დაახლოების ეტაპზე. |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | დაკავშირებით მათი თანხმობის შესახებ.<br><br>თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება არ ჩაითვლება ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობის მტკიცებულებად. | | | შემოსავლების სამსახურს მიმართოს პროდუქტის შეჩერების თაობაზე. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური ვალდებულია, შეაჩეროს პროდუქტი პროდუქტის შემოწმებისათვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვადით და არ დაუშვას იმპორტის გზით ასეთი პროდუქტის საქართველოს ბაზარზე განთავსება.<br><br>13. იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ პროდუქტი არ შეესაბამება ამ კოდექსის ან/და შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებს ან/და შეიცავს დადასტურებულ საფრთხეს, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური ვალდებულია, არ დაუშვას ასეთი პროდუქტის იმპორტის გზით საქართველოს ბაზარზე განთავსება. | | |
| 28.1 | თუ ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოები დაასკვნიან, რომ გარკვეული პროდუქტი შეიცავს სერიოზულ რისკს, მათ უნდა მიიღონ ყველა აუცილებელი ზომა, რათა არ | N1 | 1.3.<br><br>($13^4$.13) | 13. იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ პროდუქტი არ შეესაბამება ამ კოდექსის ან/და შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებს ან/და შეიცავს დადასტურებულ საფრთხეს, საჯარო | ნშ | ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ 34-ე მუხლში განსაზღვრულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | დაუშვან ასეთი პროდუქტის ბაზარზე განთავსება და უნდა მოსთხოვონ 25(1) მუხლით განსაზღვრულ ორგანოებს, რომ არ გაუშვან პროდუქტი თავისუფალ მიმოქცევაში. მათ ასევე უნდა მოთხოვონ აღნიშნულ ორგანოებს, რომ ეს შეტყობინება შეიტანონ საბაჟო მონაცემთა დამუშავების სისტემაში და საჭიროებისამებრ, პროდუქტის თანმდევ კომერციულ ზედნადებში ან ნებისმიერ სხვა შესაბამის დოკუმენტში.<br><br>'სახიფათო პროდუქტი — თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება არ არის ნებადართული — (EU) 2019/1020 რეგულაცია'.<br><br>ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოებმა დაუყოვნებლივ უნდა შეიტანონ ეს ინფორმაცია 34-ე მუხლში განსაზღვრულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო სისტემაში. | | | სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური ვალდებულია, არ დაუშვას ასეთი პროდუქტის იმპორტის გზით საქართველოს ბაზარზე განთავსება. | | სისტემაში ინფორმაციის ასახვის ვალდებულება ვრცელდება მხოლოდ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებზე. შესაბამისად, საქართველოსთვის არარელევანტურია. |
| 28.2 | თუ ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოები დაასკვნიან, რომ გარკვეული პროდუქტის განთავსება ბაზარზე არ არის დაშვებული, რადგან იგი არ შეესაბამება ევროკავშირის მოქმედ კანონმდებლობას, მათ უნდა მიიღონ ზომები, რათა არ დაუშვან | N1 | 3.<br><br>($13^4$.13) | 13. იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ პროდუქტი არ შეესაბამება ამ კოდექსის ან/და შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებს ან/და შეიცავს დადასტურებულ საფრთხეს, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური ვალდებულია, | ნშ | იხ. რეგულაციის 28.1 მუხლის კომენტარი მე-7 სვეტში. |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ასეთი პროდუქტის ბაზარზე განთავსება და უნდა მოთხოვონ 25(1)მუხლით განსაზღვრულ ორგანოებს, რომ მათ არ გაუშვან ეს პროდუქტი თავისუფალ მიმოქცევაში. ისინი ასევე მოითხოვენ ამ ორგანოებისგან შემდეგი შეტყობინების ჩართვას საბაჟო მონაცემთა დამუშავების სისტემაში და, საჭიროების შემთხვევაში, პროდუქტის თანმხლებ კომერციულ ინვოისსა და ნებისმიერ სხვა შესაბამის თანმხლებ დოკუმენტში:<br>'შეუსაბამო პროდუქტი - თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება არ არის ნებადართული — (EU) 2019/1020 რეგულაცია'.<br>ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოებმა დაუყოვნებლივ უნდა შეიტანონ ეს ინფორმაცია 34-ე მუხლში განსაზღვრულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო სისტემაში. | | | არ დაუშვას ასეთი პროდუქტის იმპორტის გზით საქართველოს ბაზარზე განთავსება. | | |
| 28.3 | თუ პირველ ან მეორე პუნქტში განსაზღვრული პროდუქტი დეკლარირებულია საბაჟო პროცედურისათვის, გარდა თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისა და ამას არ ეწინააღმდეგება ბაზარზე | | | | ას | აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული შეტყობინებისა და დოკუმენტების 34-ე მუხლით განსაზღვრულ |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ზედამხედველობის ორგანოები, მათ შორის, ეს პროცედურა მოიცავს პირველ ან მეორე პუნქტში განსაზღვრულ შეტყობინებისაც, რომელიც ასევე უნდა იყოს შეტანილი, პირველ ან მეორე პუნქტში განსაზღვრული პირობების შესაბამისად, ამ პროცედურასთან დაკავშირებულ დოკუმენტებში. | | | | | საინფორმაციო და საკომუნიკაციო სისტემაში ასახვის ვალდებულება ვრცელდება მხოლოდ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებზე. შესაბამისად, საქართველოსთვის არარელევანტურია. |
| 28.4 | 25(1) მუხლის შესაბამისად განსაზღვრულ ორგანოებს შეუძლიათ გაანადგურონ ან სხვაგვარად გამოიყენონ პროდუქტი, რომელიც შეიცავს რისკს საბოლოო მომხმარებელთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოებისათვის, იმ შემთხვევაში, როდესაც შესაბამისი ორგანო ჩათვლის, რომ ამის გაკეთება აუცილებელი და პროპორციულია. ამგვარი ღინისძიების ხარჯები უნდა დაფაროს იმ ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირმა, რომელმაც განახორციელა პროდუქტის დეკლარირება თავისუფალი მიმოქცევისათვის.<br>(EU) No 952/2013 რეგულაციის 197-ე და 198-ე მუხლების მოქმედება გავრცელდება შესაბამისად. | N1<br><br>N8 | 1.3.<br>($13^4$.14)<br><br>102-104 | 14. თუ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით დადგენილ ვადაში ვერ ხორციელდება თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) ან სხვა საბაჟო პროცედურის/რეექსპორტის განსაზღვრა, პროდუქტის მიმართ, საბაჟო ორგანოს გადაწყვეტილებით, ხორციელდება საქართველოს საბაჟო კოდექსის XV თავით გათვალისწინებული საქონლის განკარგვის ღონისძიებები, საქონლის მფლობელის/იმპორტიორის ხარჯით.<br><br>**მუხლი 102. საქონლის განადგურება**<br>1. შესაბამისი საფუძვლის არსებობისას საბაჟო ორგანოს შეუძლია მოითხოვოს მისთვის წარდგენილი საქონლის განადგურება, რის შესახებაც მან უნდა | სშ | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | აცნობოს საქონლის მფლობელს. საქონლის განადგურების ხარჯებს საქონლის მფლობელი ანაზღაურებს.<br><br>2. საქონლის გასანადგურებლად განსახორციელებელი საბაჟო ფორმალობები განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.<br><br>**მუხლი 103. საქონლის განკარგვის ღონისძიებები**<br><br>1. საბაჟო ორგანომ საქონლის განკარგვის მიზნით მის მიმართ შეიძლება განახორციელოს შემდეგი ღონისძიებები:<br><br>ა) საბაჟო სანქციის სახით საბაჟო სამართალდარღვევის საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების უსასყიდლოდ ჩამორთმევა;<br><br>ბ) საქონლის განადგურება;<br><br>გ) საქონლის სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემა.<br><br>2. ამ მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საქონლის განკარგვის ღონისძიებები საბაჟო ორგანოს ინიციატივით ხორციელდება იმ საქონლის მიმართ: | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ა) რომლის გაშვება არ შეიძლება, რადგან დეკლარანტის მიზეზით შეუძლებელი გახდა დადგენილ ვადაში საბაჟო ფორმალობების განხორციელება/საქონლის საბაჟო პროცედურაში მოქცევა ან გადახდილი არ იქნა იმპორტის გადასახდელი ან/და წარდგენილი არ იქნა გარანტია;<br><br>ბ) რომლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა ან/და საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანა აკრძალულია ან შეზღუდულია;<br><br>გ) რომელიც გაშვებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში გატანილი არ იქნა საბაჟო კონტროლის ზონიდან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქართველოს კანონმდებლობით ნებადართულია გაშვებული საქონლის საბაჟო კონტროლის ზონაში გარკვეული ვადით დატოვება;<br><br>დ) რომლის (მათ შორის, დროებით შენახული საქონლის) მიმართაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში არ განსაზღვრულა საბაჟო პროცედურა ან რომლის მიმართაც აღნიშნული ვადის ამოწურვამდე ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული საქონლის | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | განკარგვის ღონისძიება არ განხორციელებულა;<br><br>ე) რომლის მიმართაც საბაჟო პროცედურა განსაზღვრულია და ამ კოდექსის 78-ე მუხლის მე-4 ნაწილით დადგენილი ვადა ამოწურულია, თუ ეს საბაჟო პროცედურა არ დასრულებულა ან სხვა საბაჟო პროცედურა არ განსაზღვრულა, ან რომლის მიმართაც ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული საქონლის განკარგვის ღონისძიება არ განხორციელებულა;<br><br>ვ) რომლის საბაჟო საწყობის პროცედურაში შენახვის ვადა ამოიწურა და არ გაგრძელებულა, ან რომლის მიმართაც სხვა საბაჟო პროცედურა არ განსაზღვრულა ან არ განხორციელებულა ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული საქონლის განკარგვის ღონისძიება;<br><br>ზ) რომელიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 164-ე მუხლის მე-8 ნაწილით.<br><br>3. საბაჟო ორგანო დეკლარანტს წერილობით ატყობინებს საქონლის განკარგვის განზრახვის შესახებ და ადგენს ამ მუხლის მე-2 ნაწილის „ა“–„ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული | | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ნაკლოვანებების აღმოფხვრის ვადას, რომელიც 30 დღეს არ უნდა აღემატებოდეს. ამ ვადაში დეკლარანტის მიერ აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოფხვრის ან საქონლის რეექსპორტის შემთხვევაში საბაჟო ორგანო არ ახორციელებს საქონლის სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემას ან საქონლის განადგურებას.<br><br>4. დეკლარანტის ინიციატივითა და საბაჟო ორგანოს ზედამხედველობით ხორციელდება საქონლის განკარგვის შემდეგი ღონისძიებები:<br><br>ა) საქონლის სახელმწიფო საკუთრებაში ან მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემა;<br><br>ბ) საქონლის განადგურება.<br><br>5. საქონლის განკარგვის მიზნით საბაჟო ორგანოს მიერ მის მიმართ ღონისძიებების განხორციელების წესი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.<br><br>**მუხლი 104. საქონლის სახელმწიფოსთვის ან/და მუნიციპალიტეტისთვის გადაცემა**<br><br>1. პროცედურის მფლობელმა ან საქონლის მფლობელმა უცხოური საქონელი და | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | მიზნობრივი დანიშნულებით შემოტანილი საქონელი საბაჟო ორგანოსთან წინასწარი შეთანხმებით შეიძლება საკუთრებაში გადასცეს სახელმწიფოს ან/და მუნიციპალიტეტს.<br>2. საქონლის სახელმწიფოსთვის ან/და მუნიციპალიტეტისთვის გადაცემის წესი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით. | | |
| 29.1 | ამ დოკუმენტით იქმნება ევროკავშირის პროდუქტების შესაბამისობის ქსელი („ქსელი“). | | | | ას | აღნიშნული მუხლი ტრანსპოზიციის მიზნებისთვის არარელევანტურია, ვინაიდან ეხება მხოლოდ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს, შექმნან პროდუქტების შესაბამისობის ქსელი. |
| 29.2 | ქსელის მიზანია შეასრულოს პლატფორმის როლი წევრი სახელმწიფოების აღსრულების ორგანოებსა და კომისიას შორის სტრუქტურირებული კოორდინაციისა და თანამშრომლობისათვის, ასევე უფრო სწრაფი და მარტივი გახადოს | | | | ას | აღნიშნული მუხლის ტრანსპოზიციის მიზნებისთვის არარელევანტურია, ვინაიან ეხება მხოლოდ წევრ სახელმწიფოებსა და კომისიას. |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ბაზარზე ზედამხედველობის პრაქტიკა ევროკავშირის ფარგლებში, რაც თავის მხრივ გამოიწვევს ბაზარზე ზედამხედველობის ეფექტიანობის ზრდას. | | | | | |
| 30 | 1.ქსელი უნდა მოიცავდეს თითოეული წევრი სახელმწიფოს წარმომადგენლებს, მათ შორის მე-10 მუხლში განსაზღვრული თითოეული სამოკავშირეო ოფისის წარმომადგენლებს და ერთ არჩევით ექსპერტს თითოეული წევრი ქვეყნიდან, ასევე ADCO-ს თავმჯდომარეებს და კომისიის წარმომდგენლებს.<br><br>2.ევროკავშირის ჰარმონიზებული კანონმდებლობის ერთგვაროვანი გამოყენების მიზნით უნდა შეიქმნას ადმინისტრაციული თანამშრომლობის ცალკეული ან ერთობლივი ჯგუფები (ADCO). ადმინისტრაციული თანამშრომლობის ჯგუფები შედგება ბაზარზე ზედამხედველობის ეროვნული ორგანოების წარმომადგენლებისაგან და საჭიროებისამებრ, ერთი სამოკავშირეო ოფისის წარმომადგენლებისაგან. | | | | ას | აღნიშნული მუხლის ტრანსპოზიცია არარელევანტურია, ვინაიდან არეგულირების ქსელის შექმნასთან დაკავშირებულ საკითხებს. |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ადმინისტრაციული თანამშრომლობის ჯგუფების შეხვედრები (ADCO) განკუთვნილია მხოლოდ ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოებისა და კომისიის წარმომადგენლებისათვის.<br><br>შესაბამისი დაინტერესებული მხარეები, როგორიცაა ინდუსტრიული ინტერესების წარმომადგენელი ორგანიზაციები, მცირე და საშუალო ზომის საწარმოები, მომხმარებლები, ტესტირებისათვის განკუთვნილი ლაბორატორიები, ევროკავშირის სტანდარტიზაციისა და შესაბამისობის შემფასებელი სტრუქტურები, შეიძლება იყვნენ მიწვეულნი ადმინისტრაციული თანამშრომლობის ჯგუფების შეხვედრებზე, რაც დამოკიდებულია კონკრეტულ განსახილველ საკითხზე.<br><br>3.კომისიამ მხარი უნდა დაუჭიროს ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოთა შორის თანამშრომლობას ქსელის მეშვეობით, და  მონაწილეობას მიიღოს ქსელის, მისი ქვეჯგუფებისა და ადმინისტრაციული თანამშრომლობის ჯგუფების შეხვედრებში.<br><br>4.კომისიის ან წევრი სახელმწიფოს დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე, საჭიროებისამებრ, | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ქსელის წარმომადგენლებმა უნდა გამართონ რეგულარული შეხვედრები.<br><br>5.ქსელს შეუძლია შექმნას მუდმივი ან დროებითი ქვეჯგუფები, რომლებიც იმუშავებენ კონკრეტულ საკითხებსა და ამოცანებზე.<br><br>6.ქსელის წარმომადგენლებს შეუძლიათ მიიწვიონ ექსპერტები და მესამე მხარეები,  მათ შორის, ინდუსტრიული ინტერესების წარმომადგენელი ორგანიზაციები, მცირე და საშუალო ზომის საწარმოები, მომხმარებლები, ტესტირებისათვის განკუთვნილი ლაბორატორიები, ევროკავშირის სტანდარტიზაციისა და შესაბამისობის შემფასებელი სტრუქტურები, შეხვედრებზე დასასწრებად დამკვირვებლის სტატუსით ან წერილობით კომენტარების წარდგენის მიზნით.<br><br>7.ქსელის წარმომადგენლებმა მათ ხელთ არსებული შესაძლებლობის ფარგლებში უნდა მიაღწიონ შეთანხმებას. ქსელის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებები არის სარეკომენდაციო ხასიათის და მათ არ | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ექნებათ სავალდებულო იურიდიული ძალა.<br><br>8.ქსელმა უნდა შეიმუშაოს საკუთარი წესები და პროცედურები. | | | | | |
| | | | | | | |
| | | | | | | |
| | | | | | | |
| | | | | | | |
| | | | | | | |
| | | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | |
| | | | | | | |
| 31 | 1.მე-2 პუნქტში განსაზღვრული ამოცანების შესრულებისათვის, ქსელმა უნდა გამოიყენოს ბაზარზე ზედამხედველობის ზოგადი, ჰორიზონტალური საკითხები, რათა ხელი შეეწყოს თანამშრომლობას თითოეულ სამოკავშირეო ოფისსა და კომისიას შორის.<br><br>2.ქსელის ამოცანები იქნება შემდეგი:<br><br>(a) მისი სამუშაო პროგრამის მომზადება, დამტკიცება და განხორციელების მონიტორინგი;<br><br>(b) ბაზარზე ზედამხედველობის საქმიანობისათვის საერთო პრიორიტეტების იდენტიფიცირების და სექტორებს შორის პროდუქტების შეფასების შესახებ ინფორმაციის გაცვლის პროცესების ხელშეწყობა, მათ შორის, ინფორმაცია რისკის შეფასების თაობაზე, ტესტირების მეთოდებისა და შედეგების, სამეცნიერო სიახლეებისა და ახალი ტექნოლოგიების, ახალი | | | | ას | აღნიშნული მუხლი არ საჭიროებს ეროვნულ კანონმდებლობაში ასახვას, ვინაიდან არეგულირებს ქსელის შექმნასთან დაკავშირებულ საკითხებს, რომელიც ვრცელდება მხოლოდ წევრ სახელმწიფოებსა და კომისიაზე. |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | რისკებისა და იმ სხვა ასპექტების შესახებ, რომლებიც რელევანტურია საკონტროლო საქმიანობისათვის, ასევე ინფორმაცია ბაზარზე ზედამხედველობის ეროვნული სტრატეგიებისა და საქმიანობის განხორციელების შესახებ;<br>(c) ადმინისტრაციული თანამშრომლობის ჯგუფებისა (ADCO) და მათი საქმიანობის კოორდინაცია;<br>(d) ბაზარზე  ზედამხედველობისა და შემოწმების ერთობლივი პროექტების ორგანიზება და მათი პრიორიტეტების განსაზღვრა;<br> (e) ექსპერტული ცოდნისა და საუკეთესო პრაქტიკების გაზიარება, კერძოდ ბაზარზე ზედამხედველობის ეროვნული სტრატეგიების განხორციელებასთან დაკავშირებით;<br>(f) ტრენინგის პროგრამებისა და პერსონალის გაცვლითი ვიზიტების ორგანიზების ხელშეწყობა;<br>(g)კომისიასთან თანამშრომლობის ფარგლებში, საინფორმაციო კამპანიების და ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოებს შორის | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ნებაყოფლობითი ვიზიტების პროგრამების ორგანიზება,<br><br>(h) ტრანსსასაზღვრო ურთიერთდახმარების მექანიზმებთან დაკავშირებით წამოჭრილი საკითხების განხილვა;<br><br>(i) ამ რეგულაციის ეფექტიანი და ერთგვაროვანი გამოყენებისათვის მონაწილეობა მიიღოს სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავებაში;<br><br>(j) შეთავაზოს 36-ე მუხლში განსაზღვრული საქმიანობების დაფინანსება;<br><br>(k) მონაწილეობა მიიღოს წევრ სახელმწიფოებში ბაზარზე ზედამხედველობასთან დაკავშირებით ერთგვაროვანი ადმინისტრაციული პრაქტიკის დამკვიდრების პროცესში;<br><br>(l) კონსულტაციებისა და დახმარების გაწევა კომისიისათვის RAPEX-ის და 34-ე მუხლში განსაზღვრული საინფორმაციო და საკომუნიკაციო სისტემის შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებით; | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | (m) თანამშრომლობისა და ექსპერტული ცოდნისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების ხელშეწყობა ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოებსა და იმ ორგანოებს შორის, რომლებიც ახორციელებენ კონტროლს ევროკავშირის საზღვრებს გარეთ.<br><br>(n) სხვა შესაბამის ქსელებთან და ჯგუფებთან თანამშრომლობის მხარდაჭერა და ხელშეწყობა, რათა განხორციელდეს ბაზარზე ზედამხედველობისა და პროდუქტების მიკვლევადობის მიზნებისათვის ახალი ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობების კვლევა;<br><br>(o) ბაზარზე ზედამხედველობის ეროვნული სტრატეგიების რეგულარული შეფასება. პირველი ასეთი შეფასება უნდა განხორციელდეს 2024 წლის 16 ივლისამდე;<br><br>(p) ქსელის პასუხისმგებლობის სფეროში განხორციელებულ საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა საკითხების მოგვარება, ევროკავშირის ფარგლებში ბაზარზე ეფექტიანი | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ზედამხედველობის განხორციელებისათვის. | | | | | |
| 32.1 | | | | | | |
| 32 | 1.მე-2 პუნქტში განსაზღვრული ამოცანების შესრულებისას, ადმინისტრაციული<br><br>თანამშრომლობის ჯგუფებმა უნდა მოაგვარონ კონკრეტული საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ბაზარზე ზედამხედველობასთან და კონკრეტულ სექტორულ საკითხებთან.<br><br>2.ადმინისტრაციული თანამშრომლობის ჯგუფებმა უნდა შეასრულონ შემდეგი ამოცანები:<br><br>(a) ევროკავშირის ჰარმონიზებული კანონმდებლობის ერთგვაროვანი გამოყენების ხელშეწყობა მათი კომპეტენციის სფეროში, შიდა ბაზარზე ეფექტიანი ზედამხედველობის განხორციელების მიზნით,<br><br>(b) ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოებს და ქსელს შორის კომუნიკაციის ხელშეწყობა და ბაზარზე | | | | ას | მოცემული მუხლის ტრანსპოზიცია არ არის რელევანტური, ვინაიდან განსაზღვრავს ადმინისტრაციული თანამშრომლობის ჯგუფებთან დაკავშირებულ საკითხებს. საქართველოს აქვს მხოლოდ დამკვირვებლის სტატუსი ცალკეულ ADCO ჯგუფებში. |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ზედამხედველობის ორგანოებს შორის ურთიერთნდობის განვითარება;<br><br>(c) საერთო პროექტების შემუშავება და კოორდინირება, როგორიცაა ბაზარზე ზედამხედველობის ტრანსსასაზღვრო ერთობლივი საქმიანობა;<br><br>(d) საერთო პრაქტიკისა და მეთოდოლოგიების შემუშავება ბაზარზე ეფექტიანი ზედამხედველობის მიზნით;<br><br>(e) ერთმანეთისათვის ინფორმაციის მიწოდება ბაზარზე ზედამხედველობის ეროვნული მეთოდებისა და საქმიანობის შესახებ და საუკეთესო პრაქტიკის შემუშავება და ხელშეწყობა;<br><br>(f) ბაზარზე ზედამხედველობასთან დაკავშირებული საერთო ინტერესის საკითხების იდენტიფიცირება და წინადადებების წარდგენა საერთო მიდგომების დამკვიდრებასთან დაკავშირებით;<br><br>(g) პროდუქტების კონკრეტული სექტორების მიხედვით შეფასების ხელშეწყობა, მათ შორის რისკის | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | შეფასებები, შემოწმების მეთოდები და შედეგები, სამეცნიერო სიახლეები და საკონტროლო საქმიანობისათვის რელევანტური სხვა ასპექტები. | | | | | |
| 33 | კომისიას უნდა ჰქონდეს შემდეგი ამოცანები:<br><br>(a) დაეხმაროს ქსელისა და ადმინისტრაციული თანამშრომლობის (ADCO) ქვეჯგუფებს აღმასრულებელი სამდივნოს მეშვეობით, რომელიც უზრუნველყოფს ტექნიკურ და ლოჯისტიკურ მხარდაჭერას;<br><br>(b) ადმინისტრაციული თანამშრომლობის ჯგუფების (ADCO) თავმჯდომარეთა განახლებადი სიის წარმოება და მისი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ერთიანი სამოკავშირეო ოფისებისა და ადმინისტრაციული თანამშრომლობის ჯგუფების თავმჯდომარეებისათვის, მათი საკონტაქტო ინფორმაციის ჩათვლით;<br><br>(c) დახმარების გაწევა ქსელისათვის, მისი სამუშაო პროგრამის მომზადებისა და მონიტორინგის პროცესში;<br><br>(d) პროდუქტის საკონტაქტო პუნქტების ფუნქციონირების | | | | ას | აღნიშნული მუხლის არ საჭიროებს ეროვნულ კანონმდებლობაში ასახვას, ვინაიდან განსაზღვრავს კომისიის ვალდებულებას. |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მხარდაჭერა წევრი სახელმწიფოების მიერ დაკისრებული მოვალეობების შესრულების მიზნით ევროკავშირის ჰარმონიზებული კანონმდებლობის შესაბამისად;<br><br>(e) ქსელთან კონსულტაციით განსაზღვროს დამატებითი შესაძლებლობების არსებობის საჭიროებები და ამ მიზნით სხვადასხვა გადაწყვეტილებების შეთავაზება, 21-ე მუხლის შესაბამისად;<br><br>(f) 35-ე მუხლში განსაზღვრული საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტრუმენტების გამოყენება;<br><br>(g) ცალკეული ან ერთობლივი ადმინისტრაციული თანამშრომლობის ჯგუფების (ADCO) შექმნის პროცესის ხელშეწყობა;<br><br>(h) 34-ე მუხლში განსაზღვრული საინფორმაციო და საკომუნიკაციო სისტემის, მათ შორის 34-ე მუხლის მე-7 პუნქტში განსაზღვრული ინტერფეისის და ასევე ბაზარზე ზედამხედველობის ეროვნულ მონაცემთა ბაზებთან დამაკავშირებელი ინტერფეისის განვითარება და შენარჩუნება და ინფორმაციის | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მიწოდება საზოგადოებისათვის აღნიშნული სისტემის მეშვეობით;<br><br>(i) ბაზარზე ზედამხედველობის საქმიანობის ხელშეწყობისათვის დაეხმაროს ქსელს წინასწარი ან მოსამზადებელი სამუშაოების შესრულების პროცესში, ევროკავშირის ჰარმონიზებული კანონმდებლობის ფარგლებში, როგორიცაა კვლევები, პროგრამები, შეფასებები, შედარებითი ანალიზი, ერთმანეთთან ვიზიტები და ვიზიტების პროგრამები, პერსონალის გაცვლა, კვლევითი სამუშაო, ლაბორატორიული სამუშაო, პროფესიული ტესტირება, შიდა ლაბორატორიული შემოწმებები და შესაბამისობის შეფასების საქმიანობა;<br><br>(j) ევროკავშირის ბაზარზე ზედამხედველობის კამპანიების და მსგავსი საქმიანობის მომზადება და დახმარების გაწევა მათი განხორციელების პროცესში;<br><br>(k) ბაზარზე ზედამხედველობისა და შემოწმების ერთობლივი პროექტებისა და ტრენინგის საერთო პროგრამების ორგანიზება, რათა ხელი შეეწყოს პერსონალის გაცვლას ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოებს შორის | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | და საჭიროებისამებრ, მესამე ქვეყნების ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოებთან ან საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ასევე საინფორმაციო კამპანიებისა და ერთმანეთთან ნებაყოფლობითი ვიზიტების პროგრამების ორგანიზება ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოებს შორის;<br><br>(l) საქმიანობის განხორციელება ტექნიკური დახმარების პროგრამის ფარგლებში, თანამშრომლობა მესამე ქვეყნებთან და ევროკავშირის ბაზარზე ზედამხედველობის პოლიტიკისა და სისტემების ხელშეწყობა და გაძლიერება დაინტერესებულ მხარეებს შორის, ევროკავშირის და საერთაშორისო დონეებზე;<br><br>(m) ტექნიკური ან სამეცნიერო ცოდნის ხელშეწყობა, ბაზარზე ზედამხედველობის ადმინისტრაციული თანამშრომლობის განხორციელების მიზნით;<br><br>(n) ქსელის მიმართვის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით, ნებისმიერი ისეთი საკითხის განხილვა, რომელიც დაკავშირებულია ამ რეგულაციის გამოყენებასთან და სახელმძღვანელო | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | წესების, რეკომენდაციებისა და საუკეთესო პრაქტიკის გამოქვეყნება, რათა წახალისდეს ამ რეგულაციის თანმიმდევრული გამოყენება. | | | | | |
| 34 | 1. კომისიამ უნდა განავითაროს და შეინახოს საინფორმაციო და საკომუნიკაციო სისტემა, ინფორმაციის შეგროვებისათვის, დამუშავებისა და შენახვისათვის, სტრუქტურირებული ფორმით, ისეთ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია ევროკავშირის ჰარმონიზებული კანონმდებლობის აღსრულებასთან, წევრ სახელმწიფოებს შორის მონაცემთა გაცვლის გაუმჯობესების მიზნით, მათ შორის ინფორმაციის მოთხოვნის მიზნით, რომელიც მოიცავს ბაზარზე ზედამხედველობის საქმიანობის, შედეგებისა და ტენდენციების ყოვლისმომცველ მიმოხილვას. კომისიას, ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოებს, ერთიან სამოკავშირეო ოფისებს და 25-ე მუხლის პირველ პუნქტში განსაზღვრულ ორგანოებს უნდა გააჩნდეთ წვდომა აღნიშნულ სისტემაზე. კომისიამ უნდა შეიმუშაოს და განავითაროს საჯარო მომხმარებლისათვის ხელმისაწვდომი ინტერფეისი, სადაც მოცემული იქნება | | | | ას | აღნიშნული მუხლი არ საჭიროებს ეროვნულ კანონმდებლობაში ასახვას, ვინაიდან განსაზღვრავს კომისიის ვალდებულებას. |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ძირითადი ინფორმაცია საბოლოო მომხმარებლებისათვის ბაზარზე ზედამხედველობის საქმიანობის შესახებ.<br><br>2. კომისიამ უნდა შეიმუშაოს და განავითაროს ელექტრონული ინტერფეისები პირველ პუნქტში განსაზღვრულ სისტემასა და ბაზარზე ზედამხედველობის ეროვნულ სისტემებს შორის.<br><br>3. ერთიანმა სამოკავშირეო ოფისებმა უნდა შეიყვანონ საინფორმაციო და საკომუნიკაციო სისტემაში შემდეგი ინფორმაცია:<br><br>(a) მათ ქვეყანაში არსებული ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოების ვინაობა და ამ ორგანოთა კომპეტენციის სფეროები, 10(2) მუხლის შესაბამისად;<br><br>(b) 25-ე მუხლის პირველ პუნქტში განსაზღვრული ორგანოების ვინაობა;<br><br>(c) ბაზარზე ზედამხედველობის ეროვნული სტრატეგია, რომელიც შემუშავდა მათი წევრი სახელმწიფოს მიერ მე-13 მუხლის შესაბამისად და ბაზარზე ზედამხედველობის | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | სტრატეგიის განხილვისა და შეფასების შედეგები.<br><br>4. ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოები უნდა შევიდნენ საინფორმაციო და საკომუნიკაციო სისტემაში ბაზარზე ხელმისაწვდომ პროდუქტებთან დაკავშირებით, რომლებზეც განხორციელდა შესაბამისობის სიღრმისეული შემოწმება და არ ეწინააღმდეგება 2001/95/EC დირექტივის მე-12 და ამ რეგულაციის მე-20 მუხლებს დასაჭიროებისამებრ, ინფორმაცია ევროკავშირის ბაზარზე განთავსებული პროდუქტებისათვის, რომლებზეც თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცესი შეჩერებულია მათ ტერიტორიაზე, ამ რეგულაციის 26-ე მუხლის შესაბამისად, შემდეგი საკითხების შესახებ:<br><br>(a) მე-16 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოების მიერ განხორციელებული ზომები;<br><br>(b) მათ მიერ განხორციელებული შემოწმებების ანგარიშები; | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | (c) ეკონომიკურ ოპერატორთა მიერ განხორციელებული მაკორექტირებელი ქმედებები;<br><br>(d) მარტივად ხელმისაწვდომი ანგარიშები კონკრეტული პროდუქტით გამოწვეული ზიანის შესახებ;<br><br>(e) წევრი სახელმწიფოს მიერ წარდგენილი ნებისმიერი საწინააღმდეგო მოსაზრება ევროკავშირის ჰარმონიზებულ კანონმდებლობაში მოცემულ შესაბამის დამცავ პროცედურაზე, რომელიც ვრცელდება აღნიშნულ პროდუქტზე და ნებისმიერი შემდგომი ქმედებები;<br><br>(f) ხელმისაწვდომობის შემთხვევაში, ავტორიზებულ წარმომადგენელთა მიერ მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევები;<br><br>(g) მათი ხელმისაწვდომობის შემთხვევაში, მწარმოებელთა მიერ მე-5 მუხლის პირველ პუნქტში განსაზღვრული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევები;<br><br>5. თუ ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოები საჭიროდ მიიჩნევენ, შეუძლიათ მათ | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მიერ განხორციელებული შემოწმებისა და ტესტირების შედეგების შესახებ დამატებითი ინფორმაცია შეიტანონ საინფორმაციო და საკომუნიკაციო სისტემაში მათი მოთხოვნის საფუძველზე,<br><br>6. შესაძლებლობის შემთხვევაში, რისკის შემცირებისა და ევროკავშირის ჰარმონიზებული კანონმდებლობის შესრულების მიზნით, საბაჟო ორგანოებმა უნდა გამოითხოვონ ეროვნული საბაჟო სისტემებიდან ინფორმაცია იმ პროდუქტების შესახებ, რომლებიც გადიან საბაჟო პროცედურას „თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება“, რომელიც დაკავშირებულია ევროკავშირის ჰარმონიზებული კანონმდებლობის აღსრულებასთან და გადასცენ ეს ინფორმაცია საინფორმაციო და საკომუნიკაციო სისტემას.<br><br>7. კომისიამ უნდა შეიმუშაოს ელექტრონული ინტერფეისი, რათა შესაძლებელი გახდეს მონაცემთა გაცვლა ეროვნულ საბაჟო სისტემებსა და საინფორმაციო და საკომუნიკაციო სისტემას შორის. აღნიშნული ინტერფეისი ამოქმედდება ოთხი წლის | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ვადაში შესაბამისი მე-8 პუნქტში განსაზღვრული აქტის დამტკიცების მომენტიდან.<br><br>8. კომისიამ უნდა დაამტკიცოს საიმპლემენტაციო აქტები, სადაც დაკონკრეტებული იქნება ამ მუხლის 1-ლი - მე-7 პუნქტით განსაზღვრული განსახორციელებელი ღონისძიებების დეტალები. კერძოდ, ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად შეგროვებული მონაცემების დამუშავების მეთოდი და ამ მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად გადასაცემი მონაცემები. აღნიშნული აქტების დამტკიცება უნდა მოხდეს 43 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული შემოწმების პროცედურის შესაბამისად. | | | | | |
| 35 | 1.ევროკავშირის მასშტაბით ბაზარზე ზედამხედველობის ეფექტიანობის გაუმჯობესების მიზნით, კომისიას შეუძლია ითანამშრომლოს და ბაზარზე ზედამხედველობასთან დაკავშირებული ინფორმაცია მიაწოდოს მესამე ქვეყნების მარეგულირებელ ორგანოებს ან საერთაშორისო ორგანიზაციებს, ევროკავშირსა და მესამე ქვეყნებს ან საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის | | | | ას | აღნიშნული მუხლი არ საჭიროებს ეროვნულ კანონმდებლობაში ასახვას, ვინაიდან ეხება კომისიის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხს. |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | გაფორმებული შეთანხმების ფარგლებში. ნებისმიერი ამგვარი შეთანხმება უნდა ეფუძნებოდეს ურთიერთდახმარების პრინციპს, მათ შორის, კონფიდენციალურობის შესახებ დებულებებს, რომლებიც შეესაბამება ევროკავშირში გამოყენებულ ანალოგიურ დებულებებს და უზრუნველყოფდეს, რომ ინფორმაციის ნებისმიერი გაცვლა ხორციელდება ევროკავშირის შესაბამისი კანონმდებლობის დაცვით.<br>2. თანამშრომლობა ან ინფორმაციის გაცვლა შეიძლება იყოს დაკავშირებული, მათ შორის, შემდეგ საკითხებთან:<br>(a) რისკის შეფასების მეთოდები და პროდუქტების შემოწმების შედეგები;<br>(b) პროდუქტების კოორდინირებული გამოთხოვა ან სხვა მსგავსი ქმედებები;<br>(c) ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოთა მიერ მე-16 მუხლის შესაბამისად განხორციელებული ღონისძიებები.<br>3.კომისიას შეუძლია დაამტკიცოს პროდუქტთან დაკავშირებული წინასაექსპორტო კონტროლის | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | კონკრეტული სისტემა, რომელსაც მესამე ქვეყანა განახორციელებს პროდუქტებზე ევროკავშირში მათ ექსპორტირებამდე, რათა შემოწმდეს, აღნიშნული პროდუქტები აკმაყოფილებს თუ არა ევროკავშირის ჰარმონიზებული კანონმდებლობის მოთხოვნებს.<br><br>ამგვარი სისტემის დამტკიცება შეიძლება მოხდეს ერთი ან მეტი პროდუქტის მიმართ, პროდუქტის ერთ ან მეტ კატეგორიასთან ან კონკრეტული მწარმოებლების მიერ დამზადებულ პროდუქტებთან ან პროდუქტის კატეგორიების მიმართ.<br><br>4.კომისიამ უნდა განავითაროს და აწარმოოს ისეთი პროდუქტების ან პროდუქტების კატეგორიების ჩამონათვალი, რომლებთან დაკავშირებითაც დამტკიცებულია მე-3 პუნქტში განსაზღვრული სისტემა და ხელმისაწვდომი გახადოს აღნიშნული ჩამონათვალი საზოგადოებისათვის.<br><br>5.ამ სისტემის დამტკიცების უფლებამოსილების გადაცემა მესამე ქვეყანისათვის ხორციელდება მე-3 პუნქტის მიხედვით, მხოლოდ შემდეგი | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში:<br><br>(a) ამ მესამე ქვეყანას გააჩნია ევროკავშირში ექსპორტირებული პროდუქტების შესაბამისობის შემოწმების ეფექტიანი სისტემა და ამ მესამე ქვეყანაში განხორციელებული საკონტროლო ღონისძიებები არის საკმარისად ეფექტური და ეფექტიანი იმისათვის, რომ ჩანაცვლდეს ან შემცირდეს იმპორტის კონტროლი;<br><br>(b) ევროკავშირის და საჭიროებისამებრ მესამე ქვეყნის ფარგლებში განხორციელებული აუდიტორული შემოწმებები გვიჩვენებენ, რომ ამ მესამე ქვეყნიდან ევროკავშირში ექსპორტირებული პროდუქტები აკმაყოფილებენ ევროკავშირის ჰარმონიზებულ კანონმდებლობაში განსაზღვრულ მოთხოვნებს.<br><br>6.თუ ამ სისტემის დამტკიცების უფლებამოსილება დელეგირებულია, რისკის შეფასების სისტემა რომელიც გამოიყენება ევროკავშირის ბაზარზე განთავსებული პროდუქტის ან პროდუქტის კატეგორიების იმპორტის კონტროლისათვის, მე-3 პუნქტის შესაბამისად, ასევე მოიცავს | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს.<br><br>აგრეთვე, 25(1)მუხლით განსაზღვრულ ორგანოებს შეუძლიათ განახორციელონ კონტროლი ევროკავშირის ბაზარზე განთავსებულ პროდუქტებზე ან პროდუქტის კატეგორიებზე, რათა უზრუნველყოფილი იყოს მესამე ქვეყნის მიერ განხორციელებული წინასაექსპორტო კონტროლის ეფექტიანობა ევროკავშირის ჰარმონიზებულ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.<br><br>7.მე-3 მუხლში განსაზღვრული სისტემის დამტკიცებისას დაკონკრეტებული უნდა იყოს მესამე ქვეყნის კომპეტენტური ორგანო, რომელიც იქნება პასუხისმგებელი წინასაექსპორტო კონტროლის განხორციელებაზე და იგი შეასრულებს პარტნიორის როლს ევროკავშირთან ნებისმიერი კონტაქტის დროს.<br><br>8.მე-7 პუნქტში განსაზღვრულმა კომპეტენტურმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს პროდუქტების ოფიციალური შემოწმება, ევროკავშირში მათ შესვლამდე. | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 9.იმ შემთხვევებში, როდესაც იმ პროდუქტების კონტროლი, რომლებიც შედიან ევროკავშირის ბაზარზე როგორც ეს განსაზღვრულია ამ მუხლის მე-3 პუნქტში, გამოავლენს მნიშვნელოვან შეუსაბამობას, ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოებმა დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინონ აღნიშნულის შესახებ კომისიას, 34-ე მუხლში განსაზღვრული საინფორმაციო და საკომუნიკაციო სისტემის მეშვეობით და განახორციელონ ამგვარ პროდუქტებზე ადაპტირებული კონტროლის სისტემა.<br><br>10.კომისიამ უნდა მიიღოს საიმპლემენტაციო აქტები, რომლებითაც მტკიცდება პროდუქტის წინასაექსპორტო კონტროლის თითოეული კონკრეტული სისტემა, როგორც ეს განსაზღვრულია ამ მუხლის მე-3 პუნქტში. აღნიშნული აქტების დამტკიცება უნდა მოხდეს 43-ე მუხლის მე-2 პუნქტში განსაზღვრული შემოწმების პროცედურის შესაბამისად.<br><br>11. კომისიამ რეგულარულად უნდა განახორციელოს ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად დამტკიცებული სისტემის სათანადო ფუნქციონირების | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მონიტორინგი. კომისიამ უნდა დაამტკიცოს საიმპლემენტაციო აქტები, რომლებიც აუქმებენ აღნიშნულ სისტემას, იმ შემთხვევებში, როდესაც გამოვლინდება რომ ევროკავშირის ბაზარზე განთავსებული პროდუქტები, რიგ შემთხვევებში არ აკმაყოფილებენ ევროკავშირის ჰარმონიზებული კანონმდებლობის მოთხოვნებს. აღნიშნული საიმპლემენტაციო აქტების დამტკიცება უნდა მოხდეს 43-ე მუხლის მე-2 პუნქტში განსაზღვრული შემოწმების პროცედურის შესაბამისად. კომისიამ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს აღნიშნულის შესახებ შესაბამის მესამე ქვეყანას.<br><br>12.პროდუქტებთან დაკავშირებული წინასაექსპორტო კონტროლის სისტემის შეფასება უნდა განხორციელდეს 42-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად. | | | | | |
| | | | | | | |
| | | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | |
| | | | | | | |
| | | | | | | |
| | | | | | | |
| | | | | | | |
| | | | | | | |
| | | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | |
| 36 | 1. ევროკავშირმა უნდა დააფინანსოს 31-ე მუხლში მითითებული ქსელის ამოცანების შესრულება და მე-12 მუხლში განსაზღვრული ექსპერტთა შეფასებები.<br>2. ევროკავშირს შეუძლია დააფინანსოს შემდეგი საქმიანობა ამ რეგულაციის გამოყენებასთან დაკავშირებით:<br>(a) პროდუქტის საინფორმაციო ცენტრების ფუნქციონირება;<br>(b) 21-ე მუხლში განსაზღვრული ევროკავშირის ლაბორატორიების შექმნა და ფუნქციონირება;<br>(c) 35-ე მუხლში განსაზღვრული საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტრუმენტების შემუშავება; | | | | ას | აღნიშნული მუხლი ტრანსპოზიციის მიზნებისთვის არარელევანტურია, ვინაიდან აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული საკითხები, რომელთა დაფინანსების უფლებამოსილება ან/და ვალდებულება აქვს ევროკავშირს, ვრცელდება მხოლოდ წევრ სახელმწიფოებსა და კომისიაზე. |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | (d) ბაზარზე ზედამხედველობის სახელმძღვანელო წესების შემუშავება და განახლება;<br><br>(e) კომისიისათვის ტექნიკური ან სამეცნიერო ექსპერტული ცოდნის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, ბაზარზე ზედამხედველობის ადმინისტრაციული თანამშრომლობის განხორციელების მიზნით;<br><br>(f) მე-13 მუხლში განსაზღვრული ბაზარზე ზედამხედველობის ეროვნული სტრატეგიების განხორციელება;<br><br>(g) წევრ სახელმწიფოთა და ევროკავშირის ბაზარზე ზედამხედველობის კამპანიები და მათთან დაკავშირებული საქმიანობა, მათ შორის რესურსები და აღჭურვილობა, საინფორმაციო ტექნოლოგიური ინსტრუმენტები და ტრენინგი;<br><br>(h) ბაზარზე ზედამხედველობის საქმიანობასთან დაკავშირებული წინასწარი ან დამხმარე სამუშაოების განხორციელება, რომლებიც დაკავშირებულია ევროკავშირის ჰარმონიზებული კანონმდებლობის | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | გამოყენებასთან, როგორიცაა კვლევები, პროგრამები, შეფასებები, სახელმძღვანელო წესები, შედარებითი ანალიზი, ერთმანეთთან ვიზიტები და ვიზიტების პროგრამები, პერსონალის გაცვლა, კვლევითი სამუშაო, ტრენინგი, ლაბორატორიული სამუშაო, პროფესიული ტესტირება, შიდა ლაბორატორიული შემოწმებები და შესაბამისობის შეფასების საქმიანობა;<br><br>(i) ტექნიკური დახმარების პროგრამების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობა, თანამშრომლობა მესამე ქვეყნებთან და ევროკავშირის ბაზარზე ზედამხედველობის პოლიტიკისა და სისტემების ხელშეწყობა და გაძლიერება დაინტერესებულ მხარეებს შორის, ევროკავშირის და საერთაშორისო დონეებზე;<br><br>3. ევროკავშირმა უნდა დააფინანსოს 34(7)მუხლში განსაზღვრული ელექტრონული ინტერფეისის შექმნა, მათ შორის 34-ე მუხლში განსაზღვრული საინფორმაციო და საკომუნიკაციო სისტემის შემუშავება, რათა მას გააჩნდეს ეროვნული საბაჟო | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | სისტემებისაგან ელექტრონული მონაცემების ავტომატური ნაკადების მიღების საშუალება.<br><br>4. ევროკავშირმა უნდა დააფინანსოს 34(2) მუხლით განსაზღვრული ელექტრონული ინტერფეისები, რაც მოგვცემს მონაცემთა გაცვლის საშუალებას 34-ე მუხლში განსაზღვრული საინფორმაციო და საკომუნიკაციო სისტემასა და ბაზარზე ზედამხედველობის ეროვნულ სისტემებს შორის.<br><br>5. ევროკავშირის ფინანსური დახმარება ამ რეგულაციის მხარდამჭერ საქმიანობასთან დაკავშირებით უნდა განხორციელდეს ევროპარლამენტისა და საბჭოს (EU, Euratom) 2018/1046 რეგულაციის შესაბამისად, ან უშუალოდ ან ბიუჯეტის შესრულების ამოცანების დელეგირების გზით იმ სტრუქტურებისათვის, რომლებიც განსაზღვრულია აღნიშნული რეგულაციის 62-ე მუხლის პირველი პუნქტის (c) ქვეპუნქტში.<br><br>6. ამ რეგულაციის შესაბამისად განსაზღვრული საქმიანობისათვის გამოყოფილი ასიგნებების განსაზღვრა | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | უნდა მოხდეს ყოველწლიურად, საბიუჯეტო ორგანოს მიერ, მოქმედი საფინანსო ჩარჩოს ფარგლებში.<br><br>7. ბაზარზე ზედამხედველობის საქმიანობის დასაფინანსებლად საბიუჯეტო ორგანოს მიერ განსაზღვრული ასიგნებები შესაძლოა ასევე მოიცავდეს ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მოსამზადებელ სამუშაოებთან, მონიტორინგთან, საკონტროლო, აუდიტის და შეფასების ღონისძიებებთან, რომლებიც აუცილებელია ამ რეგულაციაში განსაზღვრული საქმიანობის მართვისა და მისი მიზნების მიღწევისათვის. ეს ხარჯები უნდა მოიცავდეს კვლევების ჩატარების, ექსპერტთა შეხვედრების ორგანიზების, საინფორმაციო და საკომუნიკაციო საქმიანობის ხარჯებს, მათ შორის ევროკავშირის პოლიტიკური პრიორიტეტების შესახებ კორპორატიული კომუნიკაციის ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია ბაზარზე ზედამხედველობის საქმიანობის ზოგად ამოცანებთან, ასევე იმ საინფორმაციო ტექნოლოგიურ ქსელებთან დაკავშირებულ ხარჯებს, რომლებიც ფოკუსირებულია ინფორმაციის დამუშავებასა და | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | გაცვლაზე და კომისიის მიერ გაწეულ ყველა სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია ტექნიკურ და ადმინისტრაციულ დახმარებასთან. | | | | | |
| 37 | 1. კომისიამ უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები, რათა უზრუნველყოს, რომ ამ რეგულაციის ფარგლებში დაფინანსებული საქმიანობის განხორციელებისას დაცული იყოს ევროკავშირის ფინანსური ინტერესები. აღნიშნული ინტერესების დაცვა უნდა მოხდეს თაღლითობის, კორუფციისა და ნებისმიერი სხვა არაკანონიერი საქმიანობის წინააღმდეგ მიმართული პრევენციული ზომების, ეფექტიანი საკონტროლო ღონისძიებების და დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში, არასწორად გადახდილი თანხების დაბრუნების გზით, ასევე შესაბამის შემთხვევებში, ეფექტიანი, პროპორციული და დამაბრკოლებელი ადმინისტრაციული და ფინანსური ჯარიმების მეშვეობით.<br><br>2. კომისიას ან მის წარმომადგენლებსა და ევროპის აუდიტორთა სასამართლოს უნდა გააჩნდეთ აუდიტის განხორციელების | | | | ას | აღნიშნული მუხლი არ საჭიროებს ეროვნულ კანონმდებლობაში ასახვას, ვინაიდან ეხება კომისიასთან დაკავშირებულ საკითხებს. |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | უფლებამოსილება, დოკუმენტებისა და ადგილზე განხორციელებული შემოწმებების საფუძველზე, ყველა იმ გრანტის ბენეფიციართან, კონტრაქტორთან და ქვეკონტრაქტორთან მიმართებაში, რომლებმაც მიიღეს დაფინასება ევროკავშირისაგან ამ რეგულაციის ფარგლებში.<br><br>3. ევროპის თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროს (OLAF) შეუძლია ჩაატაროს გამოძიება, მათ შორის ადგილზე საკონტროლო ღონისძიებები და შემოწმებები, ევროპარლამენტისა და საბჭოს (EU, Euratom) No 883/2013 რეგულაციაში და ევროპარლამენტისა და საბჭოს (Euratom, EC) No 2185/96 რეგულაციაში განსაზღვრული დებულებებისა და პროცედურების შესაბამისად, რათა დადგინდეს, ჰქონდა თუ არა ადგილი თაღლითობას, კორუფციას ან ნებისმიერ სხვა არაკანონიერ ქმედებას, რომელიც ახდენს ზემოქმედებას ევროკავშირის ფინანსურ ინტერესებზე, ამ რეგულაციის ფარგლებში დაფინანსებულ რომელიმე საგრანტო შეთანხმებასთან ან გრანტის შესახებ | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მიღებულ გადაწყვეტილებასთან ან ხელშეკრულებასთან დაკავშირებით.<br><br>4. 1-ლი, მე-2 და მე-3 პუნქტების დარღვევის გარეშე შეთანხმებები მესამე ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის შესახებ, ხელშეკრულებები, ამ რეგულაციის განხორციელების შედეგად მიღებული საგრანტო გადაწყვეტილებები უნდა მოიცავდეს დებულებებს, რომლებიც პირდაპირ უფლებამოსილებას ანიჭებს კომისიას, ევროპის აუდიტორთა სასამართლოს და ევროპის თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროს (OLAF), რომ განახორციელონ ამგვარი აუდიტორული შემოწმებები და გამოძიება, მათი კომპეტენციის ფარგლებში. | | | | | |
| 38 | ევროპარლამენტისა და საბჭოს 2004/42/EC დირექტივის მე-6 და მე-7 მუხლები ამოღებულია. | | | | ას | 2004/42/EC დირექტივის მე-6 და მე-7 მუხლები აწესრიგებდა წევრი სახელმწიფოების მიერ მონიტორინგის სისტემის დანერგვისა და კომისიის წინაშე ანგარიშვალდებულების საკითხებს, შესაბამისად |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | აღნიშნული დირექტივის მე-6 და მე-7 მუხლები არ არის სავალდებულო ასახულ იქნებ ეროვნულ კანონმდებლობაში. |
| 39.1 | (EC) No 765/2008 რეგულაცია ჩამოყალიბდება შემდეგნაირად:<br><br>(1) სათაური ჩამოყალიბდება შემდეგნაირად:<br><br>'ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) No 765/2008 რეგულაცია, რომელიც განსაზღვრავს აკრედიტაციის მოთხოვნებს და რომლითაც უქმდება (EEC) No 339/93 რეგულაცია';<br><br>(2) პირველი მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები იქნება ამოღებული;<br><br>(3) მე-2 მუხლის პირველი, მე-2, მე-14, მე-15, მე-17, მე-18 და მე-19 პუნქტები იქნება ამოღებული;<br><br>(4) III თავი, რომელიც მოიცავს მე-15-29-ე მუხლებს, იქნება ამოღებული;<br><br>(5) 32-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდება შემდეგი | | | | ას | „ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების" III-B დანართი ითვალისწინებს ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2008 წლის 9 ივლისის (EC) 765/2008 რეგულაციის, ეროვნულ კანონმდებლობაში ტრანსპოზიციის ვალდებულებას. ვინაი დან, ევროპის პარლამენტის |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ფორმულირებით:<br><br>(a)ქვეპუნქტი (c) ჩანაცვლდება შემდეგი ტექსტით:<br><br>‘(c) სახელმძღვანელო წესების შემუშავება და განახლება აკრედიტაციის, შესაბამისობის შემფასებელი სტრუქტურების კომისიის შეტყობინებისა და შესაბამისობის შეფასების სფეროებში.’<br><br>(b) ქვეპუნქტები (d) და (e) იქნება ამოღებული;<br><br>(c) ქვეპუნქტები (f) და (g) ჩანაცვლდება შემდეგი ტექსტით:<br><br>‘ (f) მოსამზადებელი ან დამხმარე სამუშაოების შესრულება შესაბამისობის შეფასების, მეტროლოგიისა და აკრედიტაციის საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით, რომელიც დაკავშირებულია თანამეგობრობის კანონმდებლობის აღსრულებასთან, როგორიცაა კვლევები, პროგრამები, შეფასებები, სახელმძღვანელო წესები, შედარებითი ანალიზი, ერთმანეთთან ვიზიტები, კვლევითი საქმიანობა, მონაცემთა ბაზების შექმნა და მოვლა-შენარჩუნება, ტრენინგი, | | | | | და საბჭოს 2019 წლის 20 ივნისის (EU) 2019/1020 რეგულაციის აღნიშნული მუხლით ცვლილება შევიდა (EC) 765/2008 რეგულაციაში და ძალადაკარგულად გამოცხადდა ბაზარზე ზედამხედველობის მარეგულირებელი ნორმები, საჭირო გახდა (EU) 2019/1020 რეგულაციის ეროვნულ კანონდემბლობაში იმპლემენტაცია. ვინაიდან, EC) 765/2008 რეგულაციის ნორმები ასახული იყო პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში, ხოლო წარმოდგენილი კანონპროექტით ცვლილება შედის აღნიშნულ კოდექსში და შესაბამისობაში |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ლაბორატორიული სამუშაო, პროფესიული ტესტირება და შესაბამისობის შეფასების საქმიანობა;'<br><br>(g) ტექნიკური დახმარების პროგრამების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობა, თანამშრომლობა მესამე ქვეყნებთან და შესაბამისობის შეფასებისა და აკრედიტაციის ევროპული პოლიტიკების ხელშეწყობა და გაძლიერება თანამეგობრობის ფარგლებში და საერთაშორისო დონეზე.'<br><br>(2) მითითებები (EC) No 765/2008 რეგულაციის წაშლილ დებულებებზე განიხილება როგორც მითითება ამ რეგულაციის დებულებებზე და იკითხება ამ რეგულაციის III დანართში მოცემული შესაბამისობის ცხრილის შესაბამისად. | | | | | მოდის (EU) 2019/1020 რეგულაციასთან, აღნიშნული ნორმა ტრანსპოზიციის მიზნებისთვის არარელევანტურია. |
| 40 | (EU) No 305/2011 რეგულაციის 56-ე მუხლის პირველი ქვეპუნქტი ჩანაცვლდა შემდეგი ტექსტით:<br><br>1. 'იმ შემთხვევებში, როდესაც ერთი წევრი სახელმწიფოს ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოებს გააჩნიათ | N6 | 25 | 1. იმ შემთხვევაში, როდესაც ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს აქვს ინფორმაცია, რომ პროდუქტი შესაძლოა არ შეესაბამებოდეს ამ ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს ან/და შეიცავდეს დადასტურებულ საფრთხეს, ბაზარზე | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | საკმარისი საფუძველი მიიჩნიონ, რომ სამშენებლო პროდუქტი, რომელზეც ვრცელდება ჰარმონიზებული სტანდარტის მოქმედება ან რომლისთვისაც გამოქვეყნებული ევროპული ტექნიკური შეფასება არ აღწევს დეკლარირებულ შესრულებას და წარმოადგენს რისკს სამშენებლო სამუშაოებისათვის ამ რეგულაციის შესაბამისად განსაზღვრული ზოგადი მოთხოვნების შესრულების კუთხით, მათ უნდა განახორციელონ შესაბამისი პროდუქტის შეფასება, რომელიც მოიცავს ამ რეგულაციის შესაბამისად განსაზღვრულ სათანადო მოთხოვნებს. შესაბამისმა ეკონომიკურმა ოპერატორებმა საჭიროებისამებრ უნდა ითანამშრომლონ ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოებთან.' | | | ზედამხედველობის ორგანო ვალდებულია, განახორციელოს სამშენებლო პროდუქტების ბაზარზე ზედამხედველობა. შესაბამისი ეკონომიკური ოპერატორი ვალდებულია, ითანამშრომლოს ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოსთან.<br><br>2. იმ შემთხვევაში, თუ ბაზარზე ზედამხედველობის ორგანო ზედამხედველობის განხორციელების პროცესში დაადგენს, რომ სამშენებლო პროდუქტი არ აკმაყოფილებს ამ რეგლამენტით განსაზღვრულ მოთხოვნებს, იგი ვალდებულია, განახორციელოს პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით გათვალისწინებული ღონისძიებები. | | |
| 41.1 | 1. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა განსაზღვრონ წესები, იმ ჯარიმებთან დაკავშირებით, რომლებიც გამოიყენება ამ რეგულაციის და II დანართში ჩამოთვლილი ევროკავშირის ჰარმონიზებული კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, რომლებიც აკისრებენ ვალდებულებებს ეკონომიკურ ოპერატორებს, ასევე წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ყველა | **N1** | **1.3.**<br><br>($13^7$-$13^{13}$) | **მუხლი $13^7$. ეკონომიკური ოპერატორის მიერ ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოსთვის ბაზარზე განთავსებული პროდუქტის ზედამხედველობის განხორციელების პროცესში ხელის შეშლა**<br><br>ეკონომიკური ოპერატორის მიერ ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოსთვის ბაზარზე განთავსებული პროდუქტის ზედამხედველობის | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 41.2 | აუცილებელი ზომა, რათა უზრუნველყონ, რომ მოხდეს მათი განხორციელება ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.<br><br>2. გათვალისწინებული ჯარიმები უნდა იყოს ეფექტიანი, პროპორციული და შემაკავებელი ეფექტის მქონე. | | | განხორციელების პროცესში ხელის შეშლა – გამოიწვევს დაჯარიმებას 1 000 ლარამდე<br><br>**მუხლი 13$^{8}$. ეკონომიკური ოპერატორის მიერ პროდუქტის/პროდუქტების რეალიზაციის შეჩერების შესახებ ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს დადგენილების შეუსრულებლობა**<br><br>1. ეკონომიკური ოპერატორის მიერ პროდუქტის/პროდუქტების რეალიზაციის შეჩერების შესახებ ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს დადგენილების შეუსრულებლობა –<br><br>გამოიწვევს დაჯარიმებას 1 500 ლარიდან 3 000 ლარამდე.<br><br>2. ეკონომიკური ოპერატორის მიერ პროდუქტის/პროდუქტების რეალიზაციის შეჩერების შესახებ ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს დადგენილების განმეორებით შეუსრულებლობა –<br><br>გამოიწვევს დაჯარიმებას 3 000 ლარიდან 5 000 ლარამდე. | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | **მუხლი 13⁹. ეკონომიკური ოპერატორის მიერ პროდუქტის/პროდუქტების ბაზრიდან ამოღების შესახებ დადგენილების შეუსრულებლობა**<br><br>1. ეკონომიკური ოპერატორის მიერ პროდუქტის/პროდუქტების ამოღების შესახებ ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს დადგენილების შეუსრულებლობა –<br><br>გამოიწვევს დაჯარიმებას 3 000 ლარიდან 5 000 ლარამდე.<br><br>2. ეკონომიკური ოპერატორის მიერ პროდუქტის/პროდუქტების ბაზრიდან ამოღების შესახებ ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს დადგენილების განმეორებით შეუსრულებლობა –<br><br>გამოიწვევს დაჯარიმებას 5 000 ლარიდან 8 000 ლარამდე.<br><br>**მუხლი 13¹⁰. ეკონომიკური ოპერატორის მიერ პროდუქტის/პროდუქტების გამოთხოვის შესახებ ბაზარზე** | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | **ზედამხედველობის ორგანოს დადგენილების შეუსრულებლობა**<br><br>1. ეკონომიკური ოპერატორის მიერ პროდუქტის/პროდუქტების გამოთხოვის შესახებ ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს დადგენილების შეუსრულებლობა –<br><br>გამოიწვევს დაჯარიმებას 5 000 ლარიდან 7 000 ლარამდე.<br><br>2. ეკონომიკური ოპერატორის მიერ პროდუქტის/პროდუქტების გამოთხოვის შესახებ ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს დადგენილების განმეორებით შეუსრულებლობა –<br><br>გამოიწვევს დაჯარიმებას 7 000 ლარიდან 10 000 ლარამდე.<br><br>**მუხლი 13[11]. ეკონომიკური ოპერატორის მიერ პროდუქტის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ვალდებულებების შეუსრულებლობა**<br><br>1. ისეთი პროდუქტის ბაზარზე განთავსება ან ისეთი პროდუქტის ბაზარზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, რომელიც არ შეესაბამება აღნიშნული | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | პროდუქტისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და საფრთხეს არ უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას ან/და გარემოს, –<br><br>გამოიწვევს დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით.<br><br>2. იგივე ქმედება, ჩადენილი პროდუქტის მწარმოებლის, ავტორიზებული წარმომადგენლის ან იმპორტიორის მიერ, –<br><br>გამოიწვევს დაჯარიმებას 1 500 ლარის ოდენობით.<br><br>3. ისეთი პროდუქტის ბაზარზე განთავსება ან ისეთი პროდუქტის ბაზარზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, რომელიც არ შეესაბამება აღნიშნული პროდუქტისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას ან/და გარემოს, –<br><br>გამოიწვევს დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით. | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | 4. იგივე ქმედება, ჩადენილი პროდუქტის მწარმოებლის, ავტორიზებული წარმომადგენლის ან იმპორტიორის მიერ, –<br><br>გამოიწვევს დაჯარიმებას 3 000 ლარის ოდენობით.<br><br>5. ისეთი პროდუქტის ბაზარზე განთავსება ან ისეთი პროდუქტის ბაზარზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, რომელიც არ შეესაბამება აღნიშნული პროდუქტისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და სერიოზულ საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას ან/და გარემოს, –<br><br>გამოიწვევს დაჯარიმებას 3 000 ლარის ოდენობით.<br><br>6. იგივე ქმედება, ჩადენილი პროდუქტის მწარმოებლის, ავტორიზებული წარმომადგენლის ან იმპორტიორის მიერ, –<br><br>გამოიწვევს დაჯარიმებას 4 000 ლარის ოდენობით. | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | 7. ეკონომიკური ოპერატორის მიერ ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოსთვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების შეუსრულებლობა –<br><br>გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.<br><br>8. 1 კალენდარული წლის განმავლობაში ამ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენა –<br><br>გამოიწვევს დაჯარიმებას შესაბამისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის განსაზღვრული ჯარიმის ორმაგი ოდენობით.<br><br>9. ამ მუხლის მიზნებისთვის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენა გულისხმობს სამართალდამრღვევის მიერ შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული პროდუქტის მიმართ აღნიშნული ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | მოთხოვნების დარღვევით იმავე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენას 1 კალენდარული წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც მას უკვე დაეკისრა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა აღნიშნული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისთვის.<br><br>10. ამ მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილება მიიღება დადგენილების სახით. თუ ამ დადგენილების ადრესატისთვის ჩაბარება ვერ ხერხდება, ეს დადგენილება ჩაბარებულად მიიჩნევა ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს. აღნიშნული დადგენილების საჯაროდ გამოქვეყნების წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.<br><br>**მუხლი 13[12]. ბაზარზე ზედამხედველობასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება** | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | 1. ამ კოდექსის $13^{7}$-$13^{11}$ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არსებობის შემთხვევაში ბაზარზე ზედამხედველობის ორგანო ადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს.<br><br>2. ამ კოდექსის $13^{11}$ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისას ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შეიძლება არ შედგეს შემოწმების ადგილზე. ეს ოქმი სამართალდამრღვევს გადაეცემა ან ეგზავნება, ხოლო თუ ამ ოქმის ადრესატისთვის ჩაბარება ვერ ხერხდება, აღნიშნული ოქმი ჩაბარებულად მიიჩნევა ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე. ამ ოქმის საჯაროდ გამოქვეყნების წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.<br><br>3. ამ კოდექსის $13^{7}$-$13^{10}$ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს განიხილავს რაიონული (საქალაქო) სასამართლო.<br><br>4. ამ კოდექსის $13^{7}$-$13^{10}$ მუხლებით გათვალისწინებული შესაბამისი ჯარიმის | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | გადახდა ეკონომიკურ ოპერატორს არ ათავისუფლებს ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს დადგენილების შესრულების ვალდებულებისგან.<br><br>5. ამ კოდექსის 13[11] მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს განიხილავს ბაზარზე ზედამხედველობის ორგანო.<br><br>6. ამ კოდექსის 13[11] მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე და პროდუქტის/პროდუქტების რეალიზაციის შეჩერების, ბაზრიდან ამოღებისა და გამოთხოვის შესახებ ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს მიერ მიღებული დადგენილება, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, საჩივრდება საქართველოს საერთო სასამართლოებში.<br><br><br><br>**მუხლი 13[13]. ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს მიერ ბაზარზე ზედამხედველობის განხორციელებისას გამოვლენილი ადმინისტრაციული** | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | **სამართალდარღვევის ჩადენისთვის დაკისრებული ჯარიმის გადახდის წესი**<br>ამ კოდექსის $13^{7}$-$13^{11}$ მუხლების შესაბამისად დაკისრებული სათანადო ჯარიმა სამართალდამრღვევმა უნდა გადაიხადოს დაჯარიმების შესახებ გადაწყვეტილების მისთვის ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში. სამართალდამრღვევმა ამ კოდექსის $13^{11}$ მუხლით გათვალისწინებული ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს უნდა წარუდგინოს ჯარიმის გადახდიდან 5 დღის ვადაში. ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი შეიძლება წარდგენილ იქნეს ელექტრონული ფორმითაც. | | |
| 41.3 | წევრმა სახელმწიფოებმა 2021 წლის 16 ოქტომბრამდე კომისიას უნდა აცნობონ ამ დებულებების შესახებ, თუკი ამგვარი შეტყობინება აქამდე არ გაკეთებულა და დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ კომისიას ნებისმიერი შემდგომი ცვლილებების შესახებ, რომლებიც ახდენენ მათზე ზემოქმედებას. | | | | ას | არ საჭიროებს ეროვნულ კანონმდებლობაში ასახვას, ვინაიდან ეხება ევროკავშირის წევრ ქვეყნებსა და კომისიას შორის ურთიერთობას. |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 42 | 1. 2026 წლის 31 დეკემბრამდე და შემდგომ ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ, კომისიამ უნდა განახორციელოს ამ რეგულაციის შეფასება მისი დასახული ამოცანების კუთხით და წარუდგინოს შესაბამისი ანგარიში ევროპარლამენტს, საბჭოსა და ევროპის ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა კომიტეტს.<br><br>2. აღნიშნულ ანგარიში უნდა შეფასდეს, შესრულდა თუ არა მოცემულმა რეგულაციამ საკუთარი ამოცანები, კერძოდ, შემცირდა თუ არა ევროკავშირის ბაზარზე შეუსაბამო პროდუქტების რაოდენობა, მოხდა თუ არა ევროკავშირის ჰარმონიზებული კანონმდებლობის ეფექტური და ნაყოფიერი აღსრულების უზრუნველყოფა ევროკავშირის ფარგლებში, კომპეტენტურ ორგანოებს შორის გაუმჯობესდა თუ არა თანამშრომლობა და გაძლიერდა თუ არა იმ პროდუქტებზე კონტროლი, რომლებიც შედიან ევროკავშირის ბაზარზე, ბიზნესზე და კერძოდ მცირე და საშუალო საწარმოებზე ზემოქმედების გათვალისწინებით. გარდა ამისა, შეფასებამ ასევე უნდა მოიცვას ამ რეგულაციის მოქმედების სფერო, ასევე კოლეგიალური განხილვის სისტემა და | | | | ას | აღნიშნული მუხლი არ საჭიროებს ეროვნულ კანონმდებლობაში ასახვას, ვინაიდან ადგენს კომისიის ვალდებულებას. |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ბაზარზე ზედამხედველობის საქმიანობის ეფექტიანობა, რომლებიც ფინანსდება ევროკავშირიდან, ევროკავშირის პოლიტიკისა და კანონმდებლობის მოთხოვნების და ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოებსა და საბაჟო ორგანოებს შორის თანამშრომლობის შემდგომი გაუმჯობესების კუთხით.<br><br>3. კომისიამ 2023 წლის 16 ივლისამდე უნდა მოამზადოს შეფასების ანგარიში მე-4 მუხლის აღსრულების თაობაზე. კერძოდ, ამ ანგარიშში უნდა შეფასდეს აღნიშნული მუხლის მოქმედების სფერო, მისი შედეგები, მასთან დაკავშირებული ხარჯები და სარგებელი. აღნიშნულ ანგარიშს საჭიროებისამებრ თან უნდა დაერთოს საკანონმდებლო წინადადება.<br><br>4. 35-ე მუხლის მე-3 პუნქტში განსაზღვრულ პროდუქტთან დაკავშირებული წინასაექსპორტო კონტროლის კონკრეტული სისტემის პირველად დამტკიცებიდან ოთხი წლის ვადაში, კომისიამ უნდა განახორციელოს მისი შედეგებისა და ხარჯთეფექტურობის შეფასება. | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 5. ამ რეგულაციის აღსრულების პროცესის ხელშეწყობის მიზნით, კომისიამ უნდა შეიმუშაოს ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოებისა და ეკონომიკური ოპერატორებისთვის სახელმძღვანელო წესები მე-4 მუხლის აღსასრულებლად. | | | | | |
| 43 | 1. კომისიას დახმარება უნდა გაუწიოს კომიტეტმა. ეს კომიტეტი არის კომიტეტი (EU) NO 182/2011 რეგულაციის მნიშვნელობით.<br><br>2. როდესაც მითითება ხდება აღნიშნულ პუნქტზე, გამოყენებული უნდა იქნას (EU) NO 182/2011 რეგულაციის მე-5 მუხლი.<br><br>იმ შემთხვევებში, როდესაც კომიტეტი არ წარმოადგენს საკუთარ მოსაზრებას, კომისია არ დაამტკიცებს შესასრულებელ საიმპლემენტაციო აქტს მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, რომლებიც განსაზღვრულია მე-11 მუხლის მე-4 პუნქტში, 21-ე მუხლის მე-9 პუნქტში, 25-ე მუხლის მე-8 პუნქტში, 35-ე მუხლის მე-10 პუნქტში და 35-ე მუხლის მე-11 პუნქტში და ასეთ შემთხვევებზე გავრცელდება (EU) NO182/2011 | | | | ას | აღნიშნული მუხლი არ საჭიროებს ეროვნულ კანონმდებლობაში ასახვას, ვინაიდან ადგენს კომისიის ვალდებულებას. |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | რეგულაციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის მე-3 ქვეპუნქტი. | | | | | |
| 44 | ეს რეგულაცია ძალაში შედის *ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში* მისი გამოქვეყნებიდან მეოცე დღეს.<br>ეს რეგულაცია ამოქმედდება 2021 წლის 16 ივლისიდან. ხოლო 29-ე, 30-ე, 31-ე, 32-ე, 33-ე და 36-ე მუხლები ამოქმედდება 2021 წლის 1 იანვრიდან.<br>ეს რეგულაცია იქნება შესასრულებლად სავალდებულო სრულად და უშუალოდ შეეხება ყველა წევრ სახელმწიფოს. | | | | ას | აღნიშნული მუხლი აწესრიგებს რეგულაციის ძალაში შესვლის საკითხს, შესაბამისად, არ საჭიროებს ეროვნულ კანონმდებლობაში ასახვას. |
| დანართი I | **ევროკავშირის ჰარმონიზებული კანონმდებლობის ნუსხა:**<br>1. საბჭოს 1969 წლის 15 დეკემბრის დირექტივა 69/493/EEC კრისტალური მინის თაობაზე წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობის დაახლოების შესახებ (OJ L 326, 29.12.1969, p. 36).<br>2. საბჭოს 1970 წლის 6 თებერვლის დირექტივა 70/157/EEC | | | | ას | აღნიშნული მუხლი განსაზღვრავს ევროკავშირის ჰარმონიზებული კანონმდებლობის ნუსხას და ტრანსპოზიციის მიზნებისთვის არარელევანტურია. |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ავტოსატრანსპორტო საშუალების ნებადართული ხმაურის დონეებისა და გამონაბოლქვის სისტემების თაობაზე წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობის დაახლოების შესახებ (OJ L 42, 23.2.1970, p. 16).<br>3. საბჭოს 1974 წლის 19 დეკემბრის დირექტივა 75/107/EEC საზომი კონტეინერების სახით გამოყენებული ბოთლების თაობაზე წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობის დაახლოების შესახებ (OJ L 42, 15.2.1975, p. 14).<br>4. საბჭოს 1975 წლის 20 მაისის დირექტივა 75/324/EEC აეროზოლური დისპენსერების თაობაზე წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობის დაახლოების შესახებ (OJ L 147, 9.6.1975, p. 40).<br>5. საბჭოს 1976 წლის 20 იანვრის დირექტივა 76/211/EEC წონის ან | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მოცულობის მიხედვით წინასწარ შეფუთული ზოგიერთი პროდუქტის თაობაზე წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობის დაახლოების შესახებ (OJ L 46, 21.2.1976, p. 1).<br>6. საბჭოს 1979 წლის 20 დეკემბრის დირექტივა 80/181/EEC ზომების ერთეულებისა და 71/354/EEC-ის დირექტივის გაუქმების თაობაზე წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობის დაახლოების შესახებ (OJ L 39, 15.2.1980, p. 40).<br>7. საბჭოს 1992 წლის 21 მაისის დირექტივა 92/42/EEC სითხეზე ან გაზის საწვავზე მომუშავე ახალი ცხელი წყლის ბოილერების ეფექტურობის მოთხოვნების შესახებ (OJ L 167, 22.6.1992, p. 17).<br>8. ევროპარლამენტისა და საბჭოს 1994 წლის 23 მარტის დირექტივა | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 94/11/EC მომხმარებლისთვის სარეალიზაციოდ განკუთვნილი ფეხსაცმლის ძირითადი კომპონენტების მასალის მარკირების თაობაზე წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობის, რეგულაციებისა და ადმინისტრაციული პროცედურების დაახლოების შესახებ (OJ L 100, 19.4.1994, p. 37).<br>9. ევროპარლამენტისა და საბჭოს 1994 წლის 20 დეკემბრის დირექტივა 94/62/EC შეფუთვისა და შეფუთვის ნარჩენების თაობაზე (OJ L 365, 31.12.1994, p. 10).<br>10. ევროპარლამენტისა და საბჭოს 1998 წლის 13 ოქტომბრის დირექტივა 98/70/EC ბენზინის და დიზელის საწვავის ხარისხისა და საბჭოს დირექტივის 93/12/EEC ცვლილების შესახებ (OJ L 350, 28.12.1998, p. 58). | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 11. ევროპარლამენტისა და საბჭოს 1998 წლის 27 ოქტომბრის დირექტივა 98/79/EC ინვიტრო დიაგნოსტიკური სამედიცინო მოწყობილობების შესახებ (OJ L 331, 7.12.1998, p. 1).<br>12. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2000 წლის 8 მაისის დირექტივა 2000/14/EC გარე გამოყენებისთვის განკუთვნილი მოწყობილობების ხმაურის გარემოში ემისიის თაობაზე წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობის დაახლოების შესახებ (OJ L 162, 3.7.2000, p. 1).<br>13. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2000 წლის 18 სექტემბრის დირექტივა 2000/53/EC გამოუსადეგარი სატრანსპორტო საშუალებების შესახებ (OJ L 269, 21.10.2000, p. 34).<br>14. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2003 წლის 13 ოქტომბრის რეგულაცია | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | (EC) No 2003/2003 სასუქების შესახებ (OJ L 304, 21.11.2003, p. 1).<br>15. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2004 წლის 31 მარტის რეგულაცია (EC) No 648/2004 სარეცხი საშუალებების შესახებ (OJ L 104, 8.4.2004, p. 1).<br>16. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2004 წლის 29 აპრილის რეგულაცია (EC) No 850/2004 მდგრადი ორგანული დამაბინძურებლებისა და 79/117/EEC დირექტივის ცვლილების შესახებ (OJ L 158, 30.4.2004, p. 7).<br>17. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2004 წლის 21 აპრილის დირექტივა 2004/42/EC გარკვეულ საღებავებსა და ლაქებში, ასევე სატრანსპორტო საშუალებების შეკეთებისთვის განკუთვნილ პროდუქტებში ორგანული გამხსნელების გამოყენებით გამოწვეული | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | აქროლადი ორგანული ნაერთების გამონაბოლქვის შეზღუდვისა და 1999/13/EC დირექტივის ცვლილების შესახებ (OJ L 143, 30.4.2004, p. 87).<br>18. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2005 წლის 26 ოქტომბრის დირექტივა 2005/64/EC მრავალჯერადი გამოყენებადობის, გადამუშავებადობისა და აღდგენადობის მიხედვით სატრანსპორტო საშუალებების ტიპების დამტკიცებისა და საბჭოს 70/156/EEC დირექტივის ცვლილების შესახებ (OJ L 310, 25.11.2005, p. 10).<br>19. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006 წლის 17 მაისის დირექტივა 2006/42/EC მექანიზმებისა და 95/16/EC დირექტივის ცვლილების შესახებ (OJ L 157, 9.6.2006, p. 24). | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 20. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006 წლის 17 მაისის დირექტივა 2006/40/EC ავტომობილების კონდიცირების სისტემებიდან გამოყოფილი გამონაბოლქვის შესახე და საბჭოს 70/156/EEC დირექტივის ცვლილების შესახებ (OJ L 161, 14.6.2006, p. 12).<br>21. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2023 წლის 12 ივლისის დირექტივა 2023/1542/EU „აკუმულატორებისა და გამოყენებული აკუმულატორების შესახებ“, 2008/98/EC დირექტივისა და 2019/1020 რეგულაციის შესწორებისა და 2006/66/EC დირექტივის გაუქმების შესახებ“ (OJ L 191, 28.07.2023, გვ. 1); .<br>22. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006 წლის 18 დეკემბრის რეგულაცია (EC) No 1907/2006 ქიმიური | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ნივთიერებების რეგისტრაციის, შეფასების, ავტორიზაციის და შეზღუდვის (REACH), ევროპის ქიმიკატების სააგენტოს შექმნის, 1999/45/EC დირექტივის ცვლილების, საბჭოს (EEC) No 793/93 რეგულაციის, კომისიის (EC) No 1488/94 რეგულაციის, ასევე საბჭოს 76/769/EEC დირექტივისა და კომისიის 91/155/EEC, 93/67/EEC, 93/105/EC და 2000/21/EC დირექტივების გაუქმების შესახებ (OJ L 396, 30.12.2006, p. 1).<br>23. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2007 წლის 20 ივნისის რეგულაცია (EC) No 715/2007 მსუბუქი სამგზავრო და კომერციული სატრანსპორტო საშუალებების (Euro 5 and Euro 6) გამონაბოლქვთან დაკავშირებით საავტომობილო საშუალებების ტიპის დამტკიცების და | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | სატრანსპორტო საშუალებების შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების შესახებ ინფორმაციაზე წვდომის თაობაზე (OJ L 171, 29.6.2007, p. 1).<br>24. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2007 წლის 5 სექტემბრის დირექტივა 2007/45/EC წინასწარ შეფუთული პროდუქტების ნომინალურ რაოდენობებთან დაკავშირებით წესების განსაზღვრის, საბჭოს 75/106/EEC და 80/232/EEC დირექტივების გაუქმებისა და საბჭოს 76/211/EEC დირექტივის ცვლილების შესახებ (OJ L 247, 21.9.2007, p. 17).<br>25. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2008 წლის 16 დეკემბრის რეგულაცია (EC) No 1272/2008 ნივთიერებათა და ნარევთა კლასიფიკაციის, ეტიკეტირებისა და შეფუთვის, | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 67/548/EEC და 1999/45/EC დირექტივების ცვლილებებისა და გაუქმების და 1907/2006 რეგულაციის ცვლილების შესახებ (OJ L 353, 31.12.2008, p. 1).<br>26. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 14 იანვრის რეგულაცია (EC) No 78/2009 ფეხით მოსიარულეთა და გზით სხვა მოწყვლად მოსარგებლეთა დაცვის მიხედვით ავტოტრანსპორტის ტიპის განსაზღვრისა და 2007/46/EC დირექტივის ცვლილებისა და 2003/102/EC და 2005/66/EC დირექტივების გაუქმების შესახებ (OJ L 35, 4.2.2009, p. 1).<br>27. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 14 იანვრის რეგულაცია (EC) No 79/2009 წყალბადის ძრავზე მომუშავე საავტომობილო საშუალებების ტიპის დამტკიცებისა | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | და 2007/46/EC დირექტივაში ცვლილებების შეტანის შესახებ (OJ L 35, 4.2.2009, p. 32).<br>28. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 23 აპრილის დირექტივა 2009/34/EC როგორც საზომი ინსტრუმენტების, ასევე მეტროლოგიური კონტროლის მეთოდების საერთო დებულებების შესახებ (OJ L 106, 28.4.2009, p. 7).<br>29. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 18 ივნისის დირექტივა 2009/48/EC სათამაშოების უსაფრთხოების შესახებ (OJ L 170, 30.6.2009, p. 1).<br>30. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 18 ივნისის რეგულაცია (EC) No 595/2009 მძიმე სატვირთო ავტომობილების (ევრო VI) გამონაბოლქვისა და სატრანსპორტო საშუალებების შეკეთებისა და | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ტექნიკური მომსახურების შესახებ ინფორმაციაზე წვდომის გათვალისწინებით საავტომობილო სატრანსპორტო საშუალებებისა და ძრავების ტიპის დამტკიცების, (EC) No 715/2007 რეგულაციისა და 2007/46/EC დირექტივის ცვლილების და 80/1269/EEC, 2005/55/EC და 2005/78/EC დირექტივების გაუქმების შესახებ (OJ L 188, 18.7.2009, p. 1).<br>31. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 13 ივლისის რეგულაცია (EC) No 661/2009 – საავტომობილო საშუალებების, მათი მისაბმელებისა და მათთვის განკუთვნილი სისტემების, კომპონენტებისა და ცალკეული ტექნიკური ერთეულების ზოგადი უსაფრთხოების ტიპის | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | განმსაზღვრელი მოთხოვნების შესახებ. (OJ L 200, 31.7.2009, p. 1).<br>32. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 21 ოქტომბრის დირექტივა 2009/125/EC ენერგიასთან დაკავშირებული პროდუქტებისთვის ეკოდიზაინის მოთხოვნების ზოგადი ჩარჩოს შექმნის შესახებ (OJ L 285, 31.10.2009, p. 10)<br>33. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 16 სექტემბრის რეგულაცია (EC) No 1005/2009 ოზონის შრის დამაზიანებელი ნივთიერებების შესახებ (OJ L 286, 31.10.2009, p. 1)<br>34. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 25 ნოემბრის რეგულაცია (EC) No 1222/2009 საწვავის ეფექტურობისა და სხვა აუცილებელი პარამეტრების გათვალისწინებით საბურავების | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ეტიკეტირების შესახებ (OJ L 342, 22.12.2009, p. 46)<br>35. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 30 ნოემბრის რეგულაცია (EC) No 1223/2009 კოსმეტიკური პროდუქტიის შესახებ (OJ L 342, 22.12.2009, p. 59)<br>36. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 25 ნოემბრის No 66/2010 (EC) რეგულაცია ევროკავშირის ეკოეტიკერების შესახებ (OJ L 27, 30.1.2010, გვ. 1);<br>37. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2010 წლის 16 ივნისის 2010/35/EC დირექტივა გადასატანი წნევის ქვეშ მყოფი მოწყობილობებისა და 76/767/EEC, 84/525/EEC, 84/526/EEC, 84/527/EEC და 1999/36/EC საბჭოს დირექტივების გაუქმების შესახებ (OJ L 165, 30.6.2010, გვ. 1); | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 38. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2011 წლის 9 მარტის No 305/2011 რეგულაცია (EC), რომელიც ადგენს სამშენებლო პროდუქტის ბაზარზე განთავსების ჰარმონიზებულ პირობებს და აუქმებს საბჭოს 89/106/EEC დირექტივას (OJ L 88, 4.4.2011, გვ. 5);<br>39. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2011 წლის 8 ივნისის 2011/65/EC დირექტივა საფრთხის შემცველი ნივთიერებების გამოყენების შეზღუდვის შესახებ ელექტრო და ელექტრონულ მოწყობილობებში (OJ L 174, 1.7.2011, გვ. 88);<br>40. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2011 წლის 27 სექტემბრის No 1007/2011 რეგულაცია (EU) ტექსტილის ბოჭკოების დასახელებებისა და ტექსტილის პროდუქციის ბოჭკოვანი შემადგენლობის | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ეტიკეტირებისა და მარკირების, საბჭოს 73/44/EEC დირექტივის, ევროპარლამენტისა და საბჭოს 96/73/EC და 2008/121/EC დირექტივების გაუქმების შესახებ (OJ L 272, 18.10.2011, გვ. 1);<br>41. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 22 მაისის No 528/2012 რეგულაცია (EU) ბიოციდური პროდუქტების ბაზარზე განთავსებისა და გამოყენების შესახებ (OJ L 167, 27.6.2012, გვ. 1);<br>42. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 4 ივლისის 2012/19/EU დირექტივა ელექტრო და ელექტრონული ნარჩენების შესახებ (WEEE) (OJ L 197, 24.7.2012, გვ. 38);<br>43. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2013 წლის 5 თებერვლის No 167/2013 რეგულაცია (EU) სასოფლო-სამეურნეო და სატყეო მანქანა- | | | | | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დანადგარების ტიპის დამტკიცებისა და ბაზარზე ზედამხედველობის შესახებ (OJ L 60, 2.3.2013, გვ. 1);<br>44. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2013 წლის 15 იანვრის No 168/2013 რეგულაცია (EU) ორ და სამბორბლიანი სატრანსპორტო საშუალებებისა, კვადროციკლების ტიპის დამტკიცებისა და ბაზარზე ზედამხედველობის შესახებ (OJ L 60, 2.3.2013, გვ. 52);<br>45. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2013 წლის 12 ივნისის 2013/29/EU დირექტივა წევრ სახელმწიფოებში პიროტექნიკის ბაზარზე განთავსებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის ჰარმონიზაციის შესახებ (OJ L 178, 28.6.2013, გვ. 27);<br>46. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2013 წლის 20 ნოემბრის 2013/53/EU დირექტივა რეკრეაციული ნავებისა | | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | და პერსონალური წყლის ტრანსპორტის საშუალებებისა და 94/25/EC დირექტივის გაუქმების შესახებ (OJ L 354, 28.12.2013, გვ. 90);<br>47. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2014 წლის 26 თებერვლის 2014/28/EU დირექტივა ფეთქებადი ნივთიერებების ბაზარზე განთავსებისა და ზედამხედველობის შესახებ წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობის ჰარმონიზაციის თაობაზე (OJ L 96, 29.3.2014, გვ. 1);<br>48. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2014 წლის 26 თებერვლის 2014/29/EU დირექტივა მარტივი წნევის ქვეშ მყოფი მარტივი მოწყობილობების ბაზარზე განთავსებასთან დაკავშირებით წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობის | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ჰარმონიზაციის შესახებ (OJ L 96, 29.3.2014, გვ. 45);<br>49. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2014 წლის 26 თებერვლის 2014/30/EU დირექტივა ელექტრომაგნიტური თავსებადობის შესახებ წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობის ჰარმონიზაციის თაობაზე (OJ L 96, 29.3.2014, გვ. 79);<br>50. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2014 წლის 26 თებერვლის 2014/31/EU დირექტივა არავტომატური საზომი ხელსაწყოების ბაზარზე განთავსებასთან დაკავშირებით წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობის ჰარმონიზაციის შესახებ (OJ L 96, 29.3.2014, გვ. 107);<br>51. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2014 წლის 26 თებერვლის 2014/32/EU დირექტივა გაზომვის საშუალებების ბაზარზე | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | განთავსებასთან დაკავშირებით წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობის ჰარმონიზაციის შესახებ (OJ L 96, 29.3.2014, გვ. 149);<br>52. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2014 წლის 26 თებერვლის 2014/33/EU დირექტივა ლიფტებისა და მათი უსაფრთხოების კომპონენტების შესახებ წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობის ჰარმონიზაციის თაობაზე (OJ L 96, 29.3.2014, გვ. 251);<br>53. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2014 წლის 26 თებერვლის 2014/34/EU დირექტივა ფეთქებადსაშიშ გარემოში გამოსაყენებელი მოწყობილობებისა და დაცვის სისტემების შესახებ წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობის ჰარმონიზაციის თაობაზე (OJ L 96, 29.3.2014, გვ. 309); | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 54. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2014 წლის 26 თებერვლის 2014/35/EU დირექტივა ბაზარზე განთავსებული ელექტრო მოწყობილობების შესახებ, რომლებიც განკუთვნილია ძაბვის გარკვეულ ზღვრებში გამოსაყენებლად — წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობის ჰარმონიზაციის თაობაზე (OJ L 96, 29.3.2014, გვ. 357);<br>55. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2014 წლის 3 აპრილის 2014/40/EU დირექტივა წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობის დაახლოების შესახებ თამბაქოსა და მასთან დაკავშირებული პროდუქტების წარმოების, განთავსებისა და გაყიდვის საკითხებზე და 2001/37/EC დირექტივის გაუქმების შესახებ (OJ L 127, 29.4.2014, გვ. 1); | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 56. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2014 წლის 16 აპრილის 2014/53/EU დირექტივა რადიომოწყობილობების ბაზარზე განთავსებასთან დაკავშირებით წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობის ჰარმონიზაციისა და 1999/5/EC დირექტივის გაუქმების შესახებ (OJ L 153, 22.5.2014, გვ. 62);<br>57. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2014 წლის 15 მაისის 2014/68/EU დირექტივა წნევის ქვეშ მომუშავე მოწყობილობების ბაზარზე განთავსებასთან დაკავშირებით წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობის ჰარმონიზაციის შესახებ (OJ L 189, 27.6.2014, გვ. 164);<br>58. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2014 წლის 23 ივლისის 2014/90/EU დირექტივა საზღვაო | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მოწყობილობებისა და საბჭოს 96/98/EC დირექტივის გაუქმების შესახებ (OJ L 257, 28.8.2014, გვ. 146);<br>59. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2014 წლის 16 აპრილის No 517/2014 რეგულაცია (EU) ფტორირებული სათბურის აირებისადა (EC) No 842/2006-ის რეგულაციის გაუქმების შესახებ (OJ L 150, 20.5.2014, გვ. 195);<br>60. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2014 წლის 16 აპრილის No 540/2014 რეგულაცია (EU) საავტომობილო საშუალებებისა და ჩანაცვლებითი ხმის ჩამხშობი სისტემების ხმის დონის შესახებ, რომელსაც ცვლილება შეაქვს 2007/46/EC დირექტივაში და აუქმებს 70/157/EEC დირექტივას (OJ L 158, 27.5.2014, გვ. 131);<br>61. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2016 წლის 9 მარტის 2016/424 რეგულაცია | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | (EU) საბაგირო სატრანსპორტო სისტემების შესახებ, რომელიც აუქმებს 2000/9/EC დირექტივას (OJ L 81, 31.3.2016, გვ. 1);<br>62. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2016 წლის 9 მარტის 2016/425 რეგულაცია (EU) პერსონალური დაცვის საშუალებებისა საბჭოს 89/686/EEC დირექტივის გაუქმების შესახებ (OJ L 81, 31.3.2016, გვ. 51);<br>63. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2016 წლის 9 მარტის 2016/426 რეგულაცია (EU) აირზე მომუშავე მოწყობილობებისა და 2009/142/EC დირექტივის გაუქმების შესახებ (OJ L 81, 31.3.2016, გვ. 99);<br>64. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2016 წლის 14 სექტემბრის 2016/1628 რეგულაცია (EU) სპეც ტექნიკისთვის განკუთვნილი შიდა წვის ძრავების აირების, ნაწილაკების გაფრქვევის | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ლიმიტებისა და ტიპის დამტკიცების მოთხოვნების შესახებ, რომელსაც ცვლილება შეაქვს (EU) No 1024/2012 და (EU) No 167/2013 რეგულაციებში, და ცვლილება შეაქვს და აუქმებს 97/68/EC დირექტივას (OJ L 252, 16.9.2016, გვ. 53);<br>65. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2017 წლის 5 აპრილის 2017/745 რეგულაცია (EU) სამედიცინო მოწყობილობების შესახებ, რომელსაც ცვლილება შეაქვს 2001/83/EC დირექტივაში და (EC) No 178/2002 და No 1223/2009 რეგულაციებში და აუქმებს საბჭოს 90/385/EEC და 93/42/EEC დირექტივებს (OJ L 117, 5.5.2017, გვ. 1);<br>66. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2017 წლის 5 აპრილის 2017/746 რეგულაცია (EU) ინ ვიტრო | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | დიაგნოსტიკური სამედიცინო მოწყობილობების შესახებ, რომელიც აუქმებს 98/79/EC დირექტივასა და კომისიის 2010/227/EU გადაწყვეტილებას (OJ L 117, 5.5.2017, გვ. 176);<br>67. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2017 წლის 17 მაისის 2017/852 რეგულაცია (EU) ვერცხლისწყლისა და No1102/2008 რეგულაციის გაუქმების შესახებ (EC) (OJ L 137, 24.5.2017, გვ. 1);<br>68. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2017 წლის 4 ივლისის 2017/1369 რეგულაცია (EU) ენერგოეტიკეტირების ჩარჩოს დადგენისა და 2010/30/EU დირექტივის გაუქმების შესახებ (OJ L 198, 28.7.2017, გვ. 1);<br>69. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2018 წლის 30 მაისის 2018/858 რეგულაცია | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | (EU) საავტომობილო საშუალებებისა და მათი მისაბმელების, აგრეთვე ამ საშუალებებისთვის განკუთვნილი სისტემების, კომპონენტების, ცალკეული ტექნიკური ერთეულების ტიპის დამტკიცებისა და ბაზარზე ზედამხედველობისა და (EC) No 715/2007 და No 595/2009 რეგულაციებში ცვლილების, და 2007/46/EC დირექტივის გაუქმების თაობაზე (OJ L 151, 14.6.2018, გვ. 1);<br>70. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2018 წლის 4 ივლისის 2018/1139 რეგულაცია (EU) ავიაციის სფეროში საერთო წესების დადგენისა და ევროკავშირის საავიაციო უსაფრთხოების სააგენტოს შექმნის შესახებ, რომელსაც ცვლილება შეაქვს No 2111/2005, No 1008/2008, (EU) No 996/2010, (EU) No 376/2014 რეგულაციებსა და 2014/30/EU და | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 2014/53/EU დირექტივებში და აუქმებს (EC) No 552/2004 და No 216/2008 რეგულაციებს ევროპარლამენტისა და საბჭოს (EEC ) No 3922/91 რეგულაციას (OJ L 212, 22.8.2018, p. 1)იმ ნაწილში, რაც ეხება იმ საჰაერო ხომალდების კონსტრუქციას, წარმოებასა და ბაზარზე განთავსებას, რომლებიც მითითებულია მე-2 მუხლის პირველი პუნქტის "a" და "b" ქვეპუნქტებში, თუკი საქმე გვაქვს უპილოტო საფრენ აპარატებსა და მათ ძრავებთან, პროპელერებთან, ნაწილებთან და დისტანციური მართვის სისტემებთან;<br>71. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2024 წლის 11 აპრილის 2024/1252 რეგულაცია (EU), რომელიც ადგენს კრიტიკული ნედლეულის უსაფრთხო და მდგრადი მიწოდების | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ჩარჩოს და ცვლილება შეაქვს (EU) No 168/2013, No 2018/858, No 2018/1724 და No 2019/1020 რეგულაციებში (OJ L, 2024/1252, 3.5.2024, ELI: http://data.europa.eu/eli/reg/2024/1252/oj) იმ ნაწილში, რომელიც ეხება აღნიშნული რეგულაციის 28-ე, 29-ე და 31-ე მუხლებით დადგენილ მოთხოვნებს. | | | | | |
| **დანართი II** | **ევროკავშირის ჰარმონიზებული კანონმდებლობის ნუსხა, რომელიც არ შეიცავს დებულებებს ჯარიმების შესახებ**<br><br>1. საბჭოს 1969 წლის 15 დეკემბრის დირექტივა 69/493/EEC კრისტალურ მინასთან დაკავშირებული წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობის დაახლოების შესახებ (OJ L 326, 29.12.1969, გვ. 36);<br>2. საბჭოს 1970 წლის 6 თებერვლის 70/157/EEC დირექტივა | | | | ას | აღნიშნული მუხლი განსაზღვრავს ევროკავშირის ჰარმონიზებული კანონმდებლობის ნუსხას და ტრანსპოზიციის მიზნებისთვის არარელევანტურია. |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ავტომობილების დასაშვები ხმაურის დონისა და გამონაბოლქვი სისტემის შესახებ წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობის დაახლოების შესახებ (OJ L 42, 23.2.1970, გვ. 16);<br>3. საბჭოს 1974 წლის 19 დეკემბრის 75/107/EEC დირექტივა საზომ კონტეინერებად გამოყენებული ბოთლების შესახებ წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობის დაახლოების შესახებ (OJ L 42, 15.2.1975, გვ. 14);<br>4. საბჭოს 1975 წლის 20 მაისის 75/324/EEC დირექტივა აეროზოლური დისპენსერების შესახებ წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობის დაახლოების შესახებ (OJ L 147, 9.6.1975, გვ. 40);<br>5. საბჭოს 1976 წლის 20 იანვრის 76/211/EEC დირექტივა გარკვეული | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | წინასწარ შეფუთული პროდუქტების წონით ან მოცულობით დამზადებასთან დაკავშირებული წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობის დაახლოების შესახებ (OJ L 46, 21.2.1976, გვ. 1);<br>6. საბჭოს 1992 წლის 21 მაისის 92/42/EEC დირექტივა თხევადი ან აირადი საწვავით მომუშავე ახალი ცხელი წყლის ქვაბების ეფექტურობის მოთხოვნების შესახებ (OJ L 167, 22.06.1992, გვ. 17);<br>7. ევროპარლამენტისა და საბჭოს 1994 წლის 23 მარტის დირექტივა 94/11/EC მომხმარებლისთვის გასაყიდი ფეხსაცმლის ძირითადი კომპონენტების ეტიკეტირებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის, რეგულაციებისა და ადმინისტრაციული დებულებების | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | დაახლოების შესახებ (OJ L 100, 19.04.1994, გვ. 37);<br>8. ევროპარლამენტისა და საბჭოს 1994 წლის 20 დეკემბრის დირექტივა 94/62/EC შეფუთვისა და შეფუთვის ნარჩენების შესახებ (OJ L 365, 31.12.1994, გვ. 10);<br>9. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2000 წლის 8 მაისის დირექტივა 2000/14/EC გარეთ გამოსაყენებელი მოწყობილობების მიერ გარემოში ხმაურის გამოყოფასთან დაკავშირებული წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობის დაახლოების შესახებ (OJ L 162, 3.7.2000, გვ. 1);<br>10. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2000 წლის 18 სექტემბრის დირექტივა 2000/53/EC სასიცოცხლო ციკლის დასრულების შემდეგ გამოშვებულ | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | სატრანსპორტო საშუალებებზე (OJ L 269, 21.10.2000, გვ. 34);<br>11. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2005 წლის 26 ოქტომბრის 2005/64/EC დირექტივა ავტომობილების ტიპის დამტკიცების შესახებ მათი ხელახალი გამოყენების, გადამუშავების და აღდგენის შესაძლებლობის თვალსაზრისით, რომელსაც ცვლილება შეაქვს საბჭოს დირექტივაში 70/156/EEC (OJ L 310, 25.11.2005, გვ. 10);<br>12. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006 წლის 17 მაისის დირექტივა 2006/40/EC, რომელიც ეხება საავტომობილო საშუალებების კონდიცირების სისტემებიდან გამონაბოლქვებს და ცვლილება შეაქვს საბჭოს დირექტივაში 70/156/EEC (OJ L 161, 14.06.2006, გვ. 12); | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 13. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2007 წლის 5 სექტემბრის დირექტივა 2007/45/EC, რომელიც ადგენს წესებს წინასწარ შეფუთული პროდუქტების ნომინალურ რაოდენობებთან დაკავშირებით და აუქმებს საბჭოს 75/106/EEC და 80/232/EEC დირექტივებს და ცვლილება შეაქვს საბჭოს 76/211/EEC დირექტივაში (OJ L 247, 21.9.2007, გვ. 17);<br>14. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 25 ნოემბრის რეგულაცია (EC) No 1222/2009 საწვავის ეფექტურობისა და სხვა აუცილებელი პარამეტრების მიხედვით საბურავების ეტიკეტირების შესახებ (OJ L 342, 22.12.2009, გვ. 46);<br>15. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2010 წლის 16 ივნისის დირექტივა | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 2010/35/EU გადასატანი წნევის ქვეშ მომუშავე მოწყობილობების შესახებ, რომელიც აუქმებს საბჭოს 76/767/EEC, 84/525/EEC, 84/526/EEC, 84/527/EEC და 1999/36/EC დირექტივებს (OJ L 165, 30.06.2010, გვ. 1);<br>16. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2011 წლის 9 მარტის (EU) No 305/2011 რეგულაცია, რომელიც ადგენს სამშენებლო პროდუქტის ბაზარზე განთავსების ჰარმონიზებულ პირობებს და აუქმებს საბჭოს 89/106/EEC დირექტივას (OJ L 88, 4.4.2011, გვ. 5);<br>17. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2011 წლის 27 სექტემბრის რეგულაცია (EU) No 1007/2011 ტექსტილის პროდუქტების ბოჭკოების დასახელებებისა და მათთან დაკავშირებული ბოჭკოვანი | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | შემადგენლობის ეტიკეტირებისა და მარკირების შესახებ, რომელიც აუქმებს საბჭოს 73/44/EEC დირექტივას და ევროპარლამენტისა და საბჭოს 96/73/EC და 2008/121/EC დირექტივებს (OJ L 272, 18.10.2011, გვ. 1);<br>18. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2014 წლის 23 ივლისის დირექტივა 2014/90/EU საზღვაო აღჭურვილობის შესახებ, რომელიც აუქმებს საბჭოს 96/98/EC დირექტივას (OJ L 257, 28.08.2014, გვ. 146);<br>19. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2014 წლის 16 აპრილის რეგულაცია (EU) No 540/2014 საავტომობილო საშუალებებისა და ჩანაცვლებითი ხმის ჩამხშობი სისტემების ხმის დონის შესახებ, რომელსაც ცვლილება შეაქვს 2007/46/EC | | | | | |

<table>
<tr><td></td><td>დირექტივაში და აუქმებს 70/157/EEC დირექტივას (OJ L 158, 27.5.2014, გვ. 131).</td><td></td><td></td><td></td><td></td><td></td></tr>
<tr><td>დანართი III</td><td>კორელაციის ცხრილი:<br>
<table>
<tr><td>რეგულაცია (EC) No 765/2008</td><td>ეს რეგულაცია</td></tr>
<tr><td>მუხლი 1(2)</td><td>მუხლი 1(1)</td></tr>
<tr><td>მუხლი 1(3)</td><td>მუხლი 1(3)</td></tr>
<tr><td>მუხლი 2, პუნქტი 1</td><td>მუხლი 3, პუნქტი 1</td></tr>
<tr><td>მუხლი 2, პუნქტი 2</td><td>მუხლი 3, პუნქტი 2</td></tr>
<tr><td>მუხლი 2, პუნქტი 14</td><td>მუხლი 3, პუნქტი 22</td></tr>
<tr><td>მუხლი 2, პუნქტი 15</td><td>მუხლი 3, პუნქტი 23</td></tr>
<tr><td>მუხლი 2, პუნქტი 17</td><td>მუხლი 3, პუნქტი 3</td></tr>
<tr><td>მუხლი 2, პუნქტი 18</td><td>მუხლი 3, პუნქტი 4</td></tr>
<tr><td>მუხლი 2, პუნქტი 19</td><td>მუხლი 3, პუნქტი 25</td></tr>
<tr><td>მუხლი 15(1) და (2)</td><td>მუხლი 2(1)</td></tr>
<tr><td>მუხლი 15(3)</td><td>მუხლი 2(3)</td></tr>
<tr><td>მუხლი 15(4)</td><td>-</td></tr>
</table></td><td></td><td></td><td></td><td>ას</td><td>აღნიშნული მუხლი ეხება (EC) № 765/2008 რეგულაციასთან კორელაციის ცხრილს და ტრანსპოზიციის მიზნებისთვის არარელევანტურია.</td></tr>
</table>

| | |
|---|---|
| მუხლი 15(5) | მუხლი 2(2) |
| მუხლი 16(1) | მუხლი 10(1) |
| მუხლი 16(2) | მუხლი 16(5) |
| მუხლი 16(3) | - |
| მუხლი 16(4) | - |
| მუხლი 17(1) | მუხლი 10(2) |
| მუხლი 17(2) | მუხლი 34(1), ბოლო წინადადება და მუხლი 34(3), ქვეპუნქტი (a) |
| მუხლი 18(1) | მუხლი 10(6) |
| მუხლი 18(2), ქვეპუნქტი (a) | მუხლი 11(7), ქვეპუნქტი (a) |
| მუხლი 18(2), ქვეპუნქტი (b) | - |
| მუხლი 18(2), ქვეპუნქტი (c) | მუხლი 11(7), ქვეპუნქტი (b) |
| მუხლი 18(2), ქვეპუნქტი (d) | - |
| მუხლი 18(3) | მუხლი 10(5) და 14(1) |
| მუხლი 18(4) | მუხლი 14(2) |
| მუხლი 18(5) | მუხლი 13 |
| მუხლი 18(6) | მუხლი 31(2), ქვეპუნქტი (o) |
| მუხლი 19(1), პირველი აბზაცი | მუხლი 11(3) |
| მუხლი 19(1), მეორე აბზაცი | მუხლი 14(4), ქვეპუნქტი (a), (b), (e) და (j) |

| | |
|---|---|
| მუხლი 19(1), მესამე აბზაცი | მუხლი 11(5) |
| მუხლი 19(2) | მუხლი 16(3), ქვეპუნქტი (g) |
| მუხლი 19(3) | მუხლი 18(2) |
| მუხლი 19(4) | მუხლი 11(2) |
| მუხლი 19(5) | მუხლი 17 |
| მუხლი 20(1) | მუხლი 19(1) |
| მუხლი 20(2) | მუხლი 19(2) |
| მუხლი 21(1) | მუხლი 18(1) |
| მუხლი 21(2) | მუხლი 18(2) |
| მუხლი 21(3) | მუხლი 18(3) |
| მუხლი 21(4) | - |
| მუხლი 22(1) | მუხლი 20(1) |
| მუხლი 22(2) | მუხლი 20(2) |
| მუხლი 22(3) | მუხლი 20(3) |
| მუხლი 22(4) | მუხლი 20(4) |
| მუხლი 23(1) და (3) | მუხლი 34(1) |
| მუხლი 23(2) | მუხლი 34(4) |
| მუხლი 24(1) | მუხლი 22(1) |
| მუხლი 24(2) | მუხლი 22(2) დან (5)-მდე |
| მუხლი 24(3) | - |
| მუხლი 24(4) | - |
| მუხლი 25(1) | - |
| მუხლი 25(2), ქვეპუნქტი (a) | მუხლი 31(2), ქვეპუნქტი (f) და მუხლი 33(1), ქვეპუნქტი (i) და (k) |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | მუხლი 25(2), ქვეპუნქტი (b) | მუხლი 31(2), ქვეპუნქტი (g) და (m) და მუხლი 33(1), ქვეპუნქტი (i) და (k) | | | | | |
| | | მუხლი 25(3) | - | | | | | |
| | | მუხლი 26 | - | | | | | |
| | | მუხლი 27(1), პირველი წინადადება | მუხლი 25(2) | | | | | |
| | | მუხლი 27(1), მეორე წინადადება | მუხლი 25(3) | | | | | |
| | | მუხლი 27(2) | მუხლი 25(4) | | | | | |
| | | მუხლი 27(3), პირველი აბზაცი | მუხლი 26(1) | | | | | |
| | | მუხლი 27(3), მეორე აბზაცი | მუხლი 26(2) | | | | | |
| | | მუხლი 27(4) | - | | | | | |
| | | მუხლი 27(5) | - | | | | | |
| | | მუხლი 28(1) | მუხლი 27, პირველი პუნქტი, ქვეპუნქტი (a) | | | | | |
| | | მუხლი 28(2) | მუხლი 27, პირველი პუნქტი, ქვეპუნქტი (b) | | | | | |
| | | მუხლი 29(1) | მუხლი 28(1) | | | | | |
| | | მუხლი 29(2) | მუხლი 28(2) | | | | | |
| | | მუხლი 29(3) | მუხლი 28(3) | | | | | |

| | |
|---|---|
| მუხლი 29(4) | მუხლი 28(4) |
| მუხლი 29(5) | მუხლი 25(5) |
| მუხლი 32(1), ქვეპუნქტი (d) | - |
| მუხლი 32(1), ქვეპუნქტი (e) | მუხლი 36(2), ქვეპუნქტი (e) |